


የኢትዮ



ፖ.ስታ.ካርድ አዲስአበባ
ፖ.ስታ.ካርድ አዲስአበባ
No 1 (48)
2021



ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი

ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთი“

მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიცი-
პალიტეტის მერიის (მერი ბატონი შოთა ნა-
რიკლაშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს (თავმჯდომარე არჩილ თხლაშვილი)
მხარდაჭერით.

დაიპეჭდა გამომცემლობა „მერიდიანი“



მოთხოვის 1, (48), 2021



გამოვის სამთხვევლი



„ოლეს“ ლიტერატურული შურნალი



შინაარსი

- მხატვრული ლიტერატურა
2. კახაბერ ჰავლიაშვილი. ჩიტური.
მოთხოვის
 7. მარიამ კოზანიშვილი. ლექსები
 10. ლანა მანველი. დრამა პოეტურად. პიესა
 21. ციცილონ მარკოზაშვილი. ლექსები
 24. თენე ქამუკაშვილი. ლექსები
 27. თიმერიძე სიყმაშვილი. დიდოგია.
მოთხოვის
 33. გიული ჩიხეიაშვილი. ლექსები
 35. პლატონ ჩერებიძე. ვაკისძირელი
მონადირე. მოთხოვის
 41. ანა მაროშვილი. ლექსები
 43. შორენა ქამუკაშვილი. ლექსები
 45. ზაირა მიდევლი. ორი მოთხოვის

ცერილები

47. ზაალ ბოტაველი. ბაგეთაგან თაფლი
გწვეთავს

თარგმანები

51. აზაგ მასუდი. ღამე. მოთხოვის

„ნაპიჯი“ – ახალგაზრდული ჩანართი

56. თამარ ბურნაძე. ლექსები
57. ელენე ლომსაძე. მე გწერ შენ...
58. ეთევან ჭავჭავაძე. ორი მინიატურა
59. მარიამ ჩომანიძე. ლექსი
60. სოფია ტაბარუკაშვილი. ფოთოლი.
მინიატურა

მიხეილ თუშანიშვილი – 100

61. ლალი ქავეშვილი. ბატონი მიშა,
არასოდეს დამავიწყდებით!

ღვანელოსილი ქალბათონი

63. მილოცვები
64. ლია ფინანიშვილი. ლექსები

გარეკანის პირველ გვერდზე
ელზა თუშაპრამიშვილის ნახატი

1



ოლე, №1, 2021



კახაბერ კავშირის მიზანი

2



კახაბერის კავშირის მიზანი

სახახაბერის კავშირი

ლმერთო ჩემო! თურმე დედა ყოფილა წილურებულა! მე კი, გამოშტერებული ჰარისკაცი აქამდე ვერ მივხვდი რას მთხოვთა, რას მემუფარებოდა დედა ჩიცი.

შემაურიალა. შემეზიზლა საკუთარი თავის, ეს ჰარისკაცი ფორმაზ და მხარზე გაფაკიდებული ავტომატი.

რამ გამომაშტერა, რამ დამიჩურნება ასე გონება? შემარჯვინა ამ პატარა ჩიცმა და ეგ არის!

კახაბერ პავლიაშვილი

ჩიტური

მდინარე ვოლგის ნაპირებიდან მონაბერი, მოალერსე ნიავით ყელმოლერებული, აქოჩილი ტყე ავტომატების ხანმოკლე ჯერმა შეაკრთო და შეამფოთა. თითქოს წყალი გადაასხესო, ისე ერთბაშად შეწყდა ქედნების ღულუნი, შაშვთა ჭახჭახი თუ ათასგვარ წვრილ-წვრილ ფრინველ-თა სიმღერა-გალობა.

შემაშფოთებელი კი ნამდვილად არის.

ცეცხლის ხაზზე გაწოლილ ათეულ ჯარისკაცს ავტომატი უხერხულად ჩაუხუტებია, სუნთქვა შეუკრავს და გულდასმით, მოზომილად უგზავნის ტყვიებს ჩამოფერდილი, გვირილები-ანი გორაკის ძირში გაყუჩებულ სამიზნებს.

ჩემი მდგომარეობა არც სახარბიელოა და არც მაინცადამაინც დასაწუნი. ვდგავარ ოციოდე მეტრი სიმაღლის ანძაზე, უფრო სწორად ანძის ბაქანზე. ეს ბაქანი დაახლოებით ოთხი მეტრი სიგრძის და ერთი მეტრი სიგანის მოაჯირშე-მოვლებული ფიცარნაგია. სანამ აქ ამოვიდოდი კაპიტანმა მოროზოვმა თვალი მოვავლო ჩვენი ოცეულის ჯარისკაცებს და სხვათა შორის იკითხა, მოხალისე თუ არის ვინმე, აი, იმ მაღალ ანძაზე რომ ავიდესო. მე ისედაც აძრომას ვაპირებდი, მაინცერესებდა იქიდან მდინარე ვოლგა გამოჩნდებოდა თუ არა. ნაბიჯი წინ გადავდგი. კაპიტანმა მოროზოვმა ხანმოკლე ინსტრუქტაჟი ჩამიტარა და ბრძანებაც იქვე გამომიცხო:

— მეომარო... რა ვგარი ხარ? ამ ქართველების გვარი ხომ მთელი საუკუნე ვერ დაიხსომებ... პო... დიახ... პავლიაშვილი... მოკლედ შვილი... მეომარო პავლიაშვილი! გიბრძანებ ახვიდე ანძის ბაქანზე და თვალყური ადევნო სასროლეთს, მის ირგვლივ განლაგებულ ტერიტორიებს, ტყისპირებს და განსაკუთრებით სამიზნების ზემოთ მდებარე აი, იმ ვგირილებიან გორაკს. მოქალაქეები თუ გამოჩნდნენ...

— ვინ უნდა გამოჩნდნენ? — ვერ ვიგებ მე.

— ვინ და ახლომახლო სოფლების მცხოვრები. შეიძლება სოკოზე ან კენკრაზე იყოს ვინმე გამოსული და შემთხვევით ცხვირი არ გამოყონ, სროლის ზონაში არ მოყვენენ, გაიგე? სასროლეთი შემოლობილი არ არის.

— გავიგე, მაგრამ, რომ გამოჩნდნენ რა ვქნა? — ვეკითხები.

— რა უნდა ქნა და დაგვიძახე, დაგვიყვირე და მაშინვე სროლას შევწყვეტი. აგერ, შუაზე საჩრდილობელი რომ არის მოწყობილი იმის ქვეშ დადექი, არც დაგცხება და თანაც მე უნდა გხე-დავდე, რომ დარწმუნებული ვიყო უსაფრთხოებაში. შენი ჯერი რომ მოვა სროლისა, მაშინ შეგ-ცვლით, მანამდე კი აბა შენ იცი, ადი მაღლა და ფრთხილად იყავი მანდ, ავტომატი თან წაიღე და გაუფრთხილდი.

და აი, ვდგავარ ამ მაღლი ანძის ბაქანზე, ხეთა კენწეროების ზემოთ.

ლმერთო, რა სილამაზეა ირგვლივ!

მდინარე ვოლგა მართალია არც აქედან გამოჩნდა. იგი სადღაც აი, იმ ცისფერი გორაკების იქით მიიკლაკნება, მაგრამ უიმისოდაც დიდებულია თვალის განვდენაზე ამნვანებული, აზავთებული ბუნება. სასროლეთი ორი მხრიდან ტყით შემოზღუდული, დაახლოებით ერთი სტადიონის ტოლი, სწორი მდელოა. ჩემს ქვემოთ, დაბლა ცეცხლის ხაზია, რომელიც ნახერხით მოუნიშნიათ. აქედან ადამიანის გამოსახულებიან, უძრავად მდგარ სამიზნებამდე სამოცი მეტრი იქნება. იმის ცოტა იქით, ტყისპირებში ორი პატარა აგურის შენობაა, რომელთა შორის გათხრილ არხში მოძრავი სამიზნები აქეთ-იქით მიდი-მოდიან. იმის იქით ჩამოფერდილი გორაკია ჩვენგან გაგზავნილ ტყვიებს რომ „მყლაპავს“. იმის მაღლა პატარა გვირილებიანი გორაკია და მერე უკვე მოცისფრო, მოზრდილი გორაკების წყება, ხელგადახვეულები, ისე ლამაზად რომ

მიგოგმანებენ ვოლგის ნაპირებისაკენ, თითქოს ფერხული ჩაუბიათო. მარცხნივ და მარჯვნივ ტყის მასივებია, ალაგ-ალაგ შემალლებული, ალაგ გაჩეხილი ჭალებითა და შიგადაშივ მიმოფანტული, მწვანედ მოღალანე მინდვრებითა თუ გვირილებით მოფარდაგებული ლილო-ჭრილოებით.

ჩემს უკან ჩვენი სამხედრო ქალაქია, დაბალი კორპუსებით, კარვებით, სამწყობრო და სპორტული მოედნებით. იმის იქით კვლავ მინდვრებია, ძარღვებივით გადახლართული, მიხვეულ-მოხვეული, ფართო და წვრილი გზებით თუ ბილიკებით დასერილი. შორს მოჩანს სოფელი შუმილოვო, რომლის სახელიც აწერია ჩვენთან გამოგზავნილ ბარათებს. ვდგავარ გაშტერებული, ბუნების სილამაზით გაოგნებული. ხან ერთი მხარე მომტაცებს თვალს, ხან მეორე. ვერ ვძლები ცქერითა და... სუნთქვით.

ჰერი ხომ იშვიათი ნაზავია ამ მდელოთა სურნელებისა, ტყის სიფაქიზისა და ცის სილურჯისა – გამჭვირვალე, მსუბუქი, ნაზი და წმინდა. მზე დანათის და სხივებით ეფოფინება ტყეველს, დახარის თავის საბრძანებელს. საოცრად ამალებული და განწმენდილი გრძნობა მეუფლება. ცოდვაა ლმერთმანი, თოფი ესროლო ამ საოცრებას, ასეთ ბუნებას... დაჭრა იგი... მაგრამ ის მახარებს რომ შეიძლება დაჭრა, მოკვლით კი ვერ მოკლავ.

ივნისის ბოლო რიცხვებია. ზამთრის მერე თოფი არ გავარდნილა ამ სასროლეთზე. სამი კვირის წინ მოსულ ახალწვეულებს აქამდე მხოლოდ სამწყობრო სვლას, წესდებას, თეორიას და კალაშნიკოვის ავტომატების დაშლა-აწყობა-განმენდას გვასწავლიდნენ. და აი, მოვიდა დრო სროლაში დაოსტატებისა.

ახალწვეული ჯარისკაცების თითქმის ნახევარს ქართველები შევადგენთ, დანარჩენები რუსები არიან და ცოტაოდენი უკრაინელები.

* * *

პირველი ათი ჯარისკაცი მორჩია სროლას. წამოდგნენ. ათმეთაურის, ოცმეთაურის და ასმეთაურის – კაპიტან მორიზოვის თანხლებით გაემართნენ სამიზნების შესამოწმებლად და ქულების დასათვლელად.

ამ დროს ერთი პატარა, ცისფერგულა ჩიტი მოფრინდა და ჩემგან მარცხნივ, მოაჯირზე და-სკუპდა.

– ჭყიპ-ჭყიპ – ორჯერ დაიჭყიპინა და მოაჯირზე აქეთ-იქით ხტუნვას მოჰყვა.

– გამარჯობა ჩიტუნა, გამარჯობა ცისფერგულა! – ჩემდამი თავისი „ჭყიპ-ჭყიპ“ და მეც ჩემებურად, ქართულად მივესალმე.

ერთხანს იხტუნა ასე, იჭყიპინა, ერთი-ორ-



3

მხატვარი სოფიო ჭელიძე

ჯერ ბაქნის იატაკზე დაფრინდა, იქაც იხტუნა. ცოტა ხნის მერე ესეც მოსწყინდა და გაფრინდა, დამეკარგა თვალთაგან.

სამიზნებთან წასულები უკან დაბრუნდნენ. ცეცხლის ხაზზე ახლა მეორე ათეული დაწვა და სამიზნებს ცეცხლი გაუხსნა. ოდნავ ახმაურებული ტყე ხელმეორედ გაირინდა და ავტომატების ხმას ყური დაუგდო.

თითეული ჯარისკაცი სამ ტყვიას ისვრის მხოლოდ, ისიც ჯერ-ჯერით. ორი-სამი წუთის შემდეგ ოცდაათივე ტყვია გასროლილია და ახლა ეს ათეული მიემართება სამიზნების შესამოწმებლად.

ცისფერგულა ჩიტი ისევ მოფრინდა, ისევ მარცხენა მხარეს, მოაჯირზე დასკუპდა და მოჰყვა ხტუნვასა და ჭყიპინს. დახტის, დახტის, ჭყიპინებს გაუთავებლად. ვერაფერი გამიგია, რა უნდა. მგონი მიპრაზდება თუ მეჩუბება თავის ჩიტუნ ენაზე. პროტესტს მიცხადებს თავისებურად.

– რა გინდა ჩიტუნია, რას მთხოვ ცისფერგულა? ვერ გამიგია რა გინდა. ალბათ, ტყემ გამოგაგზავნა ჩვენთან, მყუდროების დამრღვევებთან პროტესტით, შეიძლება ფრინველებმა გამოგაგზავნეს დავალებით, – ნუ ისვრითო თოფებს, მაგრამ მე რა ვქნა ცისფერგულა, მე პატარა კაცი ვარ, მე არაფერი შემიძლია. აგერ, კაპიტან მორიზოვს აუხსენი, ის არის აქ უფროსი.

თითქოს დამიჯერა ცისფერგულამ, სადღაც გაფრინდა, მაგრამ დიდხანს არ გაუვლია და ისევ





მოფრინდა. ამჯერად ხელცარიელი აღარ მოსულა. ნისკარტით დაჭერილი, კაი გრძელფეხება, მწვანე კალია მოიყვანა. დასკუპდა ისევ მარცხენა მოაჯირზე და ისევ მოჰყვა ხტუნვასა და ჭყიპინს. მე კი მიკვირს, ნეტავ როგორ ახერხებს ჭყიპინს მწერით გამოტენილ პირით? კალია კი გარდიგარდმო გაჩერილა ცისფერგულას ნისკარტში. ჯერ ისევ ცოცხალი, ფეხებს აფხაუნებს მხოლოდ.

ცოტა ხანს კიდევ იხტუნა ცისფერგულამ. მერე გადმოფრინდა ჩემგან მარჯვენა მოაჯირზე. იხტუნა, იჭყიპინა. ერთი-ორჯერ ისე ახლოს ჩამიფრინა კინალამ ფრთა გამერა. ვერაფერი გამიგია, რამ გადარია ეს ჩიტი ასე, რას მემართლება. ავტომატი კი მაქვს მხარზე გადაკიდებული, მაგრამ შიგ ხომ არც ერთი ტყვია არ მიდევს, ანდა როდის იყო, რომ ჩიტებს ავტომატით დასდევდნენ, მაგრამ, ახლა რას გააგებინებ ამ ჩიტს?

ეს ჩიტი კი მტაცებს ყურადღებას, მაგრამ, ჩემი მთავარი მოვალეობა არ მავინდება, ფხიზლად გავყურებ სასროლეთს და მის გარე ტერიტორიებს. ხანდახან კი კაპიტან მოროზოვის მაკონტროლებელ, გამჭოლ მზერას ვიჭერ.

ცისფერგულამ ტაქტიკა შეიცვალა. მარჯვენა მხარეს მოაჯირიდან იატაკზე დასკუპდა და ხტუნვა-ხტუნვით მომიახლოვდა, ისე ახლოს მოვიდა, ნახევარ ნაბიჯზე იქნება ჩემგან, დახტის და ჭყიპინებს.

— რა გინდა ცისფერგულა, ვერაფერი გავიგე. მინდიასავით მაინც მესმოდეს ფრინველთა ენა. ქართული შენ არ იცი და რუსული, რაღა მაინცდამაინც მე უნდა მესნავლა შენი ჩიტური ენა? ინგლისური მე არ ვიცი და მანგლისური შენ არ გეცოდინება. — ვეუბნები ცისფერგულას და ამის შემდეგ ინყება საოცრებები.

ამ საოცრად გულადი ჩიტის მოფერება მომინდა და ამასთანავე მისი რეაქციაც მაინტერესებდა. ამიტომ გვერდულად მისკენ გავინიე სულ რაღაც ერთ მტკაველზე. გაჩერდა და რაღაც სასაცილოდ, ალმაცერად ამომხედა იატაკიდან. მე კიდევ წავინიე მისკენ, თითქმის ჩექმის წვერით შევეხე. მაშინ კი იყადრა, უკან, კვლავ ნახევარ ნაბიჯზე გადახტა და ისევ ალმაცერად ამომხედა. გამეცინა და კიდევ მისკენ წავინიე. დამაცადა, სანამ სულ ახლოს მივიდოდი და კვლავ ნახევარ ნაბიჯზე გადახტა მარჯვინივ. მის ასეთ მოქმედებაში და ალმაცერ ამოხედვაში წინასწარ განზრახული აზრი ამოვიკითხე, მისი რაღაცნაირი, ეშმაკური თვითმაყოფილება შევიგრძენი და მივხვდი, ცისფერგულა ჩიტი თავისკენ, მარჯვენა მხარეს წელ-წელა მიტყუებდა. აშკარად ვიგრძენი, ცისფერგულას უნდოდა, რომ მე ბაქანზე ცენტრალური ადგილი მიმეტოვებინა და მარჯვენა მხარეს გადავსულიყავი. კვლავ პატარა ნაბიჯებით გავინიე მარჯვენა მხარეს. ცისფერგულა ხტუნვითა და ჭყიპინით მიმიძლო-

და წინ. აი, მივუახლოვდით ბაქანის კიდეს და მარჯვენა მოაჯირს. აქ კი ცისფერგულა აფრინდა. ცოტა ხანს თავზე დამტრიალებდა, მერე საჩრდილობელის ქვეშ, მოაჯირზე დაფრინდა, სადაც ამ ცოტა ხნის წინ მე ვიდექი. იქიდან კიდევ ერთხელ გადმომხედა მარჯვენა მოაჯირთან გაშეშებულ, მომხდარით დაინტერესებულ ჯარისკაცს, მერე იატაკზე დაფრინდა და ფიცრებს შორის დარჩენილ პატარა ღრიფოში შეძვრა. იმავე წამს ფიცრების ქვემოდან ბარტყების უღურტულიც გავიგონე და ყველაფერი ნათელი გახდა, — ცისფერგულა შეიღებს კვებავდა...

ღმერთო ჩემო! თურმე დედა ყოფილა ცისფერგულა! მე კი, გამოშტერებული ჯარისკაცი აქამდე ვერ მივხვდი რას მთხოვდა, რას მემუდარებოდა დედა ჩიტი.

შემაურიადა. შემეზიზღა საკუთარი თავიც, ეს ჯარისკაცური ფორმაც და მხარზე გადაკიდებული ავტომატიც.

რამ გამომაშტერა, რამ დამიჩლუნგა ასე გონება?

შემარცხებინა ამ პატარა ჩიტმა და ეგ არის!

ცისფერგულა მალევე გამოფრინდა ბუდიდან, მოაჯირზე დასკუპდა და ჩემსკენ გამოიხედა.

— ჭყიპ-ჭყიპ, ჭიკ-ჭიკ, — ახლა უკვე ჭიკჭიკიც გამოურია ხმაში ცისფერგულამ და მე მივხვდი, რომ ეს იყო მისი სამადლობელი ჩემდამი.

— არაფერს ცისფერგულა, არაფერს, — მივაძახე მე, — გაიხარე შენს ბარტყებში, კაი შვილები დაგეზარდოს!

ცისფერგულამ მხიარული ჭიკჭიკით შეინავარდა ჰაერში. მე დავბრუნდი ჩემს ადგილზე, ბაქანის ცენტრში, ჩავიმუხლე და მხოლოდ ახლა დავუზყე თვალიერება ბუდეში შესაძრომ ღრიჭოს, რომელიც იმდენად პატარაა, რომ აქამდე საერთოდ არ შემიჩნევია. გარედან ბუდის არავითარი კვალი არა ჩანს. ბარტყებიც, ეტყობა დედის გაფრთხილებულები არიან, ანდა ინსტიქტით გრძნობენ საშიშროებას და ჩამიჩუმიც კი არ მსმერია მათი.

კვლავ გადავხედე ჩემს სამეთვალყურეო ტერიტორიას. ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ კაპიტანი მოროზოვი იყურება ჩემს მხარეს რაღაც საეჭვოდ, მაგრამ ადგილზე რომ მხედავს, კვლავ სამიზნებს უბრუნდება.

ცისფერგულა კვლავ ახალი ნადავლით მოფრინდა. დასკუპდა მარცხენა მოაჯირზე და დაიჭყიპინა. მე გამეცინა და ნაბიჯ-ნაბიჯ, მარჯვენა მხარეს გვერდულად ნავედი. მოაჯირთან მივედი თუ არა, ცისფერგულა ბუდეში შეფრინდა ისე, რომ იატაკზე აღარ დასკუპდებულა. მალევე ბუდიდან გამოფრინდა, კვლავ მარცხენა მოაჯირზე დასკუპდა. იქიდან მიყურებს და ალბათ გულში ელიმება, როგორ ვბრუნდები მე ჩემს ადგილზე — ბაქანის ცენტრში. როგორც ეტყობა, ჩვენ ერთ-





მანეთს გავუგეთ და ნდობის ძაფებიც გავაპით.

დავბრუნდი ჩემს ადგილზე თუ არა დაბლა გადავიხედე.

— ჯარისკაცო... მეომარო... შვილი! — ეს კაპიტანი მოროზოვი იძახის დაბლიდან ჩემს გასაგონად და თითს მიქნევს — რატომ არ დგახარ ერთ ადგილზე?

— აქ ჩიტი... ისა... თავის შვილებს კვებავს ამხანაგო კაპიტანო, — ვეუბნები საკმაოდ ხმამაღლა ამ სიმაღლიდან.

— რაო?! შენ ხომ არ გადაირიე? — ახლა საფეხელთან მიტრიალებს საჩვენებელ თითს კაპიტანი მოროზოვი — რა ჩიტი, რომელი ჩიტი?

— რომელი და... პატარა ჩიტია... ცისფერგულა.

— ნუ სულელობ, — თითს მიქნევს კაპიტანი მოროზოვი და ამ დროს ახალი ათეული იწყებს მიზანში სროლას.

ცისფერგულა უკვე სროლის დროს კვლავ ნანადირევით მოფრინდა. აქამდე ავტომატების ხმას უფრთხოდა, ახლა სროლის ხმაც აღარ აშინებს. დასკუბდა ისევ მოაჯირზე და მიყურებს. არ იცის რა ორჭოულ მდგომარეობაში ვვარდები. ან მას უნდა ვაწყენინო, ან კაპიტან მოროზოვს. ეჟ! აირჩიე რიგითო ჯარისკაცო პავლიაშვილო! ან კაპიტანი დაგსჯის, ან დედა ჩიტი დაგლოცავს. აირჩიე რომელიც გინდა!

ავირჩიე. უფრო სწორად დიდი ხანია არჩეული მაქეს. მარჯვენივ გავიწიე მოაჯირისკენ და ცისფერგულამაც შვილები დააპურა.

— ჯანდაბას კაპიტანი მოროზოვი. ბოლოს და ბოლოს ხომ არ დამხვრეტს?

კაპიტანი მოროზოვი ჩემსკენ იყურება, მერე ჩემს ოცმეთაურს, უფროს ლეიტენანტ კომაროვს ახედებს ჩემსკენ და რაღაცას ეუბნება.

ალბათ შემცვლიან ცოტა ხანში, მაგრამ, სანამ შემცვლიდნენ, ცისფერგულა გამოაძლობს კიდეც თავის ბარტყებს.

თითქოს ცისფერგულაც გრძნობს რაღაცას, მალ-მალე მოფრინავს. ან ასე უცბად სად იჭერს ამდენ მწერებს? ბაქანზე აქეთ-იქით დავდივარ. კაპიტან მოროზოვისკენ ვცდილობ ნაკლებად გავიხედო. სასროლეთის ტერიტორია კი მარჯვენა მხრიდანაც კარგად მოსჩანს, ბრძანებას კეთილსინდისიერად ვასრულებ. თუმც კაპიტანი მოროზოვი ვერ მხედავს მარჯვენა მხარეს და ჰერია, რომ რაღაცას ცუდს ვაკეთებ. ვინ იცის, რა ბოროტებას აღარ მაწერს.

მეოთხე ოცეული ამთავრებს სროლას და უკვე ჩვენი ოცეულის ჯერი დგება. კიბეზე ვიღაც ამოდის ჩემს შესაცვლელად.

ამოვიდა. მეორე ოცეულის ჯარისკაცი ვასილი პტიჩინი გამოუგზავნიათ ჩემს შესაცვლელად. მე აქ „ჩიტები“ მაკლია კიდევ?

— ჩადი და ისროლე, შენი ჯერია, — მეუბნება ვასია, — იცოდე, კაპიტანი მოროზოვი გაჯავრე-

ბულია შენზე.

— ვიცი ვასია, — ვეუბნები, — შენზედაც გაბრაზდება, მაგრამ არაუშავს. შენც ასევე მოიქეცი, ნახე, ცისფერგულა ჩიტი ცხოვრობს აქ, ბარტყები ჰყავს. იცოდე, შვილები მშივრები არ დაუტოვო. აი, მოფრინდა, ხედავ? მარჯვნივ გაინევი ბოლომდე და ისიც თავისუფლად შეძვრება ბუდეში. ერთი გვარისა ხართ და აბა, შენ იცი, არ აწყენინო იცოდე, — მეც ჩიმებური ინსტრუქტაჟი ჩავუტარე ვასია პტიჩინს.

ვასიას თვალები გაუფართოვდა.

— კარგი... კარგი... გავიგე, ასეც მოვიქცევი, სასროლეთსაც მივხედავ, ჩადი. ნუ გეშინია, — მამშვიდებს ვასია. კოჭებზე ეტყობა, კარგი ბიჭია.

— ნახვამდის ცისფერგულა, ნახვამდის პანიები! — დავემშვიდობე ცისფერგულას ოჯახს, ხელი დაუუქნიე და კიბეზე დაბლა დავეშვი.

მიწაზე ფეხი დავდგი თუ არა, კაპიტანმა მოროზოვმა თითით თავისთან მიმიხმო, ჩვენი ოცმეთაური კომაროვიც იქვეა.

— გიცხადებ სამ განწესს, რიგგარეშე! — ხელი საფეხელთან მიიღო კაპიტანმა მოროზოვმა და კომაროვს მიუბრუნდა, — ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ყურადღება მიაქციეთ, რომ იმუშაოს როგორც წესი და რიგია, — გასაგებია?

— არის, სამი განწესი რიგგარეშე! — ვიღიმები მე.

კაპიტანი მოროზოვი ვერ ხვდება, რა მაცინებს მე უბედურს. ხან მე მიყურებს გაოცებული თვალებით, ხან ოცმეთაურს, მერე ანძის ბაქანზე აიხედა. ვასია პტიჩინი იქ ვერ დალანდა.

— იქ, მაღლა რა ხდება? — მეკითხება ბოლოს, — რატომ არ ჩერდებოდი ადგილზე?

— ვერც ვასია პტიჩინი გაჩერდება, ამხანაგო კაპიტანო, ისეთი სიტუაციაა იქ.

— გაგიუდით?! ტრიბუნალს გადაგცემთ! — იმუქრება კაპიტანი.

მე ისევ ვიცინი, რომ წარმოვიდგენ ცისფერგულას გულისთვის „გამომუშავებულ“ ტრიბუნალს.

— ამხანაგო კაპიტანო! თქვენ თვითონ ადით იქ, ნახეთ იქაურობა და თუ ამის მერეც გადამცემთ ტრიბუნალს, თქვენი ნება იყოს. — ჩავაწვეთე ასეთი იდეა კაპიტან მოროზოვს.

კაპიტანმა მოროზოვმა დამიჯერა, სასროლეთზე შესვენება გამოაცხადა და ანძის ვიწრო კიბეებს ზევით აუყვა.

მე ოცმეთაურ კომაროვს მოვუყევი ცისფერგულას შესახებ, მაგრამ მას არც თუ ძალიან აინტერესებს ეს ამბავი.

ეს გასაგებიცაა ჩემთვის, არ სცალია ახლა უფროს ლეიტენანტ კომაროვს სენტიმენტალიზმისთვის. გუშინ პოლკოვნიკმა შუბინმა ისე გამოლანდა კომაროვი, რომ ეს ამბავი აღარ კარგა ხანს არ დაავიწყდება. შეიძლება მთელი





სიცოცხლის მანძილზეც კი არ დაავიწყდეს.

გუშინ სადილობამდე სიქა გაგვაცალა ჩვენი ოცეულის ჯარისკაცებს კომაროვმა. ჯერ აირნინალებით გვარბენინა კარგა ხანს, რაღაცით უკმაყოფილო დარჩა მაინც. მერე მარშით რამდენჯერმე შემოგვატარა სამხედრო ქალაქი. ამასობაში სადილობის დრომაც მოაღწია. ჩვენი ასეული განრიგით ზუსტად ორ საათზე უნდა იყოს სასადილოში. ოცეულები რიგ-რიგობით შედიან სასადილოში და როცა მთელი ასეული მაგიდებთან მოთავსდება, მაშინ იწყება სამზარეულოდან პირველი თავი კერძის, წენიანის გამოტანა. ასეთია აქაური დღის რეჟიმი და ყველა ზუსტად იცავს მას. ჰოდა, ჩვენი ოცეულის მარშით ისე გაერთო კომაროვი, რომ სადილობის დრო გამორჩა. როდესაც აღმოჩინა, რომ სადილზე ვაგვიანებდით, სწრაფი ნაბიჯებით სასადილოს მიმართულებით წაგვიყვანა. ორასიოდე მეტრი გვექნებოდა სასადილომდე დარჩენილი, სადაც მხოლოდ ჩვენ გველოდნენ.

— ოცეულო! სირბილით იარ! — მოგვაძახა კომაროვმა და თვითონაც სირბილით მოგვყვა გვერდით.

სასადილოსთან ქოშინით მივირბინეთ თუ არა, ჩვენი ჩექების ბრახაბრუბზე სამხედრო ნაწილის მეთაური პოლკოვნიკი შუბინი გამოვარდა.

— ოცეულო შეჩერდი! თავისუფლად! — გვიბრძანა მან და უფროსი ლეიტენანტი კომაროვი თავისთან იხმო.

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! — წარბეპი მრისხანედ აზიდა პოლკოვნიკმა, — ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! სად გონიათ თქვენი თავი? ხომ არ გაგიყდით ამ შუადღისას. როგორ შეიძლება ჭამის ნინ ჯარისკაცების სირბილი? თქვენ ასე უფრთხილდებით ჩვენს ჯარისკაცებს, ამ პატარა ბიჭებს, რომლებიც მშობლებმა სიყვარულით ჩაგაბარეს? რატომ არცხვენთ საბჭოთა ოფიცრის ღირსებას? მეორედ სამხრებს დაგაგლეჯ იცოდე, ასეთი სისულელის გაკეთებისთვის!

ერთი სიტყვით, მთელი ოცეულის თვალინი საკმაოდ გამოლანდა კომაროვი, რომელსაც თავი ჩაექინდრა, სახეზე ალმური ასდიოდა და სირცხვილისაგან აღარ იცოდა სად ჩამდვრალიყო.

ჯარისკაცებს მაინცადამაინც არ გვეჯავრებოდა ოცემთაური კომაროვი. ბევრს კი გვარბენინებდა, მაგრამ ვთვლიდით რომ ასე იყო საჭირო. ახლა კი პოლკოვნიკ შუბინის გამოსარჩლებამ და ჯარისკაცებზე უჩვეულო ზრუნვამ გულს მოგვიფონა და ამ კაცს ღმერთივით დავუწყეთ ყურება. ასეთ რამეებს საერთოდ არ ვიყავით მიჩვეულები.

სამი თუ ოთხი წუთი ლანძლა კომაროვი

პოლკოვნიკმა. ამასობაში ჩვენც დავისვენეთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიშვა პოლკოვნიკმა სადილზე. ოცმეთაურ კომაროვს ისე წაუხდა მადა, რომ პირი არ დაუკარებია საჭმელისათვის. ჩვენ, ჯარისკაცებს სადღაც გვებრალებოდა კიდეც იგი, თუმცა დამსახურებისამებრ მიიღო.

და ახლა უფროსი ლეიტენანტი კომაროვი ჩამქრალი თვალებითა და ჩამოყრილი ყურებით უსმენს ჩემსა და ცისფერგულას თავგადასავალს, ჩანს, გუშინდელი შეხურება ჯერაც არ გამონელებია.

კაპიტანი მოროზოვი ანძიდან ჩამოვიდა და ჩვენსკენ ღიმილით გამოემართა.

— შვილო, შენ მართალი ხარ... ვაუქმებ ადრე გამოცხადებულ, სამ რიგგარეშე განწესს, გამომიხვედი შენც ტიმირიაზევი... მიდი ახლა და ისროლე, ვნახოთ რა სანაპერიცა ხარ. — ხელი მხრებზე მსუბუქად შემახო კაპიტანმა მოროზოვმა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— შესვენება დამთავრებულია, გამოდით ცეცხლის ხაზზე!

გულდასმით, რაც შეიძლებოდა დინჯად ვესროლე სამიზნეს წოლელა მდგომარეობიდან. სამიზნების სანახავად რომ წავედით, აღმოჩინდა, რომ ერთი ტყვია ათიანში გამირტყამს, მეორე — რვიანში, მესამე კი საერთოდ არ მოხვედრია სამიზნეს. მაინც თვრამეტი ქულა მოვაგროვე ორი ტყვიით. ეს არც თუ ისე ცუდი შედეგია. აი, მესამე ტყვიაც რომ მომერტყა მიზანში, მართლაც სნაიპერი ვიქენებოდი.

კაპიტანი მოროზოვი მოუახლოვდა ჩემს სამიზნეს და შეამოწმა.

— აბა, ჯარისკაცო პავლიაშვილო! — შევატყვე, რომ საბოლოოდ დაიხსომა ჩემი გვარი კაპიტანმა მოროზოვმა, — მესამე ტყვია რა უყავი, გააფრინე? ჩიტების ბრალია, შენ ისევ იმათთან ხარ, გეტყობა. რას იტყვი კომაროვ, მაინც კარგი ბიჭია, არა? — ჩემზე ანიშნა კომაროვს.

— ისე რაა... — დაიღრიჯა კომაროვი, — დიდი ვერაფერი მონადირეა.

სადილის მერე, თავისუფალი დრო რომ მოვცეს, ვასია პტიჩინი მოვნახე, ანძაზე ავძვერით. ბაქანზე, საჩირდილობელის ქვეშ, ბუდესთან ხის ფირფიტა მივაკარით რუსულ-ქართული წარწერით, რომელიც იუნიებოდა: „აქ ცხოვრობს ცისფერგულა ჩიტები, კარგი ბარტყების დედა. გთხოვთ არ შეანუხოთ! 30. 06. 1971ნ.“

ამ ამბის შემდეგ ერთი კვირა კიდევ ისმოდა სასროლეთზე ავტომატების კავანი. ერთი კვირის მერე ჯარისკაცები მანქანებში ჩაგვსხეს, მერე მატარებელში გადაგვსხეს და ჩრდილოეთის მიმართულებით გზას გაგვიყენეს.

ვოლგისპირა ჭალებში კი ალბათ დღესაც ლალად დაფრინავს ცისფერგულა თავის, ვინ იცის, მერამდენე თაობის შვილებთან ერთად.



ლ
ე
ლ
ე
ლ
ე
ლ
ე
ლ
ე
ლ
ე
ლ
ე
ლ
ე
ლ

მარიამ კოზმანიშვილი

ის ფარავინა გოგო ვახსოვდი...
 ის კაფანდარა ბიჭი მხხსოვდა...
 ვფგვართ ერთმანეთის პირისპირ,
 ორი შემოფგობა,
 ორი, ფრონით ნაგვეძი ადამიანი...
 მე — სხვისი წოლი,
 ის ქმარი — სხვისი...
 ვფგვართ და ერთმანეთის ოფალებში,
 ჩვენს უერთმანეთოდ გაფრენილ
 წოვრებას კუთხულობრთ...

მარიამ კოზმანიშვილი

ლ
ე
ლ
ე
ლ
ე
ლ
ე
ლ
ე
ლ
ე
ლ
ე
ლ
ე
ლ

* * *

შენს სახლში ქურდი არასდროს შემოვა, მარიამ...
 რომც შემოვიდეს, ვერაფერს გაიტანს...
 ქურდს ლექსები არ სჭირდება...
 არც წიგნები...
 არც ნივთები, შენთვის ძვირფას მოგონებებს,
 წვრილმან, თუ მსხვილმან ბედნიერებას რომ ინახავენ...
 მთელ შენს ავლადიდებას ერთი საპალნე ჯორი ეყოფა, მარიამ...
 გამცილებელიც რომ არ გააყოლო,
 არავის მოუნდება მისი გაძარცვა...
 ჯორს აკიდებულ ხურჯინებში ოქრო-ვერცხლი არ იწვრიალებს...
 ფარჩა-აბრეშუმი არ იშრიალებს...
 უბრალო კაბის ნაკეცებში მოლიკლიკე პოეზია კი მეკობრეების სმენას ვერ დაატყვევებს,
 ვერ ნაქებებს სახელმრუდოდ...
 შენ არავინ გაგიტაცებს ქუჩიდან თავისი სასახლის დედოფლად, მარიამ...
 შენი სილამაზე უბრალო და უჩინარია...
 მხოლოდ შენნაირები თუ შეამჩნევენ...
 შენს მშვიდ მზერაში მიმალულ მზეს გულგრილად აუვლიან გვერდს
 ქურდები, ავაზაკები, მეკობრეები...
 ყველა განსაცდელს სხვათათვის უინტერესო, შენთვის ძვირფასი „სილარიბე“ აგარიდებს...
 იყავი მშვიდი და ღმერთს მინდობილი,
 გული შენი, განძი, უჩინარი,
 უპოვართათვის დაარიგე გზა-გზა, მარიამ.





 ბავშვობაში ბებო მყავდა,
 მყავდა ბებინაცვალიც,
 სოფელს პაპა მიმშვენებდა,
 თბილის – პაპინაცვალი.
 არც სოფელში, არც ქალაქში,
 არ ქრებოდა ღადარი...
 არ სუნთქავდა დუნიაზე,
 ბავშვი, ჩემი სადარი...
 აქეთ – პაპა, იქით – ბებო,
 წყვილი გული, წყვილი მზე...
 და ბავშვური თვალებიდან
 იცინდა პირიმზე...
 იქაც, აქაც, ზამთარ-ზაფხულ,
 ვფრიალებდი სიოდა...
 მათთან არცრის მეშინდა,
 არც არასდროს მციოდა...
 აქეთ პაპის ნებიერას,
 იქით – პაპინაცვალის,
 თოთო გულში არ მებადა
 ბოროტების მარცვალიც...
 სულ ბადაგით სავსე იყო
 დღეთა თეთრი ხელადა...
 მაშინ კაცი კაცობდა და
 მაშინ ხელი ხელს ბანდა...
 დრო გავიდა... გავიზარდე...
 გული სისხლად დავცალე...
 არც ბებო მყავს, აღარც პაპა,
 აღარც მათი ნაცვალი...
 გზა, ქალაქის, დამეკარგა,
 შევრჩი სოფელს მძევლადა...
 შვილებისათვის ვაგსებ ახლა,
 ტკბილბადაგით ხელადას.

 ბალახის ერთი ღერი ვარ,
 სინათლის ერთი სვეტი...
 არც არავისზე ნაკლები,
 არც არავისზე მეტი...
 ზოგჯერ სამყაროს გული ვარ,
 ზოგჯერ სატირლად კენტი,
 ხან უსაშველოდ მუნჯი ვარ,
 ხან უსაშველოდ ცეტი...
 ხან ცამდე ბედნიერი ვარ,
 ხან დროს წვიმებად ვერთვი...
 ვიღაცისათვის მონა ვარ...
 ვიღაცისათვის – ღმერთი.



ჯერ გაზაფხულის დავკეცე ქობა...
 მერე ზაფხულის ვკეცე მაქმანი...
 ბევრჯერ ვისმინე მუსიკა წვიმის...
 ბევრჯერ – ცერცეტა ქარის ქაქანი...
 ჯერ მტკაველ-მტკაველ დავცილდი ყრმობას
 და სიყმანვილის დავთმე ზღაპარი...
 ახლა კი კართან – შემოდგომისა,
 ვიპოვნე მყუდრო თავშესაფარი...
 აქ სიმშვიდეა და სისადავე...
 აქ რა ხელი აქვს გულო, ფორიაქს?...
 ყველა შეცდომა და სისულელე,
 რაც დროს მოჰქონდა, ისევ დროს მიაქვს...
 ხან სიყვარულით ვპანგე გონება...
 ხან ვკაფე გზები – ეკლის და ძეძვის...
 ხან მე მოვათრევ ცხოვრებას რქებით...
 ხან უამური დრო-უამი მებრძვის...
 და აპა, ვდგავარ მე – შემოდგომა,
 დროის ფიჭიდან თაფლის მპარავი...
 დამარლვეველი – ჩემი სიმშვიდის,
 არ მეგულება ქვეყნად არავინ.

მოვარდა ქარი, როგორც მეკობრე
 და ყველაფერი წამში არია...
 ქარმა წამალა კვალი ბავშვობის,
 მალე შენს კვალსაც წაშლის, მარიამ...
 ზის ცაცხვის ტოტზე ჩიტი, ღაბუა
 და სიყვარულის მღერის არიას...
 სულში ინახავ ფოლიანტებად,
 სიტყვებს, ღიმილებს წრფელს და დარიანს...
 აცილებ შენგან არამეოთხეებს...
 ორგულს, უღმერთოს, ცრუს და შარიანს,
 ერთ გულწრფელ ლექსად მაინც დარჩები,
 სანამდე ქარი წაგშლის, მარიამ.

ნამცხვარს ვაცხობ...
 აგერ უკვე 30 წელია,
 ერთი და იგივე რეცეპტით,
 ერთნაირი რუდუნებით და სიყვარულით...
 დროდადრო მზერას ვავლებ მაგიდაზე
 გადამლილ,

დახულ და გაცრეცილ ფურცელს, –
დედისულ ხელნერას,
დედის სურნელს და
სითბოს რომ ინახავს...
ასე მგონია, დედა ზის ჩემ წინ...
ნივთები მოგონებებს აღვიძებენ...
აი, ვხედავ დედაჩემის
თეთრ ხელებს,
ფქვილმოყრილ მაგიდაზე გაშლილ ცომზე
მოსრიალეს...
მისი ტკბილი ხმაც მესმის,
„მოაცურე ჩემკენ ნაავიი“...
და როგორც მაშინ,
ბედნიერი ვარ...
ცომს სანამცხვრე დაფაზე ვაფენ
და ისევ კადრი:
ეზოში, კაკლის ხის ჩეროში
კოპნია მაგიდა...
ლამაზ ლარნაკში ლოყანითელი ვაშლატამა,
(დედას საყვარელი ხილი)
ჯერ ისევ თბილი ნამცხვარი –
„სომხური ქადა“,
ლურჯი საარყე და ლურჯი სირჩა
და იქვე, სკამზე,
მამაჩემის შორეული ნათესავი,
ზამთარ-ზაფხულ სამხედრო შინელში
გამოხვეული,
სოფელში „ჭიტად“ წოდებული,
ასაკშეპარული კაცი...
ყველა სოფელს ხომ თითო გიუი ჰყავს?..
სოფლისთვის გიუი იყო,
ჩვენთვის ნათესავი –
ავი ბედისგან დაჩაგრული...
საბრალო და მიუსაფარი...
ნივთები ხსოვნას აღვიძებენ...
ამ გაცრეცილ ფურცელზე
სანახევროდ გადაშლილ სიტყვებს
ბავშვობაში მიღყავარ მუდამ...
ვაცხობ ნამცხვარს და
30 წელია უკვე,
დილეტანტი მზარეულივით,
მაგიდაზე დედის ხელით დაწერილ
რეცეპტს ჩავცქერი
და დედაჩემის ხმით
დედაჩემის საყვარელ სიმღერას ვლილინებ.

ორი შემოფეგომა

ეს „ბიჭი“ ჩემს ფანჯრებთან აღამებდა...
მოდიოდა და იდგა მოლოდინადქცეული,
თვალებში ნატვრაჩაგუბებული...
დამინახავდა და გაიბადრებოდა,
მზედ ამოენთებოდა,
ილიმებოდა...
ეს „ბიჭი“ სკოლიდან დაბრუნებულს,
ჩრდილივით მომყვებოდა,
სახლამდე მაცილებდა,
ვითომ „სულერთია“-ს გამომეტყველებით...
ვითომ შემთხვევით...
ვითომ „გზა მაინც იქით მაქვსო“...
წვალობდა და მასევდიანებდა
თავისი სიჯიუტით...
ეს „ბიჭი“ სავალდებულო სამხედრო
სამსახურს იხდიდა,
მე რომ გავთხოვდი...
მითხრეს, იტირაო...
ამ „ბიჭმა“ ორი ომი გამოიარა,
სამშობლოს დასაცავად
სიცოცხლეს სწირავდა...
ოცნება კი ვერ აისრულა,
დღესაც გასხვისებულ,
დანაწევრებულ,
პარტიებად დაშლილსა და
აშლილ ქვეყანას სტირის...
როგორ დაბერებულა!
დღემდე ქარის მოტანილ ამბეჭს
ვისმენდი მასზე...
დღემდე ვერსად გადავეყარეთ ერთმანეთს...
ის ფარატინა გოგო ვახსოვდი...
ის კაფანდარა ბიჭი მახსოვდა...
ვდგავართ ერთმანეთის პირისპირ,
ორი შემოდგომა,
ორი, დროით ნაგვემი ადამიანი...
მე – სხვისი ცოლი,
ის ქმარი – სხვისი...
ვდგავართ და ერთმანეთის თვალებში,
ჩვენს უერთმანეთოდ გაფრენილ
ცხოვრებას ვკითხულობთ...
მის მზერაში ისევ კიაფობს მიმქრალი
გრძნობის ნაპერნკალი...
მე ისევ სევდა მლრლის,
შემორჩენილი უხერხულობის და
„რა ჩემი ბრალიას“ სევდა...

ლანა მანველი

10



ლანა მანველი საქართველოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოშენებული მანველი

ლანა მანველი საქართველოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოშენებული მანველი

ნ ი ნ ო: გახსოვს ის ლამე? მაშინ, მარტომ ვუყრე ილუზიონს, მერე ვიფრე დავწერებოდი, გრიეთ გავიხედე, სიხარულისგან გავოგნდი – ლამპიონების შექმე ზღაპრულად თოვდა! ვერ მოვითმინე, ავანზე გავვარდი, ხელები ფაფუქ, უთუორეს ფიფქებმა შევაგერე, ჰევით რომ ჩამოვიხედე, გაორებისგან კინგლამ გადმოვგარდი. (ილიმერა) ჩემს კორპუსთან იდექი და ზემოთ იყურებოდი. ფიტრონი ფანტელები ფრიალ-ფრიალით გვეფინებოდა თრივეს... ფრენები ვინაფრე შენთან გადმოსაფრენდა.

რ ა ჭ ი: იმ ლამეს მივხვდი, რომ ძალიან მიყვარდი!

ლანა მანველი

დრამა პოეტურად

ერთმოქმედებიანი დრამა

მოქმედი პირნი:

ნინო — 38 წლის

თენგო — ნინოს ქმარი, 40 წლის

თათა — 16 წლის მოსწავლე, ნინოს და თენგოს შვილი

ნინო — 16 წლის ასაკში

რატი — ნინოს ბავშვობის შეყვარებული, 16 წლის

რატი — დიდობაში, ნინოს ასაკის

I სურათი

(ისმის მსხვრევის ხმა და ნინოს ყვირილი: – გეყოფა!.. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდება. სცენაზე შემოვარდება თენგო, ფეხდაფეხ ცოლი მოჰყვება).

ნ ი ნ ო: ისევ მიდიხარ?

თ ე ნ გ ო (ყვირის): უნდა წავიდე! სული მიხუთავ!..

ნ ი ნ ო (ნერვიულად დადის აქეთ-იქთ): რას გომავებ? – მთელი დღე ვრეცხავ, სადილს ვამზადებ, სახლს ვალაგებ. ხელს რაში გიმლი? შენს ნებაზე ხარ! ყოველთვის ისე იქცეოდი, როგორც გინდოდა! მე სახლზე, ბავშვზე ვარ მიჯაჭვული, შენ კი სულ გარბიხარ, ჩვენგან გარბიხარ!

გახსოვს, მაშინაც როგორ მიგვატოვე, იმ გაჭირებაში? სული კბილით გვეჭირა! გაყრის დავაზე რაღას იტყვი? ფოსტალიონმა სასამართლოდან გამოგზავნილი უწყება, უპნის მაღაზიაში დატოვა და თვეების განმავლობაში კეფა მეწვოდა, ჭორიკანა მეზობლების ცნობისმოყვარე და ვითომ შესაცოდი მზერით!

თ ე ნ გ ო: ხომ დაგბრუნდი, რა გინდოდა? – მაინც არ მომასვენე! სულ მეწუწუნები, რამეს გაკლებთ?

ნ ი ნ ო: არა გრცხვენია? ცხოვრება დამიმახინჯე!.. ვისთან მიდიხარ? (ცდილობს ხელი შეუშალოს ნასვლაში).

თ ე ნ გ ო (ჩემოდანში ტანსაცმელს ყრის): იძულებულს მხდი, საკუთარი სახლიდან წავიდე! ერთი დღეც არ მახსოვს, სიმშვიდე და სითბო ყოფილობის ამ ჯოჯოხეთში!..

ნ ი ნ ო: ჯოჯოხეთად შენ გადააქციო!

თ ე ნ გ ო: აღარ შემიძლია შენი მარნუხების ატანა! მიიხედ-მოიხედე, დაქალებს ჰკითხე ქმრებს როგორ ექცევიან? თუმცა ახლა უკვე გვიანია! (კარს გაიჯახუნებს, ქალი კივის და კარს რაღაც მძიმე ნივთს ესვრის).

ნ ი ნ ო: წადი! წასასვლელი ბევრგან გაქვს! შეგიძლია იმ სუნამოს პატრონთან მიბრძანდე წუხელ რომ აგაყროლა! გინდა, ალისფერ ტუჩისაცხიან „ქალბატონთან“ ათენე ღამეები! ააა, ჩვენ ბოდიში, სასაჩუქრე პაკეტი დამავიწყდა, „შერატონმა“ რომ დაგაჯილდოვა ხშირი სტუმრიანობისთვის! ყოჩალ! გილოცავთ, ბატონო თენგიზ, მართლაცდა ნიჭიერი არმზადა ხართ!.. (ჩამუხლული ტირის, კარზე ზარი, ქალი წამოდგება, კარს აღებს. სახლში შემოსულ შვილს სახეს არიდებს).





- თ ა თ ა (დედის დანახვაზე გოგონა ყურსასმენს მოიხსნის):** რა ხდება, ისევ იჩხუბეთ?
- ნ ი ნ ი:** გაკვეთილები ადრე დაგიმთავრდათ?
- თ ა თ ა:** დედა! რა მოხდა, ისევ იჩხუბეთ?
- ნ ი ნ ი:** ეს რა ცხოვრება მაქვს! ზოგჯერ ისეთ რაღაცებს ვაკეთებ საღად მოაზროვნე ადამიანი რომ არ ჩაიდენს... სიცოცხლე აღარ მინდა!
- ამდენი დარდით ლამისაა გული გამისკდეს, რომ ჰკითხო ვზიგარ სახლში და თაფლს და კარაქს მივირთმევ! (თათა ისევ იკეთებს ყურსასმენს და თავის ოთახში გადის, ნინო თვალს გააყოლებს). ნეტა ვის აქვს ჩემი დარდი? ყველას თავისი ცხოვრება აქვს, საკუთარ შვილსაც კი!

II სურათი

(თათა ოთახში შედის, ჩანთას იქვე მიაგდებს და საწოლზე დავარდება. დარბაზში, თინეიჯერული სიმღერებიდან რომელიმე ისმის. გოგონა უცბად წამოდგება, ყურსასმენს მობილურ ტელეფონიანად საწოლზე დააგდებს და სარკესთან მივა).

თ ა თ ა (დონიჯვშმოყრილი): მაშ ასე თათა, მამა წავიდა! გეწყინა? — ისე რა. მივეჩვიე ამ ყველაფერს. ადრე, როდესაც პატარა ვიყავი, დედა და მამა თავს იკავებდნენ და მხოლოდ მაშინ ჩხუბობდნენ როდესაც მეძინა; ბოლო დროს უკვე აღარ მერიდებიან და თამამად ანთხევენ გულისნადებს ჩემი თანდასწრებით. (ჩაიცინებს). აი, მე კი არასოდეს არ გავთხოვდები! დიახ, არასოდეს! თვით, რომეო მონტეგიც რომ გამომეცხადოს! თუმცა, (ჩაიცინებს) რომეო ძალიან ძეველმოდურია. არ მხიბლავს რომანტიკა – სანთლებით აბრიალებული გული, სერენადები და სიმშვიდე დაკარგული მეზობლების მითქმა-მოთქმა.

(უეცრად ისმის ნინოს ყვირილი).

ნ ი ნ ი: ქალბატონი! ძალიან მაინტერესებს, როგორ უფრო მოგწონს სიგარეტის მოწევა – პომადიანი თუ უპომადო ტუჩებით?

(მემოდის ნინო).

ნ ი ნ ი: როგორ არ გეცოდები! ვინ მიგაჩვია? სკოლაში ეწევით?

თ ა თ ა: არ ვეწევი!

ნ ი ნ ი: ნუ მატყუებ!

თ ა თ ა (გალიზიანებულად): ჰო, კარგი! ვეწევი! მერე რა? იქნებ შენ არასოდეს მოგიწევია დაქალებში!?

ნ ი ნ ი: ნუ მეუზრდელები!

თ ა თ ა: დამანებე რაა თავი! (ყურსასმენებს იკეთებს) გადი, უნდა ვიცეკვო!

ნ ი ნ ი: ასე რატომ მექცევი, არ გრცხვენია?

თ ა თ ა: შენ თვითონ როგორ მექცევი!

ნ ი ნ ი: როგორ გექცევი?

თ ა თ ა: უფლ, კარგი რა? მარტო მინდა დავრჩე!

(თათა დედას კარისაკენ უბიძებს. ნინო საყვედურით საესე სახეზე ხელისგულს აიფარებს და ისე შემობრუნდება. ოთახში, სკამზე ჩამოჯდება და გაირინდება).

III სურათი

(თათა ხვდება, რომ დედას ძალიან ატკინა გული და თავისი ოთახიდან გამოდის).

თ ა თ ა: დე, საჭმელი რა გვაქვს, მშია. (ნინო არ პასუხობს) დე, ბოდიში...

ნ ი ნ ი: თავი დამანებე...

თ ა თ ა: ოო, კარგი რაა... (ლოყაზე კოცნის და ეხვევა).

ნ ი ნ ი: უხემობ, გულს მტკენ...

თ ა თ ა: დე, გინდა ფეისბუქი გაგიხსნა?

ნ ი ნ ი: მე მაგეების დრო არ მაქვს!

თ ა თ ა: კლასელებს მოძებნი, კურსელებს, რა ვიცი, ცოტა გულს გადააყოლებ...

ნ ი ნ ი: დამცინი?

თ ა თ ა: არა, რატომ? გაერთობი. მოდი რა?!

(კომპიუტერთან მიღარუნდა. თათა, დედას გვერდით მოისვამს).

ნ ი ნ ი (უხერხულად): ამისთვის მცაალია ახლა მე?!

თ ა თ ა: მოგეწონება. ჯერ პროფილს გაგიხსნი. ყველაზე ლამაზ ფოტოებს აგიტვირთავ. გარეუანის





ფოტოდ აი, ამას დაგიდებ — ყველანი ერთად ვართ და ბედნიერებს ვგავართ.

ნინო: თათა...

თათა: ჰო, დე... ვინმე არ აგეკიდოს, მშვენივრად გამოიყურები და იცოდნენ ქმარშვილიანი ქალი რომ ხარ!

ნინო: ქმარშვილიანი!..

თათა: კარგი, ჰო, შეილიანი ხომ ხარ? თანაც დაიცადე, ისევ დაგიძრუნდება შენი ქმარი.

ნინო: თათა... (ლრმად ამოისუნთქებს) ძალიან დავიღალე, ცოტა ხანს მაინც ნუ დაბრუნდება, კარგი? რამდენი წელია ერთმანეთს გულს ვტკენთ. შეიძლება გამიზნულად არც ვაკეთებთ, მაგრამ ორივენი მი-ვეჩვიეთ ამას და სხვანარად უკვე ალარ გამოგვდის. თუ მართლა ალარ ვუნდივართ, ერთხელ და სამუდა-მოდ წავიდეს. მეც ალარ ვიქენები ასე ჰაერში გამოკიდებული!

თათა: შენი პირველი ფრენდი მე ვიქნები.

ნინო: ბატონი? აა, ჰო, მივხვდი.

თათა: აბა, ახლა მითხარი, ვინ მოგიძებნო?

ნინო: ჰმმ, ვინ დაა... მაია ნახე, რაზმაძე.

თათა: რამდენიმე მოიძებნა, შეხედე.

ნინო: არა, ეს არაა, არც ეს, ეს მთლად ბავშვია დე... აბა, ანა კაციტაძე მოძებნე.

თათა: ვაა, შეხედე დე, ვიღაც თურქი მეგობრობას გთავაზობს.

ნინო: დამანახე...

თათა: კარგი ახლა, თურქები გვინდა ჩვენ?!?

ნინო (ხუმრობით): მოიცადე, იქნებ ორჟან ფამუქია ან სავაშ ბალდარი, მაჩვენე.

თათა: თარქანია დე!.. (იცინის) იგნორ!

ნინო: წავალ, დავალაგებ, ყორაზეა ყველაფერი.

თათა: მოიცადე, გასწავლო არ გინდა? აქ თამაშებია, გახსოვს პეტიტოს რომ ვთამაშობდი?

ნინო: თათა, მამაშენი მართლა რომ ალარ დაბრუნდეს, რა უნდა ვქნათ, რითი ვიცხოვროთ?

თათა: დაბრუნდება! თუ არა და, განქორნინდებით და ალიმენტს გადაგვიხდის.

ნინო: რა ალიმენტს? სრულწლოვანებამდე რაღა დაგრჩა!?

თათა: ოფფ! სულ არ მადარდებს მე ეგ ამბავი! წავედი!

(თათა ყურსასმენს იკეთებს, დარბაზში ისმის იგივე სიმღერა. სცენა ბნელდება).

IV სურათი

(სცენა ნათდება. ნინო კომპიუტერთან ზის და გაფაციცებით მისჩერებია ეკრანს).

ნინო: საყდრისი მაინც აუფეთქებიათ!.. საქართველოს კიდევ ერთი სოფელი დაუკარგავს მავთულხლართებით!.. ქართული ანსამბლის გასტროლები მოსკოვში!..

ვაიმე, ალენ დელონი ჩამოდის თბილისში! პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოს უნდა წარუდლეს! ღმერთო ჩემო, წლების წინ ალბოთ გავგიუდებოდით გოგოები სიხარულისგან! თუმცა, მე ხომ საკუთარი ალენ დელონი მყავდა... (ჩაფიქრდება) — სად არის ნეტა? როგორ არის? (ფიქრებს ხელს აუქნევს) ეჲ! მე ჩემი სევდიანი ცხოვრებაც მეყოფა. დარდებში ვარ გაბმული... თუ დაბმული... (ავანსცენისკენ წავა და იქვე ჩამოჯდება).

V სურათი

(მუსიკა. სცენა ბნელდება. ნათდება ეკრანი. 16 წლის რატი დგას და ნინოს გამოჩენას ელოდება. ერთ ხელში ჩანთა, მეორეში კი ღვეზელები უჭირავს. გამოჩენდება ასევე 16 წლის ნინო, რატი სიხარულით ეგებება და ჩანთას ართმეცს).

რატი: ისაუზმე?

ნინო (მლერადი ხმით): აარა!

(იქვე ჩამოსხდებიან და გემრიელად ილუკმებიან).

რატი: მოემზადე გამოცდისთვის?

ნინო (ისევ მლერადად): დიახ!

რატი: რომელი ქვეყნის პოეზია აირჩიე?



6 ი 6 ო: „სადაც არ წავიდე ცხოვრების გზებით
და ცხოვრების მრუდებით, გჯეროდეს ისევ შენ
დაგიბრუნდები, შენ დაგიბრუნდები.“

რატი: რობერტ ბერნსი — შოტლანდიური პოე-
ზია!

„ჩემი სიყვარული წითელი ვარდია, —
ტოტებზე აწვდილი,
ჩემი სიყვარული სიმღერის ჰანგია, —
ნაზი და ხმატკბილი...
რაც უფრო კეკლუცობ, რაც უფრო ლამაზობ,
ნაზად იმზირები, —
უფრო ვიძირები მე შენს სიყვარულში,
უფრო ვიძირები.
მანამ მეყვარები ვიდრე დაცხრებიან
დრო — ჟამის ქარები,
ვიდრე ზღვა დაშრება,
ვიდრე კლდე დადნება
მანამ მეყვარები.
სადაც არ წავიდე ცხოვრების გზებით და
ცხოვრების მრუდებით,
გჯეროდეს ისევ შენ დაგიბრუნდები,
შენ დაგიბრუნდები.“

6 ი 6 ო: რატი...

რატი: მიყვარხარ!

6 ი 6 ო: რატი...

რატი: ჴო, ნინო...

6 ი 6 ო: გახსოვს ის ლამე? მაშინ, მარტომ ვუყურე ილუზიონს, მერე ვიდრე დავწვებოდი, გარეთ გა-
ვიხედე, სიხარულისგან გავოგნდი — ლამპიონების შუქზე ზლაპრულად თოვდა! ვერ მოვითმინე, აივანზე
გავვარდი, სელები ფაფუკ, უთეთრეს ფიფქებს შევაგებე, ქვევით რომ ჩამოვიხედე, გაოცებისგან კინა-
ლამ გადმოვვარდი. (იძიმება) ჩემს კორპუსთან იდექი და ზემოთ იყურებოდი. დიდრონი ფანტელები ფრი-
ალ-ფრიალით გვეფინებოდა ორივეს... ფრთები ვინატრე შენთან გადმოსაფრენად.

რატი: იმ ლამეს მიგხვდი, რომ ძალიან მიყვარდი!

6 ი 6 ო: იმ ლამეს მიგხვდი, რომ...

რატი: რას მიხვდ?

6 ი 6 ო: იმას, რომ პირველმა თოვლმა, პირველი სიყვარული მაჩუქა...

რატი: „მანამ მეყვარები ვიდრე დაცხრებიან

დრო — ჟამის ქარები,

ვიდრე ზღვა დაშრება,

ვიდრე კლდე დადნება

მანამ მეყვარები.“

(მუსიკა. სცენა ბნელდება).



მხატვარი სოფიო ჭელიძე



VI სურათი

(თათა სკოლიდან ბრუნდება, აცვია მაიკა, მარიხუანას აპლიკაციით).

თ ა თ ა: დედა!

(სამზარეულოდან ისმის ნინოს ხმა).

6 ი 6 ო: მოხვედი? ახლავე გასადილებ.

თ ა თ ა: არ მშია, შაურმა ვჭამეთ.

6 ი 6 ო (სამზარეულოდან): რამდენჯერ გაგაფრთხილე — გარეთ არ ჭამო-მეთქი! იმედი მაქვს კოლა და
ჩიპსებიც არ მიაყოლე!

თ ა თ ა: ოფთ! ნუ დაიწყებ ხოლმე! საღამოს კლუბში უნდა წავიდეთ ბავშვები და ნორმალური ჩასაც-
მელი არ მაქვს. რაღა ახლა მოუნდა თენგოსაც გაგულავება?! გამოხარჯავს მთელ ფულს და ელოდე მერე,





როდის რას გაღირსებს!

ნინო (შემოდის): ეს რა გაცვია?

თათა: მაიკაა, რა იყო?

ნინო: ვისია?

თათა: ჩემი!

ნინო: რაღაც არ მახსოვს ჩვენ რომ გვეყიდა.

თათა: კარგი რაა, ნუ ცდილობ ყველაფერი იცოდე. (ნინოს გაბრაზებულ მზერას შენიშნავს) ჰო, რა იყო! ნეტა განახა ჩემს მეგობრებს რეები აცვიათ!

ნინო: კარადა სავსე გაქვს ტანსაცმლით.

(თათა თავის ოთახში შევარდება და ტანსაცმლის გროვით ბრუნდება).

თათა: შეხედე ამ ძველმანებს, ზოგი მესამე წელია რაც მაცვია, ამოვიდა ყელში!

ნინო: წყნარად, მეზობლებს ესმით!

თათა: სულ ფეხებზე მკიდია მეზობლები!

ნინო (უყვირის): თათა!

თათა (თათაც იგივე ხმაზე პასუხობს): რა!

ნინო: რა გაკლია? მობილური, კომპიუტერი, აიპოდი, აიპოდი! ყველაფერი გაქვს, ზრდილობის გარდა!..

თათა: დამანძებე რა თავი! დავიღალე თქვენით! (თავის ოთახში შედის, კარს აჯახუნებს და მაღალ ხმაზე რთავს მუსიკას).

(სცენა ბრელდება).

VII სურათი

(ნინო სახლს ალაგებს. ინერტული მოძრაობებით წმენდს მტვერს, ხანდახან ოხრაეს. კომპიუტერიდან ზარის ხმა ისმის, ნინო სასწრაფოდ მიდის მაგიდასთან და ელდანაკრავივით უკან იწევს. მუსიკის დასაწყისი).

რატის ხმა: როგორ ხარ, ჩემო... ერთადერთო?

(ნინო ალელდება, აქეთ-იქით მოჰყვება სიარულს, მერე სწრაფად მიუახლოვდება კომპიუტერს და პასუხობს).

ნინო: არ ვიცოდი ცოცხალი თუ იყავი... როგორ ხარ?

რატის ხმა: გეძებდი, ხან სად და ხან სად... აქ აღმოგაჩინე.

ნინო: ახლა?

რატის ხმა: არა, კარგა ხანია, დარეკვას ვერ ვპედავდი.

ნინო: რატომ?

რატის ხმა: რატომ?!

ნინო: ჰო, რატომ?

რატის ხმა: სიცოცხლე! — ნუ მიწყენ ასე რომ მოგმართავ, მე ისევ იქ ვარ ჩარჩენილი, ბავშვობაში; შენ ისევ ჩემი სიცოცხლე ხარ.

ნინო: კარგი რა, გავიზარდეთ უკვე. რამდენი წელი გავიდა!?

რატის ხმა: შენთვის გავიდა... მე კი ყოველდღე გაცილებ სკოლიდან სახლში, გზაში შენი მეზობლის სახლის გაღავანთან ვჩერდებით და ისევ გაცინებ ათასი სისულელით....

ნინო: არ გინდა...

რატის ხმა: გახსოვს, მოტოებით რომ გასეირნებდით ბიჭები და შემთხვევით, დედაშენს შევხვდით გზაში?

ნინო: შიშისგან კინაღმი გადმოვვარდი.

რატის ხმა (ლიმილით): წესიერად რომ არ მეჭიდებოდი, ეგ იმის ბრალია და არა შიშის.

ნინო: რას ამბობ, არ გახსოვს, სადარბაზოსთან რამდენ ხანს ვიდექით ბავშვები – სახლში ასვლას ვერ ვპედავდი?

რატის ხმა: ცოტა ხანში კი გახარებული ჩამორბოდი ხელში ნაგვის ვედროთი.

ნინო: ჰო, რამდენი ვიცინეთ. ზარი ძლივს დავრეკე, ნერვიულობისგან სულ მაკანკალებდა. დედაჩემმა, როგორც კი კარი გააღო, მაშინვე ნაგავი მომაჩერა ხელში გადასაყრელად. ერთიანად მოვეშვი, კიბეზე ისე მოვფრინავდი, ვერც ვერდნობდი.

რატის ხმა: საპატიო ყარაულით გადაგაგდებინეთ ნაგავი.

ნინო: ბიჭები სად არიან?

რატის ხმა (სევდინად): ზვიადი... იმ არეულ წლებში რეკეტიორებმა მოკლეს რუსეთში. პატარა ბიზნესი ჰქონდა ძმასთან ერთად და ფულის გამო... მერაბი, ახმეტაში ცხოვრობს. ზაზასგან კი კარგა ხანია



არაფერი გამიგია.

ნინო: ძალიან მეწყინა... კარგი ბიჭი იყო, ზვიადი... ერთხელ, მეორესკოლელი ბიჭები მოვიდნენ სკოლაში, თენგოს გამოეგზავნა. მაშინ შენ ფეხი გქონდა მოტეხილი და არ დადიოდი. დასვენებაზე, უმცროსკლასელს გამოატანეს ჩემთან მისი პარათი. ზვიადმა დაინახა. სასაფლაოზე იჩხუბეს. დედაჩემი დაიბარეს სკოლაში...

ნათელში იყოს...

რატის ხმა: ამინ!.. თუმცა, მაშინ შენ გითქვამს — არავინაც არ მიყვარს, ყველამ თავი დამანებოსო!

ნინო: დედაჩემის შემეშინდა.

რატის ხმა: ხომ გიყვარდი?

(ნინო დუმს).

რატის ხმა: ვეღარ მეტყვი ხომ? იცი, როგორ მიჭირს ფეისბუქზე შენი ფოტოების თვალიერება?

ნინო: რატომ?

რატის ხმა: იმიტომ, რომ პროფილზე ჩვენი ფოტო არ გიდევს. გახსოვს, თექვსმეტი წლის რომ გახდი, ზუზუმბოზე, ობელისკთან ავედით ბავშვები. იქ ყვავილები დაგირიფე და თმაში ჩაგაწანი. მერე ვალოდია ფოტოგრაფმა სურათი გადაგვილო, ხელში ატაცებულს რომ გატრიალებდი, — აი, ის ფოტო.

ნინო: არ გინდა...

რატის ხმა: მინდა! ალბომებში ჩვენი ბავშვების სურათები უნდა გედოს! ახლა კი, თორმეტი სხვა-დასხვა ალბომი გაქვს ატვირთული და არსად არა ვართ მე და ჩვენი შვილები!

ნინო: რატი! რამდენი წელი გავიდა, რაც გავიზარდეთ?!

რატის ხმა: ეგ შენ გაიზარდე, დაქალდი, სხვას მისთხოვდი და ყველაფერი დაივიწყე. მე იქ დავრჩი, შენი უბნის მოსახვევში და გელოდები.

ნინო: ყველაფერს მე ნუ დამაბრალებ!

რატის ხმა: სამაჩაბლოში ვიბრძოდი, შენი გათხოვების ამბავი რომ ჩამოიტანეს ბიჭებმა.

ნინო: ჩემით არ გავყოლილვარ, ჩემმა მშობლებმა გამათხოვეს!

რატის ხმა: წამოსულიყავ!

ნინო რა აზრი ჰქონდა...

რატის ხმა: უხ! მე მაგისი... გავლენიანი და მდიდარი მამიკოს ბიჭის...

ნინო: მართლა არ გინდა...

რატის ხმა: იქ არ მოვედი, გამწარებული ვიბრძოდი. ყველაზე დაუცველ ადგილებში გადავდიოდი, მერე აფხაზეთი! მაინც არ ჩავძალდი! უკრაინაში წავეთრიე ყველაფრის დასავიწყებლად და კინალამ გავჭედე.

ნინო: კარგი რა, ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, გესმის, ოცი გრძელი წელინადი. დაივიწყე და ახალი ცხოვრება დაიწყე.

რატის ხმა: ცხოვრებამ გადამისწრო და მე კი ისევ ველოდები როდის ჩამოივლის ის პატარა, ლამაზი გოგო ჩვენს ქუჩაზე ჩანთით ხელში. რვის ნახევარზე ვდეგები, რვაზე უკვე აივაზზე ვარ, შორიდანვე მინდა დავინახო და ქუჩაში გავვარდე. დედაჩემი ეზოში მხვდება, ხელში ორ ღვეზელს მაჩეჩებს და ორაზროვნად მიღიმის; ალაყაფის კარს ვხსნი და გარეთ მივფრინავ; ერთი ხელით ჩანთას ვართმევ, მეორეთი ღვეზელს ვუწვდი: — ისაუზმე? ორი ლამაზი, შვლის ნუკრის თვალი მიცინის და მღერადად მპასუხობს...

ნინო: აარა...

რატის ხმა: გემრიელად ვილუკმებით, გავრბივართ და ორივეს ალალად გვჯერა, ეს გზები, ყოველთვის ერთად გვატარებენ... შენ კი მეუბნები, — დაივიწყეო...

VIII სურათი

(კარზე ზარი. მუსიკის დასასრული. ნინო აფორიაქებული გამორთავს კომპიუტერს და კარს აღებს. თათა შემოდის).

თათა: არ გესმოდა დე, სად იყავი?

ნინო (ცდილობს ლელვა დაფაროს): სააბაზანოს ვასუფთავებდი, ადრე გამოგიშვეს? მონესრიგდი, ახლავე მოვალ. (გადის. კარზე ისევ ზარი).

თათა: ვინ არის?

კარ მიღმა: მე ვარ, თენგო, მამაშენი! კარი გააღე!

(თათა კართან მიდის, მერე უკან ბრუნდება).

თათა (მრავალმნიშვნელოვნად): დედა! თენგო დაბრუნდა!

(თენგო სახლში ისე შემოდის, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ნინო დოინჯშემოყრილი დგას და





თვალს ადევნებს მის მოძრაობებს. თენგო ჩანთიდან იღებს ტანსაცმელს, ახარისხებს და სულაც არ იმჩნევს ნინოს ცინიკურ გამომეტყველებას).

ნინო: ბატონო თენგიზ! ხომ არ ჯობდა, ცოტა ხანს კიდევ გაგეგრძელებინათ „გასტროლები?“ რალაც ძალიან მომეწონა თავისუფლად სუნთქვა!

თენო: აქ ჩემი სახლია, როცა მინდა მოვალ, როცა მინდა წავალ.

ნინო: აა, არ ვიცოდი ანუ მეც შემიძლია ხომ აქეთ-იქით სიარული და მერე „მშობლიურ“ სახლში დაბრუნება?!

თენო: ამეებს მანქანაში ვდებ (გასარეცხს ტანსაცმელს აჩვენებს).

ნინო: მანქანას თითო არ დააკარო, ფარდები უნდა გავრეცხო!

თენო: რა ფარდები ტო, ახლახანს არ გარეცხე? ტანსაცმელი აღარ მაქვს სუფთა!

(თენგოს გასარეცხი სარეცხი გააქვს, ნინო ნერვიულად წმენდს იმ ადგილებს, სადაც თენგოს გასარეცხი სამისი ეყარა. სცენა ბნელდება. სააბაზანოდან ისმის თენგოს ხმა).

თენო: აქ რომ დავტოვე, ის საპარსი რა უყავით?..

IX სურათი

(შემოდის თავნაკრული ნინო, ერთი ხელი თავზე უჭირავს, მეორეთი კი გამშრალი სარეცხის გროვა, რომელსაც საუთოვებელ მაგიდაზე დადებს. უთოს შტეფსელში რთავს. ისმის სკაიპის ზარის ხმა. ნინო სწრაფად იხსნის მოსახვევს შუბლიდან, თმას ისწორებს და პასუხობს).

რატის ხმა: როგორ ხარ ნინო?

ნინო: კარგად რატი.

რატის ხმა: მიხარია კარგად რომ ხარ.

ნინო: სულ კარგად არავინ არ არის. შენ როგორ ხარ?

რატის ხმა: მადლობა. ახლა გაიღვიძე?

ნინო: ერთი საათი იქნება.

რატის ხმა: მენატრები.

ნინო: ვირტუალურად?

რატის ხმა: ჩემებურად, შენ როგორც გინდა ისე მიიღე. თუ გინდა, ნუ მიიღებ.

ნინო: როგორია შენებური მონატრება?

რატის ხმა: უთბილესი, ისეთი გულს რომ ააჩქარებს.

ნინო: მაშინ, ვირტუალურად დარჩეს.

რატის ხმა: ასე გირჩევნია ნინო?

ნინო: სხვა გზას ვერ ვხედავ.

რატის ხმა: რა იცი, რა გველის.

ნინო: რატი...

რატის ხმა: ჩემი ნინო.

ნინო: ის დღე გახსოვს, თქვენს სკოლაში რომ გადმოვედი?

რატის ხმა: დედაშენთან ერთად შემოხვედი ეზოში... მახსოვს, რალაც ბიძგი ვიგრძენი გულში. იმ წუთას მივხვდი, რომ შენ სხვებისგან განსხვავებული იყავი. თვალს ვეღარ გაცილებდი.

მერე თანდათან ახლოს გნახე, გაგიცანი. შენში მაშინვე ვიპოვნე ის ადამიანი, რომელიც უკვე მიუვარდა. გარეგნულად ხომ იყავი ძალიან ლამაზი და არაჩვეულებრივი, ნელ-ნელა ვცდილობდი გამეგო გული როგორი გქონდა. კი, გიყვარდა ჩემი გაბრაზება, მაგრამ მაშინვე უკვე შემეძლო შენგან ბევრი რამის ატანა. (გაიცინებს) ახლა იმათზე არ დავიწყებ ლაპარაკს, – ჩემგან ნაცემ შენს თაყვანისმცემლებზე. ეგ ყველაფერი, შენც კარგად გემახსოვრება.

ნაზ-წუზად გამოხვიდოდი ხოლმე დასვენებაზე, ჩასაფრებული ვიყავი, რომ დამენახე. სულ შენი ცქერა, შენი ლამაზი სახის დანახვა მინდოდა. შენს ხმას რომ ვიგებდი ვგიუდებოდი. უსასრულოდ მინდოდა მესმინა...

(კარზე ზარი. ნინო კომპიუტერიდან სწრაფად დგება, ჰელინია რომ სასაუბროს გამორთავს, რატის კი ყველაფერი ესმის. აჩქარებით წაიკავს თავს და შენელებული ნაბიჯით მიღის გასაღებად).



X სურათი

(კარს აღებს, შემოდის თენგო).

თენგო: სად ხარ ამდენ ხანს?

ნინო: ხომ შეგიძლია გასაღები ატარო?

თენგო: მანქანაში მაქვს! ჯიბეს მიმძიმებს, ისედაც სულ სახლში არ ხარ?! თეთრი პერანგი გამირეცხე? ახლა მჭირდება, ერთ მნიშვნელოვან კლიენტს, მეცხრამეტე საუკუნის ხმალი უნდა ვუჩვენო.

ნინო: სხვა პერანგი არ გაქვს?

თენგო: ზუსტად ეგ მინდა! (შეათვალიერებს) შენ რა, ისევ თავი გტკივა?

ნინო: კი, მტკიგა! არ შეიძლება?

თენგო: შენ ხო, სულ რაღაცები გტკივა, მიზეზები არ გელევა!

ნინო: ვიფიქრე შეწუხდებოდი.

თენგო: მოიცა რა? ჯერ რომელ საათზე წვები, ინტერნეტიდან თავი ვერ აგილია. მერე შუადლემდე გძინავს, რამდენი ხანია წესიერად არ მისაუზმია.

ნინო: დილაუთენია როცა ვდგებოდი, ხომ რას ამბობ, დიდად ვფასობდი!

თენგო: მოთლი დღე რას მიკუთებ?

ნინო: ძალიან ბევრ რამეს, მაგრამ ამას შენ ვერ დაინახავ. სხვათა შორის ძალიან დავიღალე დიასახლისობით, ჩემი ცხოვრება მინდა, პრადო...

თენგო: პერანგი! თეთრი პერანგი!

ნინო (დასაუთოვებელი სარეცხიდან ნერვიულად გამოაძრობს თეთრ პერანგს და სწრაფად აუთოვებს): ნინო გარეცხე! ნინო გააუთოვე, ნინო დაალაგე! ნინო გაშალე! ნინო მოკვდი!..

თენგო: ხო, კარგი, საქმარისია! მომეცი!

(ნინო გაუთოვებულ პერანგს სკამის საზურგებზე კიდებს, თენგოს ჰერში რჩება გაწვდილი ხელი).

თენგო: რა უნდა გელაპარაკო? ამ ბოლო დროს ხომ საერთოდ აურიე, ტო...

ნინო: კი არ ავურიე, დავალაგე თენგო, დავალაგე...

თენგო (ნინოს შეათვალიერებს): ნეტა სად გიპოვნე!

ნინო: შეგიძლია იქ დამტოვო, სადაც მიპოვნე!

(თენგო სწრაფად იცვლის ტანსაცმელს, უნდა რომ მალე გავიდეს სახლიდან. კარზე ზარი, ნინო ალებს, შემოდის თათა).

თათა (მშობლებს შეათვალიერებს): კარგად ხართ?

ორივე ერთად: შესანიშნავად!.. (თენგო თათას შუბლზე კოცნის და კარისკენ მიდის).

თათა: მა... სალამოს დონატებს მომიტან?

თენგო: დედაშენს გადაეცი, ინტერნეტს ნაკლები დრო დაუთმოს და ნამცხვარი გამოგიცხოს!

თათა: მა...!

თენგო: ხო, კარგი, მოგიტან... (მრავალმნიშვნელოვნად გადახედავს ნინოს). მოგიტან! (გადის).

17



XI სურათი

(თათა თავისი ოთახისკენ მიდის).

ნინო: თათა...

თათა: არ დამიწყო რა ახლა თენგოზე, თქენები თავი არ მაქვს!

ნინო: თათა, ეგ რა ლაპარაკო?

თათა: ოფფი, კაი რა, არ გინდა! დალლილი ვარ, უნდა დავიძინო.

ნინო: ჩემი შვილი არ ხარ? ცოტათი მაინც გამიგე.

თათა: შენი რჩეულის შვილი ვარ! (ყურსასმენებს იკეთებს ყურებზე და ოთახიდან გადის).

ნინო: თათა! (ყვირის, ტირის და ისევ კომპიუტერთან მიდის).

რატის ხმა: ნინო...

ნინო (შემფოთებული): არ გამომირთავს? ყველაფერი მოისმინე?

რატის ხმა: მაპატიე გთხოვ... შენთან მეორედ უფალმა მომიყვანა.

ნინო: გვიანია რატი.

რატის ხმა: ყველაფერი ჩვენს ხელშია, ნუ შეგეშინდება. მეც, ძალიან ბევრს ვფიქრობ ამაზე. მადლობა ღმერთს, რომ შენ მყავხარ, მე მაქვს ხვალის იმედი.

ნინო: რატი.

ოლქ, №1, 2021





რატის ხმა: შენ ისეთი მარგალიტი ხარ, სულს მინათებ. უკვე ვეღარ გავაჩუმებ ჩემში ხმებს.
ნინო: ბეწვის ხიდია, რატი.

რატის ხმა: გავივლით, მე გადაგატარებ! შენ ჩემი ნინო ხარ, მხოლოდ ჩემი. სულ შენს ფოტოებს ვათვალიერებ.

ნინო (ჩუმად, თუმცა რატი მაინც გაიგებს): შენმა ნინომ სხვა არჩია... (ხმამალლა) მე კი, სულ ვცდილობ გულს თვალი ავარიდო.

რატის ხმა: ეგეც ჩემი ბრალია, მე შენ არაფერში არ გამტყუნებ. ხელი შეაშველე გულს, მეორედ ნულარ გაიმეტებ.

ნინო: რატი...

რატის ხმა: ჰო, ჩემო...

ნინო: რომ დაგიჭირეს, დედაჩემი გაგიუდა, შენი სახელის ხსენება ამიკრძალა. მამაჩემი ხომ საერთოდ, ზედაც არ მიყურებდა. მაშინ გამოჩნდნენ ზუსტად თენგოს მშობლებიც... შენგან სულ ცუდი ისმოდა, იმ ჩხუბს, ციხეშიც დაამატე რაღაც დანაშაული და ჩემთვის უკვე ყველაფერი სულერთი გახდა!

რატის ხმა: ხომ გითხარი — ყველაფერი ჩემი ბრალია. შენ არ უნდა იყო ასე. ხელისგულზე სატარებელი ხარ — სათუთი, ძვირფასი...

ნინო: არ გინდა.

რატის ხმა: ციხიდან წავედი სამაჩაბლოში, პატიმრები გაგვაგზავნეს, თუმცა გარეთაც რომ ვყოფილიყვავი, მაინც პირველი წავიდოდი!

ნინო: ქორწილში ქვრივივით ვიჯენი.

რატის ხმა: ნინო, წამოდი ჩემთან, ევროპაში. აქ ყველაფერი გექნება — სითბო, სიყვარული, ურთიერთგაგება. არაფერს მოგაკლებ. თავიდან დავიწყოთ...

თათა: დედა!

(ნინო კომპიუტერს გამორთავს და სწრაფად დგება).

თათა: ვის ელაპარაკები?

ნინო (შეცდუნებული): არავის.

თათა: საჭმელი არ უნდა ვჭამოთ?

ნინო: წამოდი, გაგიმზადებ.

(სამზარეულოში გადიან. სცენა ბნელდება).

XII სურათი

(სცენა ნათდება. მუსიკის დასაწყისი. ნინო ოთახის შუაგულში დგას. მერე ნელ-ნელა ჩამოუვლის ყველაფერს, ხელისგულებით ეხება ნივთებს, თითებით ეფერება. სურათების ალბომიდან რამდენიმე ფოტოს ამოილებს, ჯერ ტუჩებით ეხება, გულზე იდებს; საიდანლაც დამალული სამგზავრო ჩანთა გამოაქვს და ფოტოებს შიგ ათავსებს... კარზე ზარი. ნინო სასწრაფოდ მალავს სამგზავრო ჩანთას და კარს აღებს. შემოდის თენგო).

თენგო: მშია, რა გააკეთე?

ნინო: მაწვნის წვინიანი, კარტოფილიც შევწვი.

თენგო: არ მეყოფა, ძეხვიც შეწვი და სალათა დაჭერი. (თენგო სავარძელში ჩაჯდება და მობილურს მოიმარჯვებს. ნინო უკმაყოფილო სახით გაემართება სამზარეულოსკენ, მაგრამ ქმრის სიტყვები შეაყოვნებს) კაცი რომ შემოგხედავს, ყველაფერი ადგილზე გაქვს, კარგად გამოიყურები, ჰმმ... მაგრამ... წუხელ რომელ საათზე დაწექი?

ნინო: გთხოვ, ისევ წუ დაიწყებ.

თენგო: ვიცი, რომ არ გიყვარვარ, მაგრამ წუ დაგავიწყდება, რომ კაცი ვარ!

ნინო: მე კი ქალი.

თენგო (ყვირის): ჰოდა, მოიქეცი ისე, როგორც ქალს შეეფერება!

ნინო: წუ ყვირი!

თენგო: წუ ყვირი კი არა! ერთხელ არ მახსოვს შენი ღიმილიანი სახე დამენახოს!

ნინო: როდის გამალიმე? ყველანაირი გრძნობა ჩაკალი ჩემში. უხეშობით, უგულისყურობით, აქეთიერით სიარულით! სამუალება არ მომეცი, ჩემი ცხოვრებით მეცხოვრა, მემუშავა, საზოგადოებაში ადგილი მქონოდა. სულ მბლოკავდი, საქმარისი იყო რაღაც გამხარებოდა, კარგ ხასიათზე ვყოფილიყავი, რომ მაშვე მშხამავდი, ეჭვიანობდი.

თენგო (წამოვარდება): ერთი სადილი გთხოვე და ეგეც ყელში ამომადინე! არ მინდა არაფერი! მივდივარ!

ნინო: წადი! (თენგო კარს გაიჯახუნებს. ნინო ამოიოხებს) წადი... წადი.





(კარზე ზარი და ბრახუნი. ნინო აღებს, ისმის თენგოს ყვირილი).
თ ე ნ გ ო: პოლიციიდან დარეკეს – თათა და რამდენიმე მოზარდი, ბიო ნარკოტიკით მოწამლულან კლუბში!!!

ნ ი ნ თ (ყვირის): ვაიმე, თათა!..
(სცენა ბენელდება. ისმის ხმაური, სასწრაფო მანქანების სირენების ხმა. ჩოჩქოლი. კარების ჯახუნი. ნინოს ტირილი. თენგოს ყვირილი. უცბად ერთნაირად წყნარდება ყველაფერი).

XIII სურათი

(სცენა ნათდება. ნინო და თენგო გვერდიგვერდ სხედან).
თ ე ნ გ ო: როდის შეეჩინა ნარკოტიკის?
ნ ი ნ თ: მე მხოლოდ სიგარეტი ვიცოდი.
თ ე ნ გ ო: მაგარი მშობლები ვართ! ერთ ბავშვს ვერ მიგხედეთ.
ნ ი ნ თ: ბოლო დროს ხმას აღარ მაღებინებდა, სულ გაღიზიანებული და დაძაბული დადიოდა.
თ ე ნ გ ო: ჩვენი ბრალია.
ნ ი ნ თ: მკაცრი დედა არასდროს ვყოფილვარ.
თ ე ნ გ ო: ცუდი მშობლები ვართ!
ნ ი ნ თ: როდის გამექცა ხელიდან, ვერც კი მიგხედი.
თ ე ნ გ ო: ამიერიდან ეცადე ახლოს იყო ბავშვთან და ინტერნეტს თავი დაანებო.
ნ ი ნ თ: ფსიქოლოგი დაგვჭირდება.
თ ე ნ გ ო: აღარ უნდა დაგუშვათ ასეთი რამ. რეაბილიტაციის ცენტრიდან რომ გამოვიყვანთ, ცოტა ხნით თელავში ჩაგიყვანთ ჩემებთან. მამაჩემს დაველაპარაკები, იქნებ მეორე სემესტრიდან იქ გავაგრძელებინოთ სწავლა. (წამოდგება) ახლა წავედი, პოლიციაში უნდა მივიდე.
(გადის. ნინო ადგილზე რჩება თავდახრილი. კარზე ზარი. ნინოს ჰელინა თენგო მობრუნდა. კარს ისე აღებს არც შეხედავს მომსვლელს. ოთახისკენ შებრუნებულს ზურგსუჟან რატის ხმა მოესმება, რომელიც ლია კარშია გაჩერებული).
რ ა ტ ი (გაუბედავად): ნინო... (ნინო შედგება, მაგრამ არ ტრიალდება). ნინო, მე ჩამოვედი...
ნ ი ნ თ (აკანკალებული ხმით): რატი...
რ ა ტ ი: ჰო, ჩემო სიცოცხლე.
ნ ი ნ თ: რატომ მოხვედი!
რ ა ტ ი: ჩვენ ხომ შევთანხმდით?
ნ ი ნ თ (ტკივილიანად): შევთანხმდით! ახალი ცხოვრება უნდა დაგვეწყო, თბილი, სიყვარულით სავსე გულებით...
რ ა ტ ი: იმ ჰაერის სუნთქვა მინდა, შენ რომ სუნთქვა, ერთ ცას მინდა ვუყურებდეთ.
ნ ი ნ თ (ყვირის): რატი, რას მერჩი?
რ ა ტ ი: შემომხედე... ნინო...
ნ ი ნ თ: რატი, წადი!
რ ა ტ ი: რატომ?
ნ ი ნ თ: მე კიდევ დარდის მომატება მინდოდა?
რ ა ტ ი: დარდს ნუ დამარქებე. ამდენი წლის შემდეგ იმიტომ არ გამოვჩინილვარ დარდი მინოდო.
ნ ი ნ თ (უცბად შემობრუნდება, თითქოს ჩსუბს აპირებს, მაგრამ რატის დანახვაზე მისკენ გაიქცევა): რატი...
რ ა ტ ი: ჰო, ჩემო ერთადერთო (ნინოს თავს მხარზე მიიკრავს).
ნ ი ნ თ (ტკირის, რატის ხელს ჰკრავს): წადი რატი, წადი... ჩვენმა მატარებელმა რა ხანია ჩაიარა.
რ ა ტ ი: ნინო, რას ამბობ, მე ხომ შენს წასაყვანად ჩამოვედი.
ნ ი ნ თ: ვერ წამოვალ რატი, ვეღარ წამოვალ. თათას ვჭირდები, ვერ მივატოვებ! დედა ვარ, გესმის? მე ხომ დედა ვარ!
რ ა ტ ი: თათაც წავიყვანოთ.
ნ ი ნ თ (მწარედ ჩაიცინებს): თათა ნარკოლოგიურში წევს, შვილი კინაღამ ხელებში ჩამაკვდა, გესმის?
რ ა ტ ი (გამშრალი ხმით): როგორ ვერ ვიპატრონე!.. დამაგვიანდა!..
ნ ი ნ თ: არ გინდა, გთხოვ...
რ ა ტ ი: ძვირფასი ხარ ჩემთვის!
ნ ი ნ თ: რატი... ცხოვრება სულ სხვა რამ ყოფილა, ვერასოდეს მიხვდები სად რა უფსკრულს გიმზადებს!
რ ა ტ ი: ნინო...
ნ ი ნ თ: წადი, გთხოვ, დამივიწყე!





რატი: ნინო, მე შენს გარდა არავინ მყვარებია, არც შემიყვარდება.

ნინო: მე ვეღარასოდეს შევძლებ ახალი ცხოვრების დაწყებას რატი...

რატი (ორივე ხელს ნინოს თავს, სახეს ისე მოატარებს, არ შეეხება): ჩემში ხარ ნინო, სამუდამოდ აქ დარჩები (გულთან მიიტანს ორივე ხელს).

(ნინო იქვე ჩაიმუხლება, რატისკენ ზურგშექცევით. მუსიკის დასაწყისი. რატი დიდხანს უყურებს ნინოს, მერე შეტრიალდება და გადის. ნინო ფანჯარასთან მიდის, გახედვას აპირებს, მაგრამ გადაიფიქრებს და ფარდებს მჭიდროდ ხურავს. სცენა ბნელდება).

XIV სურათი

(სცენა ნათდება. ნინო თათას ოთახს ალაგებს, მის ნივთებს ეხება, სხვანაირი სევდით, სითბოთი. ტანსაცმლის ქვემოთ გადამალულ რვეულს პოულობს, ინტერესით გადაშლის. ტელეფონის ზარი).

ნინო: ბატონი!

თენგო: ნინო, მე ვარ.

ნინო: თათა როგორაა, თენგო?

თენგო: შენთან უნდა ლაპარაკი.

ნინო (ალელდება): ალო?

თათა: დე...

ნინო: ჰო, დე...

თათა: მაპატიე დე...

ნინო (ტირის): თათა, ჩემო თათა...

თათა: დე, ნუ ტირი, მიყვარხარ!..

ნინო: მეც მიყვარხარ დედო! შენ ხომ ჩემი ერთადერთი სიცოცხლე, ჩემი პატარა პრინცესა ხარ! გახსოვს ბავშვობაში რომ გუითხავდი: დედიკოსი ვინ ხარ? რას მპასუხობდი?

თათა: დედას ძვირფასი გული!

ნინო: გულს ენდე თათა! სიმართლის და სიყვარულის გზას გაყევი.

თათა: დე...

ნინო: თათა, შენ მე არ მგავხარ, ძლიერი ხარ. ჩემს შეცდომებს ნუ გაიმეორებ.

თათა: დე, რომ გამოვალ, რაღაც უნდა გაჩვენო.

ნინო: ლექსები?

თათა: უკვე ნახე? მოგეწონა?

ნინო (ხელში აატრიალებს რვეულს): უშენოდ არ წავიკითხავ.

თათა: გთხოვ, რომელიმე, ახლავე, შენი ხმით მინდა მოვისმინო.

ნინო: ერთად წავიკითხოთ, სახლში რომ დაბრუნდები.

თათა: დედა გთხოვ, ხომ ვიცი გიყვარს ლექსების კითხვა.

ნინო: კარგი... (იქვე ჩაიმუხლება. მუსიკის დასაწყისი. დალლილი და სევდიანი ხმით).

უკვე უსასრულოდ გვიანია,

ღამემ ვერ დააშთო იარები

იცი, როგორ მტკიცა უშენობა? —

მაინც სულ სხვებისკენ ვიარები.

ცისკარზე ღიმილით იღვიძებენ

ჩემი გულისცემის ფრთხიალები...

არადა, როგორი გვიანია

ჩვენი სიყვარულის მზიანები.

თათა: დე.., ეგ ლექსი შენია... შენზე...

(ნინო ტირის. მუსიკა. სცენა მთლიანად ბნელდება).

თენგო (ჟურირის): ნინო, ჩემი ლურჯი პერანგი სად დევს? ვერ ვპოულობ!



ციცინთ მარკოზაშვილი

სიციცინთ მარკოზაშვილი

ალავერდის ჭადანი

ალაზნის ველზე, როგორც – ხომალდი,
შორს, ალავერდის მოჩანს ტაძარი,
ვრცლად გაწოლილა რუს ტყეთა ლანდი,
კავკასიონი – უზარმაზარი.

ვერცხლისფერია, თვით, ალაზანი,
მიდის... მიჰყვება დაბურულ ჭალებს,
იქ, გამლილ ველზე, ნერიალებს ზარი, –
მინისკენ უხმობს ზეციურ ძალებს.

ჩანს ალავერდი... მთათა მწვერვალებს,
ხანგამოშვებით, ფერი ეცვლებათ...
საიდან ჰქონდა ამ ძეგლის ამგებს,
სივრცის, ასეთი, მძაფრი შეგრძნება?

ერის გენის გამოვლინება, –
განცვიფრებს ძველი, თეთრი ტაძარი,
მისი სივრცესთან შეხმატებილება,
მისი სიმაღლე, – უზარმაზარი.

გალაკტიონი ერთ-ერთ ფოტოზე

დგას გალა ისე, ვითარცა – მოსე!

ოდეს გასცემდა მოსე უდაბნოს,
გალაკტიონიც გასცემს მიდამოს...
ფოტოზე მოჩანს ბუნება წყნარი,
მაგრამ... იგრძნობა ქრის ნიავქარი
და, ალპათ, ქარის ველურ სიმღერას
ეხმიანება პოეტის ქნარი...

დგას გალა ისე, ვითარცა – მოსე!

ჩანს ალავერდი... მთათა მწვერვალებს,
ხანგამოშვებით, ფერი ეცვლებათ...
საიდან ჰქონდა ამ ძეგლის ამგებს,
სივრცის, ასეთი, მძაფრი შეგრძნება?

ერის გენის გამოვლინება, –
განცვიფრებს ძველი, თეთრი ტაძარი,
მისი სივრცესთან შეხმატებილება,
მისი სიმაღლე, – უზარმაზარი.

წიგნი მარკოზაშვილი

21



სიურნეალისტური მომენტები

როგორ შემაწუხა ყვავების ყრანტალმა,
საიდან მოფრინდა ამდენი ყორანი?
ავანსცენაზე დაეშვა ფარდა და...
სადღაც, გუნდი გაღობს – სრულდება ქორალი.
ყვაა... ყვაა... ყვაა... ყველ წუთს ჩამესმის,
რატომ არ მაცლიან ქორალის მოსმენას?
წუთია – შავბენელი, წუთია – წამების,
საშველად მოვუხმობ ჩემს დობილს – ოცნებას.
მაგრამ... ვერც ის მშველის, დაბერდა საწყალი,
სადღა აქვს ფართატას, ის, მსუბუქი ფრთები,
უფრო ძლიერდება ყვავების ყრანტალი,
ხმაურში იკარგება ქორალის ხმები.
საიდან მოფრინდა ამდენი ყორანი?..
ეს შავი ფერებიც, რარიგად, მანუსებს?..
უკვე, ფინალია, – დასრულდა ქორალი,
ვგრძნობ, ყელში ჩასობილ, სიკვდილის მარწუხება!

* * *

მოვიდა ზამთარი...
ყინვიან ჰაერით და... რუხი ფერებით.
ოთახში სითბოა, სადაც – სიმარტოვე
ჩემს გვერდით ჩამომჯდარა.
ვით, მშვიდი, უწყინარი,
ისე შემომცეკვის,
მაგრამ... ხომ, ვიცი, უცდის დაღამებას, –
რომ... ბასრი კლანჭები,
კალთის ქვეშ დამაღული,
ყელში ჩამასვას და, ისევ, ამატიროს...
ყინვიან ჰაერით და რუხი ფერებით,
მოვიდა ზამთარი...



მონა ლიზა ჭილაძე

იყო ცოლი – ვაჭრისა,
უცხო ღიმილი ჰქონდა,
შთაგონება – მხატვრისა, –
მონა ლიზა ჭილაძე.

მართლაც... ცოლი ვაჭარის,
თუ... ზმანება და ვინჩის?
რომელია მართალი? –
დღემდე, არვინ არ იცის!..

22



ვერსია – რომ... სურათზე –
თვითონ, ლეონარდოა,
არა... არ ვართ უარზე,
აზრი – თითქოს სანდოა...

და... კრთის სხივთა პრიზმაში –
მზერის იდუმალება,
მღიმარ მონა ლიზაში –
ნეტავ, ვინ იმალება?!?

შენი ლექსი

შენს ლექსებში მუდამ მზე და აპრილია,
მოდის, მოსჩქეფს სიყვარულის ნიალვარი,
ეს – სითბოს და მზის სხივების ადგილია,
აქ – ფეხს როგორ მოიკიდებს იანვარი?!..
შენი ლექსი ზღვა სიკეთის მტევარია,
ელვარეა, ვით ყვავილი – ბრონეულის,
„კაზურ ვაზზე ასაგლევი მტევანია,
ხალხის გულში დასაწურად მოწეული“.

გიორგორა თრილისში

მე ვეტრფი ძლიერ ტფილისის ჰავას,
ნიკო ფიროსმანს და საათნავას.
ლადო ასათიანი

გიორგობა!.. თბილისის არე –
მზის სითბოთია გაჯერებული,
ანჩისატიდან გამოველ გარეთ,
ახლა, ხიდზე ვარ გაჩერებული.

დავცექ მტევარს, – ტალღა მიჰყვება – ტალღას....
ტატოს სიტყვები ჩამესმის ყურში,

აპა, ჩამოჰქერა სიონის ზარმა
ვგრძნობ, რომ ნათელი იღვრება სულში.

სხვა სიხარულმა შემიპყრო უცებ! –
დღეს ავუყვები, მე, ღვინის აღმართს,
თუმც... იქ, ვერ ვნახავ ნიკალას დუქნებს,
ვერშენახულს და ნარსულში გამქრალს.

ამოგათავე, უკვე, აღმართი,
ო... ეს სახლები, რარიგ ძევლია,
ან... რატომ დგანან ასე თავდახრით,
ძველ მოსახლეებს ხომ არ ელიან?

ალბათ, ფიქრობენ – გარდასულ დროზე,
რომ, აღვიძებდათ დილის საარი,
არა... ახალიც უნდა მოგწონდეს,
მაგრამ... ის, ძველი, მაინც სხვა არი!..

თვალწინ თუ უდგათ ის გიორგობა,
ტაძრებში, ყველგან, ზარების რეკვა
ლამის თევა და წირვა-გალობა,
წმინდა ხატებთან მუხლის მოდრეკა.

მაშინ, – აიგნებს, ბანებს, ერდოებს,
ეფინებოდა – ქალი და კაცი...
ჩამოურბენდა, ხონჩით, ეზოებს –
კვიმატი კინტო, გიუმაჟი, ანცი.

მტკვარიც, ანკარა, მაშინ დიოდა,
მოლა ინყებდა ლოცვას მეჩეთზე,
რიყებზეც თევზი, ბევრი ცვიოდა, –
ბადეს რომ შლიდა გოლა მეთევზე.

რარიგ შვენოდნენ ბაზარს – შეითანს,
სოვდაგრები და წვრილი ამქრები,
რომ, მიაპობდა თათრის მეიდანს –
ზლაზვნით, ტვირთმძიმე, მწკრივი აქლემის...

სხვაგვარი იყო ის გიორგობა,
ძველი თბილისის ჭრელი მანტია...
მზე აქერს... მე ვწყვეტ წარსულით თრობას,
სხივებში ქრება – ეს ნოსტალგია.

ვემშვიდობები ძველ, ეზო-ჭიშმერებს
და, ვესალმები – დღევანდელ თბილისს,
მე ვეფერები იმ, ნალდ თბილისელს,
ხვალაც, წარსულის ხსოვნით რომ ივლის.

დაე, ჩემს მზიურ და ნანატრ ქალაქს –
დიდი წმინდანის მადლი ფარავდეს,
რუსთველის გამზირს და ნარიყალას,
ზლაპრული ხიბლი, მუდამ, თან ახლდეს!



საქართველოდან წასულ ქართველ ერთაელებს

რატომ წახვედით, რატომ მიდიხართ,
იქნებ, რაიმე, იწყინეთ ჩვენგან?..
ჩვენ, ხომ, გვერდიგვერდ ვცხოვრობდით დიდხანს,
ჭირსაც და ლხინსაც ვიყოფდით ერთად.

მაგრამ... მე მესმის – თქვენი გულისთქმა,
გაგებით ვხვდები თქვენს გულისნადებს,
ვიცი, – თქვენ გიხმობთ – ალთქმული მიწა,
სიზმარში ხედავთ იერუსალემს.

მიდიხართ, ტოვებთ ძვირფას საფლავებს,
ჩამლილ, ჩაფერფულილ მამა-პაპათ ძვლებს,
თქვენ, ჩვენთან ტოვებთ იმ, თვალუწვდენელ –
ასწლეულებს და ათასწლეულებს...

მიდიხართ, მაგრამ... ნუ დაივიწყებთ;
აქაურ ზეცას, ტყეს, მთას თუ, მდელოს...
ნუ დაივიწყებთ თქვენს ქართველ და-ძმებს,
ნუ დაივიწყებთ თქვენს საქართველოს...

ძმაო, ისაკ, დაო, რებეკა –
მოწყინით ვუმზერ – თქვენულ უბნებს,
სინაგოგაში სანთლები ელავს,
აქვე, სიონის ზარი გუგუნებს.

იქნება, ვიწმემ: ამიხსნას, მითხრას –
ებრაელს რატომ ჰქვია ქართველი?

ან – რატომ ელტვის, უძველეს ხნიდან,
ერთურთს – ეს, ორი, პატარა ერი?..

რომ, ამ სიყვარულს – არა აქვს ბოლო,
რომ, არა ქრება ეს გრძნობა, ძველი...
ღმერთმა გიცოცხლოთ: ორი სამშობლო, –
აქ – საქართველო, მანდ – ისრაელი!

მკაფიობრივის წვიმა

23

საყვარელ პოეტს,
ზინა სოლომინიშვილს.

მეტათვის ფერებს თმებში ჩავიწნავ,
ნიავს ქროლვაში გავეჯიბრები,
მზე ჰერს წვავს და ზეცაც კაბასობს,
ღრუბლებს ასკდებათ სავსე ჯიქნები.

დავჭრი მინდვრებში, ნიავთან ერთად,
დახანძრულ ღაწვებს წვიმა მიგრილებს,
ნიავიც ცელქობს და თავზე მაყრის –
წვიმის წვეთებით მორთულ გვირილებს.

გადიქეხა და, მეც დავდინჯდები,
ცეტ გოგოსავით აღარ ვიქნები,
ქროლვით დაღლილი და გალუმპული
ლორთქო ბალაზზე გადავიქცევი.

თეორი ლამე ნაფიკარზე

კავკასიონი შეღამების ბინდბუნდში ელავს
აღმოსავლეთით ამოსულმა, ბურთივით, მთვარემ
ვერცხლის სხივებით მიმოქარგა ნადიკვრის არე;
ძველი ნაცნობი, – თეთრი ლამე, ესტუმრა თელავს.

სადაფის შუები, აჩრდილივით ჩანს გიგოს გორა,
გორა – პირქუში, სევდიანი და იდუმალი...
თუ, ყურს მიუგდებ, იქ, ჩუმი ხმით, ქვითინებს ქარი,
ნარსულის ტკივილს ვერ აყუჩებს დრო-ქამთა სრბოლა.

ჩამომცრობილი – ვახვახიანთ ციხის ქონგური
ებასება სხივდაფერილ ქათქათა ღამეს,
მისტიურ სტუმარს მსურს, რომ ვუძღვნა, სიმღერა, რამე,
მაგრამ... ხელთ არ მაქვს: არც ჩანგი და არცა – ჩონგური.

ალაზნის ველზე აიშალნენ სქელი ღრუბლები,
მთვარე, ბურთივით, გადაეშვა თეთრ ნისლთა ზღვაში,
ასეთი ღამე იცის, მხოლოდ, ჩვენთან – თელავში,
ღრმა ძილს მოუცავს – ნადიკვარი, მისი უბნები!..

ოლქ, №1, 2021



ნუცი ძამუკაშვილი

24



ლიტერატურული გამოცემა საქართველოში და სამარხო საქართველოში თეატრული და მუსიკური ცენტრი

საქართველოს

მართლაც, სუნთქვა ხარ, ჩემო მამულო,
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სამშობლოვ,
სულ დადემა ბრწყინავდეს ცაზე,
სევდა და დარდი ღმერთმა გვაშოროს.

მკერდს რომ იმშვენებ, ზურმუხტით, ლალით,
ვაზი რომ გიდგას, შხარში, იმედად,
და, – საამაყოდ, ისიც გვეყოფა,
ღმერთმა ედემი რომ გაიმეტა.

გულმართალი და მზიანი – ხალხი,
შენი ღირსება – შენი ბედია...
და საქართველოს, მუდამ, ვხედავდეთ:
გახარებულს და, მუდამ, ერთიანს.

ლმეროლი

ცამდე ვიწევ, ტაძარში რომ
მივალ ჩემი ღირსებით,
და... იმ წუთებს ვეფერები, –
სანთლის მუქით ვივსები.

გული ხარობს ტაძრიდან, რომ
მოვალ რწმენით აღსავსე,
ზენაარო, ჩვენი გული
სულ, იმედით აღავსე.

რწმენა, უფრო, ისადგურებს
ნდობა – ჩენი, – გზამკვლევი,
მსურს მიუუძღვნა შენს სიმალეს;
ლექსიც, ოდაც, ნარკვევიც...

სულ, – სიკეთის გზით გვატაროს,
ცუდი, მუდამ, გვაშოროს...
ღმერთმა, ხელი მოუმართოს –
ჩვენს, საყვარელ – სამშობლოს...

არ კი ვიწოდით, რა იყო ჭალა,
გინდ მოვეურბინა ხუთი – სოფელი,
და... მიდიოდა – ჩვენი ზავჭობარ, –
მზის ფარი ფარი და – ნუთისოფელი...

ახლარ, ოწნება – იქით მხხეფეში, –
რა ტერიტორი იყო – ბავშვობის ხანა,
პატარა ხახლობა, პატარა ტალა –
რა სიყვარული გამომდევნა.

ნუნუ ძამუკაშვილი

ილია ჭავჭავაძე

ერთი ნატვრა ჰერნდა გულის:
აყვავდესო მამული,
და, არ იყოს, არასოდეს,
ცრემლით გადანამული.

ერთი ნატვრა ჰერნდა გულის, –
შთაგონება – რწმენისა:
სიყვარული გვერდეს, მუდამ,
მშობლიური ენისა.

ერთი ნატვრა ჰერნდა პოეტს, –
ნატვრა – გულის ფიცარზე,
ჩვენ საყვარელ მამულს, მუდამ,
ყველა, უნდა ვიცავდეთ.

ერთი ნატვრა ჰერნდა გულის:
აყვავდესო მამული,
და, არ იყოს, არასოდეს,
ცრემლით გადანამული...

საქართველოს გაბრძყინება

მე, მამულის სიყვარული
აკვიდწვე დამყოლია,
ზეცას და ზღვას ალივლივებს,
ერთი, შეხეთ, ამ თოლიას.

დაბლა, – ველი გვაზურმუხტებს,
მაღლა, – მთები ნათოვლია,
ზოგან, – ვარდი თავს იწონებს
და ზოგან კი – მაგნოლია.

სიკეთე რომ ფრთამალია
სხვანარი არ მგონია,
საქართველოს გაბრძყინება:
რწმენა, გული და გონია.



კამპობლოს

როგორ შევძლო მოფერება –
ჩემო მთებო, ჩემო ველო,
შენს სიტურფეს – ჩემი... სულიც,
ჩემი გულიც შემოევლოს.

ძვირფასია – შენი მიწის:
მტყაველიც და... ციდაც, პეშვიც,
მზით გამთბარი – არე-მარე
მღერის: ყვავილში, თუ ხეში...

მე... ცისკარიც შეიბლავს შენი, –
მახარობელია დილის,
სიმღერებიც შენთვის მინდა, –
ლექსიც, ლოცვაც, მზეც და ჩრდილიც...

რა გისურვო? – სიდიადე, –
ცას რომ გადახვით ხელი...
გული – სხივად გადაშლილი,
სიყვარული: მწველი, მთელი...

ახალ-ახალ იმედებს

ლამეა და...
მოდის დილა, –
ცაზე – ცისკარს
აანთებს;
გაგვინათებს,
გაგვიშუქებს:
ნამებს,
ნუთებს,
საათებს...

ჰა, საცაა,
მზეც გვეწვევა, –
სხივებს უხვად
იმეტებს,
გულში ბადებს
ოცნებას და...
ახალ-ახალ
იმედებს.

25



პოეზია

პოეზია, ჩემს სულშია,
პოეზია, ჩემს გულში:
და... ლექსები, დავითივით
მეც, შვილებად მეგულვის.

გამახარებს, გამაოცებს, –
სალამის, თუ, დილაზე...
და... ფურცლებზე მინარნარებს
სიყვარულის სინაზე.

პოეზია, – ეს, ლამაზი,
სევდა, – სიხარულია:
ამ სტრიქონებს მთა და ბარი
ფრინით შემოუელიათ.

აიტანეს მთის მწვერვალზე –
სიყვარულის ალამი
და გადასცეს მზეს და მთვარეს:
მოკითხვა და სალამი.

პოეზია, – ჩემი ქვეყნის,
რაფიელის კლდე-კარი:
პოეზია, – ერთგულება, –
ის კონად შევკარი.

პოეზია, – შუქი სულის
სიკეთე და მშვენება,
ვარდიც არის დაუმჭვნარი, –
გულმა ასე ინება.
პოეზია სამშობლოა
მეზურია გულისა,
ნურმ მოგვაკლდეს მზრუნველობა –
ჩვენი, დიდი უფლისა.

გამახსენდება ბავშვობის წლები,
თოჯინებს ფოთლებს ვუფენდით ნოხად,
როცა ვიგონებ – იმ, ლამაზ დლებს,
გულიდან მწყდება ნეტარი ოხვრა.

ალუბლის ხეებს ვსტუმრობდი, – ხშირად,
და... მიხდებოდა წყვილი დალალი,
დლები იყო – სულ, ვარდისფერი,
უკვე, მესმოდა: სიტყვა – ალალი...

არც კი ვიცოდით, რა იყო დალლა,
გინდ მოგვერბინა ხუთი – სოფელი,
და... მიდიოდა – ჩვენი ბავშვობაც, –
მზის დარი დრო და – წუთისოფელი...

ახლაც, ოცნება – იქით მახედებს, –
რა ტკბილი იყო – ბავშვობის ხანა,
პატარა სახლმა, პატარა ბალმა –
რა სიყვარული გამომატანა.

ლოცინი

აკი, დამპირდი, მოვალო,
გაეცერი შენს გზა-ბილიკებს
იქნებ, თვალი სხვას ჰედაო, –
სიო შლის, ირგვლივ, ქილიკებს.

საათი წუთებს ითვლიდა,
რომ მოხვიდოდი, – მჯეროდა,
მძივად ვკინძავდი, – ოცნებებს
შუადლის გულზე, – ჩეროდან...

ოლქა, №1, 2021





ლექსი, ჩემი მეგორდი

ჩემი ფიქრი, ჩემი განცდა, –
უცეპ, იქცა, – ლექსად,
გული... ველარ შევაკავე, –
შენთან გამომექცა.

მუზა, თურმე, ჩემთან იყო,
მე, კი, სად არ ვდევდი...
და... ნიავ-ქარს გავატანე
ნამცეცები, – სევდის.

ისევ, მოვა გაზაფხული, –
სიხალისე – ფერთა;
და ვიგრძენი შენი ფიქრი,
როგორ შემეფეთა...

აიკინძა ჩემი გული –
ოცნებების მძივით,
და... ვიწამე სიყვარული, –
მზე არის – ხანგრძლივი...

სიყვარული

მე ამ ცხოვრებამ დამანათლა ბევრი სიკეთე,
ნიჭი – სიკეთის, ღირსებისა და... ჰარმონია...
მსურს სიყვარულიც, რომ წუთი-წუთ საგზლად ვიზოგო,
და, ჰარმონია, მე, უშენოდ, არა მგონია.

შენით ავიგსებ, მუდამ, იმედს, იმედებს – ულევს,
ქარმა გაფანტა ჩემი სევდა, თუ, ურვებია,
როცა შენი ხმა – საამური, გულს ჩასჩურჩულებს, –
ვგრძნობ, თანაგრძნობა გაზაფხულივით რომ მწყურებია...

ცისკარი მამცნობს, რაღაც – ახალს, რაღაც – უხილავს,
გულის სიმებში სიყვარული ნაზად ანთია,
ახლა, – მზის სხივიც არის, უფრო, უხვი და თბილი,
შენთან შეხვედრის იმედებით ვხვდები განთიადს.

მზეს, სიყვარულში, აპა, როგორ შევეჯიბრები?!..
შენი გულის მზით ვიგსები და, მას, გრძნობით ვუვლი,
წურც მომიშალოს ღმერთმა ლალი ეს – ოცნებები!
და, სულ, მქონოდეს სასწაული, – ეს სიყვარული...

ის ამბობი

რატომ შეკრთი, ნეტავი?
წუთი იყო, ნეტარი,
ტრუბის წუთზე ამბობდი,
მაშინ, გიძლვენ ამბორი.

ნეტავ როგორ გავბედე,
სურვილს, გულში – ნაბედებს
გზა მივეცი, მიხარის,
საუკუნობს ის ხანი...

წლებს დაუთვლელს გაუძლებს –
ერთი კოცნა, – ამბორი,
ადიდებსო ნაზ გრძნობას, –
სიყვარულზე ამბობდი...

იძეფი

ხვალევ, გათენდი იმედად,
ხვალ, ზეგის ვოტყვი სათქმელსა,
სიკეთე, მეგობრადა ჰყავს,
მეგზურად, – კეთილ საქმესა.

შურის ადგილი არ არის,
ვერ გამოჩენდება – ნამითაც,
სულის სიმაღლე სუფევდეს, –
რომ ვიამაყოთ ამითა.

გულს სხივი დავუმეგობროთ:
დღე – მზისა, ღამე – მთვარის,
მაღალი ღმერთი გვთარავდეს, –
ამინდი გვედგეს დარისა.



თინათინ სიყმაშვილი

თინათინ სიყმაშვილი

იქაურობის ჰუსნობამდელი პატრონი წლებს კი დაუკავშირ, მაგრამ ჟურ ისე არ გამოეცვინებინა და გა-
მოეჩერჩეცებინა, ვერ მიმხვდარიყო, რომ ნილიკზე ამ-
ოპარულები ასაკი ნასვლის და რაიმეს ნალებას არ
აპირებდნენ. მათ უფრო მეტი უნდოდათ, ვიდრე გოგის
აქამდე ეგონა, ის მინა უნდოდათ, რომელზედაც ფიჭი
გოგის ფიჭი სახლი იდგა, მისი დედულ-მამული უნდო-
დათ, მორჩა და გრაფება.

თინათინ სიყმაშვილი

27



დიდგოგია

სახლი დაბალი იყო, ხეებში ჩაფლული, მა-
გრამ მთის ფერდობზე იდგა და მთელ სოფელს
გადაჰყურებდა. კაცი ერთი თვალისძავებით
კარგად დაინახავდა, მტვრიან შარაზე როდის
გაივლიდა მამასახლისი თავისი ამალით, არც
რომელიმე გლეხის ეზოში გზირის შესვლა და
იქაურიბის ანიოკება გამოეპარებოდა.

სოფლის სანახებს ნათიბითა და ნამკალით
გადაჭრელებული ტრიალი მინდორი ეკვროდა.
ჭალიან-ჩალიანში ალაზანი ჩაკარგულიყო. იმის
იქით კი გადათეთრებულ-გადაფითრებული ვერხ-
ვები და კავკასიონის აქა-იქ ღრუბლის ქულებ-
შერჩენილი მწვერვალები შებჯენოდა გავარვა-
რებულ ტაფასავით გადმომხობილ ცარგვალს.

შუა ზაფხული იდგა. თაკარა მზეს თვალი
დაეშტერებინა ხმელეთისათვის და მოცილებას
ალარ აპირებდა. გეგონებოდათ, სადაცაა დად-
ნება და ძირს ჩამოიღვენთებაო. სიცხისაგან გა-
თანგულ დედამინას ალმური ასდიოდა. ისეთი
დრო იყო, ყველა სულდგმული ჩრდილს რომ
ეტანება.

გიორგი პაპას ასწლოვანი კაკლის ქვეშ შეე-
თრია დანჯლრეული ურემი და გატეხილ ფერსოს
უკირკიტებდა. თოვლივით თეთრი თმა-წვერი
ამშვენებდა ხანმოყრილსა და მხცითმოსილს,
ნახმლევითა და წლების ნაკვალევით სახედალა-
რულს.

იქვე ახლოს ქალ-რძალი საზამთრო სარჩოს
აპინავებდა.

მწვანიანზე გოგო-ბიჭები კენჭაობდნენ.

სვატისა და ბულისაგან დამძიმებული ჰაერი
ცხენების შორეულმა თქარათქურმა შეათროთ-
ლა. ხმა თანდათან ახლოვდებოდა და ძლიერ-
დებოდა. ბერიკაცმა მიაყურადა, მერე ნალდი
ძირს დააგდო, ადგა, ძეძვის ღობეს გადაეყუდა
და ხელისგული მოიჩარდახა. თვალმა რომ ვერ
გაუჭრა, თავის მოსახელე შვილიშვილს შეუძახა:

— გოგიაავ, ბიჭო, აბა ერთი კაკლი ხეზე ადი!

თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭი ბალახ-
ებიდან წამოხტა, მოკენჭავეები მიატოვა, ხესთან
მიირბინა. ჯერ დაუმაჭრებელი, ახლად წამოყვინ-
ჩილებული ბიჭუჭა იყო, წლიოკი და ყინწარა.
ცალი ხელით მარჯვედ მოეჭიდა ღობეზე გად-
მოწოლილ ტოტს, დაიძაგრა, შეხტა, სკუპ-სკ-
უპით კენწეროზე მოექცა და ძირს ჩამოსძახა: —
ეხლა, პაპი?!

— ეხლა ქვევ-ქვევით გაიხედე, ერთი ნახე, რა
ხდება იქა... რაღაცა ხმა ისმის დაა!... — სმენად-
ქცეულიყო მოხუცი.

გოგიამ პაპის მიპატვით მოიჩრდილა სახე,
თორემ ხმაც ესმოდა და მტვრის კორიანტელში
ველზე გაკრული ცხენკაციც კარგად გაარჩია.
პასუხი არ დააყოვნა:

— მხედრები არიან. მზეზე ლაპლაპი გაუდის
თოვებსა. გეზი აქეთა აქთ ალებული... რა ცხენ-
ებია, შენი გულისა?! ქარივით მოქრიან!...

— აქეთ მოდიოა? — შეშფოთდა და დაიძა-
ბა ყოვლისმომსწრე და მრავალ ჭირ-ვარამგამ-
ოვლილი კაცი. — ბევრი არიან? მაინც რამდენი
იქნებიან, ჰაა?

სეხნამი ტოტს ხელი უშვა, ხეს შეეტყუპა,
ათივე თითი გაფარჩხა და უკვე სოფელს მოახ-
ლოებულ ცხენოსნებს შეუტოლმეტა, მაგრამ
თვლა არ იცოდა და თავი მიანება.

— ერთი გლეხი ქორნილი ხალხი იქნება...
ეგე, კიდევაც შემოაგელვეს ცხენები, ბებერ წნ-
ორთან ჩამოქვეითდნენ!

პაპამ გონების ქვაბში ვერ გადახარშა
შუაგულ სიცხეში მოულოდნელად გამოჩენილი
თოვიანები და გლეხის ქორნილის მაყრიონი.
გულმა რეჩხი უყო, აბორგდა და ანრიალდა.
ღობეს მოსცილდა, ეზო გადავლო, შინ შევიდა.
მერმე ისევ გარეთ ყოფნა არჩია. ადგილს ვერ
პოულობდა. ქალებს უამბოდ შეუბუზლუნა, ბალ-
ლებს გაუწყრა.

სულ ტყუილუბრალოდ შიშობდა და ჯავრობ-





და. სატახტოში მსტოვრებს უსტარი ეფრინათ, მეზობელ ქვეყნებში ერთი არეულ-დარეულობა და ფაციულუციაო. სიფხიზლე და მზადყოფნა არ გვაწყენსო და მეფეს უბატონ მხარე მოუნახულებია, ციხები და საზღვრები დაუთვალიერებია, თადარიგი დაუჭერია. ახლა უკან ბრუნდებოდა და მხელებლებით გზად ვენახიანში მოაგდო ცხენი, თავისი ქვემევრდომების ნახვა მოესურვებინა.

ამის გაგება და დიდ-პატარა გარეთ გამოეფინა. ყველამ სოფლის შუაგულში მოიყარა თავი. მონიფულებიცა და გადამზიფებულებიც შორიახლოდან რიდით მისჩერებოდნენ თავიანთ ბატონსა და პატრონს. უმნიფრები უფრო თამამობდნენ, ნინ გამძრალიყვნენ და მოსულებს თვალს არ აცილებდნენ.

გვირგვინოსანი მცველებს გაერიდა და ხალხთან ახლოს მივიდა. იმათი ავანჩავანით დაინტერესდა. ქერივ-ობლები მოიკითხა, გასაკითხიც გაიღო. წყალობას რომ არიგებდა, მოშორებით მოკრძალებულად მდგომი თავისი კბილა გიორგი შეამჩნია. უმალ იცნო, ნახვა ეამა. ტკბილად გაულიმა, ახლოს მოიხმო. თვითონაც ნინ წადგა ბიჯი.

ბერიკაცი საგანგებოდ გამოწყობილიყო. ის ტანსაცმელი ჩაეცვა, რომლითაც დიდ ბატონს ლაშქრობებში ხლებოდა, როცა თვალი უჭრიდა, მკლავში ძალა ჰქონდა და მუხლიც მოსდევდა.

მეფე უმცროს ძმასავით გადაეხვია ყოფილ თანამებრძოლს, მისი ყველა ომის მონაწილესა და ერთგულს, ახლა მასავით წლებით დამძიმებულსა და უძლურებაშეპარულს.

გიორგის დიდი სიხარულისაგან ენა დაება, მაგრამ ღვთივმირონცხებულს არ დავიწყებოდა, ისევ თვითონ გაიხსენა: ერთხელ, ურჯულოებთან შეტაკებისას, ვენახიანელებმა როგორი სიმამაცითა და თავგანწირვით იხსნეს იგი ტყვეობისა და სირცხვილისაგან. მაშინ ორივენი ახალგაზრდები ვიყავითო. ახლა სიბერე გვჯაბნის და დროა, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა აიღონ ხელთ იარაღი და ქვეყანა დაიცვანო.

თავისი ახალგაზრდობა და სიჩაუქე რომ გაიხსენა, თვალი ბიჭანჭურას მოავლო. გოგია იყო, მხარში ამოეყნებინა მოხუცებულს.

– ჩემი შვილიშვილია. – ძლივგასაგონად ჩაიდუღუნა გიორგიმ და დამჭენარ-დაღარულ ლოყებზე ჩამოლვარლვარებული ცრემლი გადაყლაპა. ამ ბედნიერ დღეს თავისი უბედო ძე გაახსენდა დროულ კაცს. გოგიაბიჭის მამა, ნოშრე, მენინავედ რომ იბრძოდა, კახეთზე წამოსული ყიზილბაშის მახვილით გულგანგმირული დაცემულიყო.

მეფე ბატონი მოეფერა ობოლს, ჯიბე-უბე ოქროს ფულით აუვსო, მერმე საჭურველმტვირთველს თოფები მოატანინა, ყველაზე პრიალა თავისი ხელით ამოარჩია.

– აბა, შენ იცი, ღირსეულად ემსახურე შენს ახალ პატრონს! – გაემუსაიფა, ხელი გადაუსვა და დაბნეულსა და დამორცხებულ პაპის მოსახელეს გადასცა. – აპა, გიორგის შვილიშვილო, დღეიდან შენი იყოს... მტრის დასახვედრად გქონდეს. მტერი ბევრი გვყავს და შენ იცი და შენმა თოფმა, უანგმა არ შეგიჭამოს!

მეფეს თან მოსნრებული უფლისნული ეახლებინა. თავისი სამფლობელო და სამკვიდრო-საბადებელი ეჩვენებინა. სამწმყმსოს აცნობდა, ქვეყნისა და ერის ბატონ-პატრონობას აჩვევდა.

გიორგის შვილიშვილი რომ დაასახუქრა, ტახტის მემკვიდრესა და ძეს გადახედა. იმან უსიტყვოდ გაუგო მეფესა და მამას. ღირსეულად წარსდგა წინარე. ახლოს მივიდა, მხარზე ხელი დაადო, გაამხნევა სიხარულით დაბნეული ბიჭი. მომავალმა მბრძანებელმა მოწყალედ გაუღიმა მომავალ მოლაშქრესა და თანამებრძოლს. თოფსა და მეთოფეს იმედიანი თვალი მოავლო.

ციდრე სიხარულითა და ბედნიერებით გულაზავთებული პაპა-შვილიშვილი გონს მოეგბოდა და თავიანთ მწყალობელს მადლობას შეჰკადრებდა, მეფის ამალა აიშალა და გზას გაუდგა...

გიორგიმ და გოგიამაც თავიანთი სახლისაკენ მიმავალი ბილიკი მოქებნეს, აღმართს სვენებ-სვენებით შეუყვნენ და ზოგის სიხარულ-თანადგომიანი, ზოგისაც შურიანი მზერა გაიყოლეს...

გამოხდა ხანი. ომებში დალლილ-დაქანცული გვირგვინოსანი მიიცვალა.

არც გიორგი შეაბერდა ცას. იმისი ჯერიც დადგა, იმისი ძვლებიც მიიბარა მინამ.

სახელმწიფოს ახალგაზრდა მეფე განაგებდა.

ერთხელ, თავის საბრძანებელ-სამფლობელოს რომ ათვალიერებდა, უბატონო ქვეყანაც მოიარა. გზა იქით იყო და მისმა ამაღამაც აღაზნის პირპირ გაიარა. უკან, სატახტო ქალაქში დაბრუნებისას, ისინიც ვენახიანში გაჩერდნენ, მინამდე ტოტებჩამოწნული წნორის ქვეშ მოიჩრდილეს.

ვისაც კი ფეხზე დგომა და სიარული შეეძლო, შინ არავინ დარჩენილა, თავისი პატრონისა და მწყალობელის სანახავად გამოსულიყო.

ბოლო აღარ უჩანდა მოკითხვას, მოფერებასა და დასაჩუქრებას.

მოსულთა ყურადღება გლეხების ქოხმახების ზემოთ, სოფლის თავში წამოჭიმულმა ვებერთელა სახლმა მიიპყრო.

– ეგ გიორგი პაპას შვილიშვილის, გოგიას სახლია... – უმალ ჩაუჩხრიალ-ჩაუკაკლეს და ჩაუკენლეს...

იქ მყოფთაგან გიორგი პაპა კარგად ბევრს აღარავის ახსოვდა, მისი შვილიშვილი კი მეფის დამხედურთა შორის არ ჩანდა. ის ახლა თავის სამყოფელოში განაპირებულიყო. ვერ აღწევდა იქამდე სოფლელების ყაყანი და ქილიკი. თავის





მხატვარი სოფიო ჭელიძე

საზრუნავში ჩაყურყუმელავებულს მეფისა არც მობრძანება გაუგია და არც წაბრძანება.

გოგიაბიჭე ნაწყალობევი ფულით სული მოეთქვა, უფლისწულის საკადრისი სახლი დაედგა, ოჯახი დოვლათით აევსო. ეზო-ყურე მაღალი ქვაყურით შემოეკავებინა და შემოერაგვა. იმის იქით, გასადევარს ცხენ-კვიცის ჭიხვინი და ძროხისა თუ ხარ-კამეჩის ბლავილი და ყოყინი აყრუებდა. ბელელ-მარანშიც წლის სარჩო არ ილეოდა.

იმ დიდი სახლის პატრონი და ოჯახის თავკაცი თვითონაც დავაჟუაცებულიყო. ფერი და ხორცი შემატებოდა. ილბლიანსა და წელმაგარს მოკეთეც ბევრი ჰყავდა და მოშურნეც. მეფის ნაჩუქარი თოფი ავ თვალს არ უნდა ენახა და ერთხას ყველას საჩვენებლად საპურობო ოთახის კედელზე რომ ეკიდა, ახლა საგულდაგულოდ გადაემალა. თუ დასჭირდებოდა, ქვეყანას მტერი აეშლებოდა, იმის გამოტანასა და დაჭექებას რა უნდოდა!...

დრო კი მიდიოდა. არ იდგა. მას თავისი სათვალავი აქვს. თავისი შარა უნდა მოლიოს.

ოქროსჯილოსანი მზე ოქროსავე შუბებითა და ისრებით რომ კვალავდა ზეცის თავანს, მთვარე მედიდური რონინით იმოკლებდა სავალს.

ბიჭბუჭები ვაჟეაცდებოდნენ. ვაჟეაცდები ჭარმაგდებოდნენ. მერმე მხცოვანდებოდნენ...

ახალბედა მეფეც დაღვინდა. ნიათიანი და მოჭირასულე მმართველი დადგა. ერთგულები მოიმრავლა, ორგულები იმსახურა. ძალა და უნ-

არი მეზობლებსაც დაანახვა და აგრძნობინა და საზღვარ-სამანის გადმოლახვას იოლად ვერავინ უბედავდა.

ერი მომრავლდა. შიშიანობისას მიუვალ მთებსა და ტყეში გახიზნულები თავიანთ ნაფუძარს დაუბრუნდნენ.

სახნავი იხვნებოდა. სათესი ითესებოდა. სამკალი იმკებოდა.

მაგრამ მტრიანი იყო ალაზნისპირეთი. აქეთ რომ ბელელ-მარანი ხვავით იგსებოდა, იქით მახვილი ილესებოდა.

ძალობდა ზაფხული. მკათათვე კარს მომდგარიყო. ვენახიანის ქალი და კაცი პურეულის ასალებად ემზადებოდა. მომკელები მინდვრად გასულიყვნენ. ზოგს უკვე გაეჭრა ყანა, ტაროსს ეშურებოდა. შინდარჩენილები კევრებს ამონ-მებდნენ, კალოებს ასუფთავებდნენ.

გოგიასასაც გამალებული მზადება იყო.

კაკლის ხეს უფრო გაეშალა შხრები, ვარჯი გაედგა, ლამის მთელ ეზოს გადასწვდენოდა და გადაფორუებოდა.

კუნძხე გადალაჯებული ოჯახის უფროსი ნამგალს პირავდა.

იქვე ჯალაბს მოეყარა თავი. ახალგაზრდა დიასახლისი ჩრდილში სულს ძლიერ იბრუნებდა, ფეხშიმედ დაგოგმანობდა. მამობის მომლოდინე კაცი დროდადრო მალულად გააპარებდა თვალს სავსე ქალისაკენ. გოგოები ქარგავდნენ, ბიჭები ჯილაობდნენ.

მზემ აიმალლა. ჩამოცხა. ნიავი არსაიდან იძვროდა. ქვემოდან წიოკი და შეცხადება მოისმა. ქალებისა და ბავშვების კივილი ცაში ადიოდა. შეჭირვებულები და დაზაფრულები შველასა და შემწეობას ითხოვდნენ. მათი ცოდვით ქვა იწვოდა და და დნებოდა.

რა ხდებაო, გაიფიქრა გიორგის შვილიშვილმა და ფიცხლად წამოხტა, ყორეს გადაადგა და თუმცა თვალი კარგად უჭრიდა, მაინც მოიჩრდილა ხელი და სოფელს გახედა. მტრისას და ავისას, უკაცოდ დარჩენილ ვენახიანს მტერი დასცემოდა. უმწეო ქალებსა და ბალდებს ატყვევებდნენ, ხელფეხებაკრულებს ცხენებზე სურჯინებივით ჰკიდებდნენ. საქონელს მიერეკებოდნენ. მოხუცებს იქვე ხმლით შუაზე აპობდნენ. რაც ვერ მიჰქონდათ, წვავდნენ. ყველა ქოხი და ეზო ცეცხლის ალში გახვეულიყო....

ყველაფერი კარგად დაინახა გოგიამ. სახლისაკენ შებრუნდა. ეზო სირბილით გადაჭრა და კიბე რამდენიმე ნახტომით აათავა. შინ შევარდა, თოფს ხელი სტაცა, ლელვის ხესთან ჩაჭყლეტილ ღობეს გადაევლო და ბილიკს გაეკრა...

ანაზდად ხმა მოესმა. ვიღაც ეძახდა. შედგა. უკან მოიხედა. ეზოში არავინ ილანდებოდა. ჯალაბი შინ შელალულიყო. გაუკვირდა. მაგრამ ახლა რა დროს ეგ იყო!

ბილიკს სარივით დაერჭო და მიელურსმა,





ფეხი ველარსაით წადგა. გათოთხარდა კაცი – უკანმიბრუნება არ ეგებოდა, წინ წასულიყო და... იქით კანტიკუნტი თოფის ხმა იწვევდა და ეწეოდა, სადა ხარ, გოგიაავ, კაცი არა ხარ? მოდი, მოგვეველეო. აქეთ გვარის გამგრძელებლისა და მემკვიდრის აღმთქმელი, თავზე მუცელმოქცეული ქალი არ ეთმობოდა. რა ექნა, არ იცოდა... ცალი თვალით ქვემოთ, ცეცხლმოდებულ სოფელს რომ გახედავდა, ცალით თავისი სახლი ვერ ეთმობოდა.

მისი დიდი, სავსე სახლ-კარი სოფლისაა გან კარგა შორს იყო. იქ ატეხილი წიგილ-კივილი აქ ძლივს აღნევდა. მომხდურიც ჩქარობდა. მდევრისათვის უნდა გაესწრო, სად ეცალა გოგიას სახლისაკენ მიმავალი ბილიკის მოსაძებნად და მოსაჩხრეკად.

პირი იპრუნა, შინ ქურდივით შეიპარა. თოფი ძველ ადგილზე დადო. ისე გადამალა, კაციშვილი ვერ მიაგნებდა.

გადამთიელმა სოფელი მოითარება. გაძარცვა, დაარბია და დიდალი ტყვითა და ნადავლით უტია.

ვიდრე მინდვრად, სამკალში გასულებმა გაიგეს, რა მოხდა, რა ცოდვის კალი გაილენა, ვიდრე შინ მიცვივდებოდნენ, იარაღს აისხამდნენ და გამოენთებოდნენ, თავდამსხმელებმა სამშვიდობოს გააღწიეს.

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა ალაზანზე. ბევრჯერ გაიფოთლა და გაიცარცვა კაკლის ხე გოგიას ეზოში.

უცვლელი მარტო ის იყო, რომ მტერი და დუშმანი უნინდებურად აურაცხელი ჰყავდა ვენახიანს. თათარს რომ მოიგერიებდა, გაისტუმრებდა, ახლა დაღესტნები ჩამოუვლიდა ლეკურს. ვისაც სხვისი ნაშრომ-ნაოფლარით გუდის გაძეგვა მოეპრიანებოდა, ალაზანს გადმოლახავდა. ისეთებიც იყვნენ, გუდისა და ხალთის ამოყორვას, ცხვარ-ძროხის გარეკვასა და გოგო-ბიჭების ტყვევნა-გატაცებას არ ჯერდებოდნენ, ხეხილს ჩეხავდნენ, ვაზს კაჭავდნენ სიავისა და სიხარბისაგან თვალდავსებულები და დაბრმავებულები.

მოიშუშებდა ჭრილობებს გლეხკაცი, დაიამებდა ტკივილებს. მტრის ხელით წუთისოფელს გამოსალმებულებს გამოიტირებდა და გამოიგლოვდა, ცხვარ-ძროხას მოამრავლებდა, ბელელსა და ამბარს ხორავით მოაპირთავებდა; გაჩნდებოდნენ და წამოიჩიტებოდნენ ბალლები.

გამოტყვრებოდა თვალმარჩხი და ყიამყრალი. ისეთ დროს უყველთებდა, ან ყანა იყო სამკალი, ან ვაზი დაყურსული. დაეცემოდა სოფელს, ბელელ-მარანს გამოაცარიელებდა, ოთხფეხს გაირეკავდა, გოგო-ბიჭებს ცხენზე შემოიგდებდა...

ატყდებოდა ვაიუშველებელი. გაიგებდნენ მინდვრად და ზვარში გასული კაცები, მოც-

ვივდებოდნენ... გაჩაღდებოდა ხელჩართული ბრძოლა, ორთითებისა და ხაჩაკლების ტრიალი, ხმლებისა და ხანჯლების ჩახაჩუხი. აქა-იქ თოფიც იჭექებდა.

ხმაური და ყიუინა ზეცას შეასკდებოდა. გოგიანთსაც ააღნევდა. ქვემოდან ამოხეთქილი ზარი და მოთქმა-გოდება ყურს გაუხვრეტდა ოჯახის თავკაცს, შეამფოთებდა და აანრიალებდა. დააგდებდა საქმეს, ეზოს გადაირბენდა, სულმოუთქმებად აათავებდა კიბეს, შინ შევარდებოდა, თოფს გამოიტანდა სამალავიდან და ლობე-ყორეს გადაევლებოდა...

ბილიკზე დამდგარს ძახილი წამოეწეოდა. შეჩერდებოდა. უკან მოიხედავდა. ვერავის დაინახავდა. გაუკვირდებოდა, ვინ დამიძახაო...

ამასობაში თავის დიდ სახლს მოავლებდა თვალს, ჯერაც რომ ვერ მოესურვილებინა. ახლა ქვემოთ გაიხედავდა და შეამჩნევდა, რომ სოფელი მისი სამფლობელოდან კარგა შორს იყო. ვიდრე ის ჩაიბილიკებდა, გადამთიელი თავისას იზამდა. ჩათქვირებული ცოლი და ხელის თითებზე ჩამოუთვლელი იქ და ასულიც შეეცოდებოდა და დაენანებოდა, უჩემოდ ვინ მიხედავს და უპატრიონებს ამათაო. არ ღირს თავის გამოდებაო. მითუმეტეს, მომხდური აქეთ არც ეპირებაო.

დაეტიო, გოგიავ, შენს ქერქმი, შენს სახლ-სა და ცოლს მიხედეო, შემძახებდა თავს, ზურგს შეაქცევდა ცეცხლში გახვეულ სოფელს, პირს სახლისაკენ იბრუნებდა, ყურს მოუყრუებდა აქი-იქ გასროლილ თოფს თავისას არ დააქუხებდა...

სოფლის კაცები უგოგიაოდ გაუმასპინძლებოდნენ შემოსულებს, ტყვესა და ნადავლს დააყრევინებდნენ, ზურგზე ბოლს აადენდნენ, ცოლსა და დედას აუტირებდნენ.

განვლონ დრომ. ისევ მოინია ზაფხული ალაზნისპირეთში. ჰა და ჰა, სადაცაა მიინურებოდა მარიამობის თვე. ნაფერისცვალევს გოგიასას სართვლოდ ემზადებოდნენ. გოგო-ბიჭები ვაზებში დაძვრებოდნენ. მტევნებიდან თვალშესულ ყურძნის მარცვლებს კირკინიდნენ.

სახლის პატრონი გოდორს წნავდა კაკლის გრილოში. თმა-წვერი თეთრად გადაფიფქებოდა და გადაფეთქოდა წლებით დამძიმებულსა და წელში მოკაცულს. მაინც მარჯვედ უყრიდა წნელებს მინაში ღრმად ჩარჭობილ შინდის მანებს შეა. ერთ პირს რომ შემოატარებდა, წალდს ყუიდან ჩაუკაცუნებდა, ერთმანეთში მჭიდროდ ჩასვამდა წნულებს, გვერდებზე სიბრტყითაც შემონაცვლებდა, ხელებსაც შემოტყაპუნებდა. სიმკვრივეს შეუმოწმებდა. ქმაყოფილი დაიქნევდა თავს. ნაქნარს თვითონვე მოიწონებდა, მერე ჩამუხლებდა, ცოტა შეისვენებდა, ცივ წყალს მოწრუპავდა ჭიჭლიდან. ისევ დასწვდებოდა, წნელ-წნულ შემოუვლიდა...

ქალ-რძალსაც ხელი გამოელო. ერთი რომ





ჯამ-ჭურჭელს რეცხავდა, მეორე ხოჭიჭში ჩაკრულ ჩვილს არწევდა.

მზე გადაიხარა. ასაღამოვდა. კიდევაც შემგლიფერდა.

ბალდების უივილ-ხივილი საბალახოდან მოდენილი და ბაკ-ბოსელში შერეკილ-შემწყვ-დეული ცხვრის პეტელმა და საქონლის ბლავილ-მა დაფარა.

ფრინველის კრიახსა და ძალლების გნიას-ში, ქვემოდან, სოფლის მხრიდან გაურკვეველმა ხმებმა ამოაღნია. ხმა თანდათან ძლიერდებოდა. ბერიკაცმა შუბლზე გადმოფარჩხული ფაფუერი თმა თავისაქნევით უკან გადაიყარა, წნელი ძირს დააგდო, ღობეს გადააწვა, მიაყურა. ხელიც მოიჩრდილა. ვერაფერი დაინახა და ხმამაღლა და-იძახა:

— გოგიაავ, ბიჭო, ერთი კაკლი ხეზე ადი, ქვევით გაიხედე, რა ხდება იქა!

ყინწარა და ყვიციანი ბიჭი და-ძმებს გამო-ეყო. ხესთან მიირბინა. ტოტი დასწია, მარჯვედ შეახტა და ზემოდან მოექცა. მერმე იმანაც პა-პის მიბაძვით ხელი მოიჩარდახა და სოფლისაკენ გაიხედა.

— ხედამ, ბიჭო, რამესა? — ვერ ითმენდა დიდი გოგია.

— ჰოო, პაპი, ვხედამ. — ჩამოსახა პატარა გოგიამ. — ჯარი მოდის აქეთკენა... უუჳ, რამდე-ნი არიან?!

— მაინც რამდენი იქნებიან, ჰაა?!

— ბევრი, პაპი, ძალიან ბევრი... ერთი საბურ-თალოს ხალხი იქნება. ეგე, კიდევაც შემოვიდნენ სოფელში, ეზოებში შეცვიდნენ.

გულს შემოეყარა, დაღონდა გიორგის ნაშიერი. რომ ვერაფერი გააწყო, დაღარულ-და-კოურებული ხელები უმნეოდ გაასავსავა, შვილიშვილს შეუყვირა:

— ჩამდი, ბიჭო, ძირსა, ემანდ არ ჩამოვარ-დე, არ დამლუპო!..

ეზო გადაიძუნდულა, შინ დამძიმებული ნაბი-ჯებით შევიდა, თოფი გამოიტანა. ღობეს მიად-გა, სადაც ბილიკი ეგულებოდა, მაგრამ უტია. ჭიშკართან ჩასაფრდა, საურმე გზა ამოილო მი-ზანში. მართალია, მის სახლსა და ეზო-ყურეს სოფლისაგან კარგა აღმართ-ჩაღმართი აშორებ-და, გადმოცვენილებს რატომ უნდა აეტკივე-ბინათ თავი ფერდობზე ძრომიალითა და ხოხი-ალით, როცა წასაღები და წასატაცები დაბლაც ბევრი იყო, მაგრამ... ეშმაკს არ სძინავსო, რა ვიცით, ვინ არიანო...

დაიღალა დროული კაცი საფარში ჯდომით. არაქათი გამოელია. აქამდე გოდორს მოვრჩე-ბოდიო... თოფიანი ხელით მუხლებს დაეყრდნო, წამოიწია...

ანაზდად ვიღაც ახმახი წამოადგა თავს. დაძახებულივით წინ გაუჩერდა. ამან გაკვირვე-ბულმა ახედა ქვემოდან, ვერ იცნო, ცხრაუცხო

იყო. დაიზაფრა, მაგრამ თავისას იყო და დიდი გული ჰქონდა. როგორც იყო, წამოიყაყვა, წა-მოდგა და მოსულს სახეში ჯიქურ მიაჩერდა, ვითომ, ვინა ხარ, აქ საიდან და როგორ გაჩნდიო, ვინ დაგპატიჟაო...

დაუპატიჟებელმაც თვალი თვალში გაუყარა და იმის მაგივრად, რომ ჩაჩანაკსა და ყრანტ ბერიკაცს დატაკებოდა და თოფი წაერთმია, მშ-ვიდად უგანა და ეზოში ისე გაიარ-გამოიარა, თითქოს თავის მამაპაბისეულში იყო.

დოინჯშემოყრილი ყველაფერს ათვა-ლიერებდა და აკვირდებოდა. დროდადრო თავს დაიქნევდა, ნიკაპზე თითებს ჩამოისვამდა, იმ სახლ-კარის პატრონისათვის გაუგებარ ენაზე თავისთვის რაღაცას ბურტყუნებდა. ეტყობოდა, მოსწონდა დიდი გოგიას ნაშოვნ-ნაღვაწი და ნაო-ფლარი.

გოგიამ კრინტის დაძვრა ვერ მოასწრო, ეზოში ჯგროდ შემოცვივდნენ და შემოილალნენ იმ კაცისანები. გაბარჯლულტოტებიანი ლელვის ხე რომ იდგა, იმ მხრიდან შემოდიოდნენ და შე-მოდიოდნენ. ბოლო აღარ უჩანდათ. ის ბილიკი, ლელვის ხის გვერდით, ჩაჭყლეტილ ღობესთან რომ იწყებოდა და რომლითაც ადრე სოფელში ჩაირბენდნენ ხოლმე, გოგიას მეტს ალარავის ახსოვდა. საურმე გზა რომ გაიყვანა, ის გზა-წვრილი ვიღას სჭირდებოდა და ჭინჭარსა და ან-წლში ჩაიკარგა.

დახეთ ერთი, ზურგიდან მომიარეს ამ უჯიშოებმაო, რა იცოდნენ, როგორ მიაგნესო, გოგიამ. სოფელი გაძარცვეს და ეხლა მე მო-მადგნენო... ვიცი, მაგათ რაც უნდოდათო. ეზო გადაჭრა, თავლის კარი გამოაღო, ბოსელიც ყურთამდე მოაფრიალა. ბაკ-საჩეხისაკენაც გა-დაპკრა თვალი და ორივე ხელი მორჩილად გამა-ლა – წაიღეთ, რის წალებაც გინდათ და წაწელე-ვდით აქედანაო...

ვიდრე გოგია წამღებებს ბელელ-მარანსა და სხვა რამერუმებს აჭყვრევინებდა და ახარბე-ბდა, ზოგი უკვე სახლში შესულიყო, ოთახიდან ოთახში დაბორიალობდა.

არ ჩქარობდნენ. ცხვარ-ძროხასა და ჭირ-ნახულს როდი დაერივნენ და დაესივნენ. არც ბინა გადაუბრუნებიათ და გადაუქოთებიათ ძვირ-ფასეულობის ძებნაში. დაძვრებოდნენ, დასუნ-სულებდნენ და ყველაფერს ათვალიერებდნენ, წამგლეჯისა და გამქცევისა კი არა, პატრონის თვალით ზომავდნენ და წონავდნენ.

იქაურობის ჯერხნობამდელი პატრონი წლებს კი დაეჯაბა, მაგრამ ჯერ ისე არ გამოეტ-ვინებინა და გამოეჩერჩეტებინა, ვერ მიმხვდარი-ყო, რომ ბილიკზე ამოპარულები არსად წასვლას და რაიმეს წალებას არ აპირებდნენ. მათ უფრო მეტი უნდოდათ, ვიდრე გოგიას აქამდე ეგონა, ის მინა უნდოდათ, რომელზედაც დიდი გოგიას დიდი სახლი იდგა, მისი დედულ-მამული უნდო-





დათ, მორჩია და გათავდა.

ხო ეს ყველაფერი, რაც იმის ბარობაზე ხდებოდა, უცაბედი იყო, ცამონმენდილზე ჩამოვარდა და დადეცა თავს მეხი და მედგარი, ერთი გაკვირვება მაინც გაიკვირვა, მაინც მოასწრო.

ამას, გოგიას, მტერი მოსულიც ბევრი ენახა და წასულიც... მართალია, ხანჯალ-სატევარი არც მანამდე ამოენვადა ქარქაშიდან და არც თოფი დაეცემნებინა, ქუდი არ ჩამოეფხუტა და ხელჩართულში არ გადაშვებულა, მომხვდურს არ დახვედროდა და დევნილს არ დადევნებოდა, მაგრამ არ ეშლებოდა, იცოდა, ვინ, რომელი იყო თათარი, რომელი თურქი და რომელი – ლეკი.

ესენი კი, ახლა იმის ეზოში რომ მოჯლიგინობდნენ და მოილალებოდნენ თავიანთი ბარგი-ბარხანიანად, არც ერთი იყო, არც მეორე და არც მესამე, სხვა ჯურისა და მოდგმისანი ჩანდნენ...

ისე, კაცმა რომ თქვას, გოგიასთვის რა პედენა იყო, იმის ნასუქსა და ნაპატივებ ცხვარ-ბატყანს მგელი შეჭამდა თუ მგლისფერი ტურა, ან გიორგი პაპის დანატოვარ მინას, მამამისმა ნოშრემ თავი რომ ანაცვალა, გინდა იმ დიდსა და ლამაზ სახლ-სასახლესა და ეზო-კარს, საქონელსა და საყოლელს ვინ, რომელი ოხერ-ტიალი შეცილებოდა და შეეთოთხმეტებოდა, დასავლეთიდან გადმოხვენილი თუ აღმოსავლეთიდან წამოღერდებული, სამხრეთიდან ამოხეტებული თუ ჩრდილოეთიდან ჩამოთესლებული.

ჰოდა, იმასაც ბევრი აღარ უფიქრია, ჩაიმუხლა, თოფი კონდახით მხარზე მიიბჯინა, ჩახმახი ფეხზე შეაყენა და იმას დაუმიზნა, ვინც პირველმა ამოიარა მისი სახლისაკენ ამომავალი ბილიკი და ეზოშიც პირველმა შეაბიჯა.

მაგრამ ის, ვინც გოგიას ეზოში პირველმა შეაბიჯა და ისე დაიჯგიმებოდა, თითქოს თავის მამისეულში იყო, ვითომ გოგია იქ არ იყო და არც არასოდეს ყოფილა, აი, ის კაცი ხედავდა, როგორ არ ხედავდა, რომ სამიზნეზე იჯდა, მაგრამ წარბიც არ შეიხარა.

– გოგია, მოდი აქ... – წყნარად უთხრა მოსულმა, თითქოს იმას კი არა, თავის თავს ელაპარაკებაო.

– გოგიაომ?! ჩემი სახელიცა სცოდნია, მე მაგისი... – გაცოფდა და გაშმაგდა დამხვდური, გამოჰქირა სასახლეტს თითო... თოფი არ გავარდა, ისევ დაუმიზნა, ისევ უმტყუნა.

წახდა კაცი. თოფი ძირს დაუშვა. სასონარკვეთილი და გაორჩებული მინას ჩააშტერდა, თვალსა და ხელს შუა რომ ეცლებოდა.

შუბლზე ძარღვები დაებერა, საფეთქელსა და თვალებში სისხლი მოაწვა. საკუთარი გულის ბაგაბუგი გაიგონა.

– ვაი ჩემს დღეს, ვაი ჩემს მოსწრებას! – შეჰბლავლა ცას და ორივე ხელი, თოფიანიცა და უთოფოცა, თავ-პირში გამეტებით წაიშინა.

ველარ გაუძლო დაძაბუნებულმა სხეულმა ცემა-ტყებასა და გვემას, სისხლმა ითქრიალა, მიმჭქანარ ლოყაზე ჩამოიკლაკნა და ფაფუკი წვერი ჩამოაწითლა.

რამდენიმე წვეთი მინას დაეცა. დაგვალულმა მინამ შეინვა და შეიტებო სისხლი წლებმოყრილი კაცისა, სისხლი, რომელიც მანამდე არა-სოდეს დაღვრილა მისთვის.

ახმახი კი იდგა. არ ინძრეოდა. თითქოს კიდევაც ელიმებოდა. მერმე ახლოს მივიდა.

– აბა მაჩვენე ეგ სათამაშო! – გამოართვა. ხელში რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალა, კონდახზე წერილტი დაჭკრა, ლულაშიც ჩაიხედა, ჩახმახი და სასხლეტიც მოუსინჯა. – საიდან, ჰა?

ისე, ყასიდად იკითხა, თორემ ეტყობოდა, იმ ბილიკისა და სახელისა არ იყოს, კარგად იცოდა, ის თოფი იყო თუ სათამაშო, იმას საიდან და ვისგან ჰქონდა... ისიც, ისიც იცოდა, რაც გოგიას საკუთრება იყო, არასოდეს რომ არ გავარდნილა და არც ახლა გავარდებოდა!

ბერიკაცს უცხოსი არ ესმოდა, მაგრამ შეატყო, რომ იმას ამისი თოფი მაინცადამაინც თვალში არ მოუვიდა.

მართლაც, მოსულმა, ეშმაკს წაულიაო და, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, მოიქნია და გადატყორცნა.

ნამეფარი და ნაგოგიარი თოფი ჰაერში, ლელვიანის მაღლა გადაირკალა და ეზოს გადაღმა ჩაეცა.

სანებვეზე ყვავების გუნდი დაფრთხა, ყრანტალით წამოიშალა, იქაურობას გადაუფრინა და გადადაშავა.

შუა ეზოში ორნი იდგნენ – მომხდური და დამხვდური. დიდი სახლის ძველი და ახალი პატრონი.

ერთი დიდგულობდა და მეორეს რაღაცას ჰყვედრიდა...

მეორეს მორჩილად დაედრიკა ქედი და უილავობისაგან დასაკლავ ხარივით ჩაჰბლუოდა ნათავისარ მინას...

მზემ სხვები აერიფა და მთების გადაღმა ჩაინურა.

ფერდაზე დალლილივით წვებოდა ბინდი...



პოეზია

გიული ჩიხიაშვილი

სიკერძოებულის მუნიციპალიტეტი

ფარივით გიული –
უბერებელი,
ეგ, – შენი მთები...
შეც – ფართე მკერდზე
ნათამამები, – გოლიათები...

გიული ჩიხიაშვილი

33



სიკერძოებულის მუნიციპალიტეტი

ლამეა, ისეთი, თეთრი,
როგორც – ალუბლის ტყე,
ლამეა, ისეთი, ლამაზი,
როგორც სიყვარულის დღე.
მთვარეა, ისე ახლოს,
თითქოს, ჰკიდია ხეს,
ნეტავ, ჩემს გვერდით იყო,
ნეტავ, მომხვევდე ხელს...

დაგბედებოდეს.

მეფე დავითი,
დიდი შოთა,
დიდი ილია,
დიდი ვაჟა,
მერანით – ტატო,
დაგვბედებოდეს...

კაჭშობლობა

ფაგრეფეროდეს

დაგბედებოდეს:
ცა, – მოკამკამე,
მზე, – მომლიმარიც
შენთვის მნათობდეს...
მწიფე ყურძენი,
მწიფე თავთავი, –
„პური არსობის“,
შენთვის მრავლობდეს
დღე – ნათელი და...
ლამეც – ნათელი,
თვალი – უცრემლო,
ზღვა – სიყვარულის,
დაგბედებოდეს...
მამაპაპური –
სული, – ქართული,
ყრმათა სიმრავლე,
უძლეველობა და უკვდავება –

შენა ხარ – დიდი, –
მარად უკვდავი,
ტაძრების დედა;
სვეტიცხოველის –
სხივთა მთოველის, –
ყოველთა ზედა.
სამკაულია, –
შენი შუბლისა
კავკასიონი
სიწმინდე შენი,
მრავალთა თანა –
მცხეთა, სიონი...
ფარივით გიცავს –
უბერებელი,
ეგ, – შენი მთები...
შენს – ფართე მკერდზე
ნათამამები, – გოლიათები...
გშვენის: თვალადი,
რტოებაწვდილი, –





ცისკენ, – ხეები
და... გადიადებს –
გმირ წინაპართა
სავანეები.

* * *

ნისლებმა
დილის ცა გადავლეს,
ამ წუთას,
ცა – მომღიმარია...
ო, რა ფერებია –
ყვავილთა,
დღე, ისე,
თბილი და წყნარია,

ისე, ნათელია, როგორიც –
ლვთისმშობლის
ალსავლის კარია.

ზედი

ვიღაცას, ვიღაცა უყვარს, – ძალიან,
ლალობს მზე, მისთვის –
მზეობს, – ზემოდან...
ვიღაც, სხვა, ღირსი
და... ზნეკეთილი,
უმისოდ, მიდის –
ამ, სამზეოდან.



მხატვარი ელზა თუშაბრამიშვილი



პლატონ ბექურიძე

სამართლებრივი მუნიციპალიტეტი
თქვენი მიზანი

სამართლებრივი მუნიციპალიტეტი შემოუსხმნენ, რომ ეს კიხვეში ისევ ჭიუხებს დავუმუშონოთ, მათი სამშობლო იქ არის, სულ ერთა, არ გაჩერებული იქ, შეიძლება ხილისაგარენი რამეს გადაეყარონ. ესენი რომ კიდევ ფაგვეკარგონ, გული გაგოთავებს, მერ დარწის ფია შემჭიდს. ეგარ არ იყოს, ვინჯ საჭავა გაჩერილი, იქაა მისი ადგილსამყოფელი. ვრა, მითხარი, რაცომ ვერ ძლევ კახეთში და სულ თუშეთი გაიძახი...

პლატონ ბექურიძე

35



გადლი ნიშისა

პლატონ ბექურიძე დაიბადა 1934 წელს, 8 მარტს, ახმეტის რაიონის სოფელ დიკლოში.

1954 წელს დაამთავრა თელავის მეორე სამუალო სკოლა, ხოლო, 1956 წელს – თბილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმი.

შემდეგ, სწავლა გააგრძელა ლენინგრადში და 1964 წელს დაამთავრა უმაღლესი, – კავშირგაბმულობის განხრით.

ამავე სპეციალობით მუშაობდა თბილისში, ინჟინრად. შემდეგ, დაინიშნა საქართველოს კავშირგაბმულობის მთავარ ინჟინრად. მუშაობდა მინისტრის მოადგილედ, – საამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უფროსად, – სიცოცხლის ბოლომდე.

მისი პოპი იყო მხატვრობა და მოქანდაკეობა. წერდა აგრეთვე, ლექსესა და მოთხრობებს.

1991 წელს გამოაქვეყნა მოთხრობების კრებული „სიცოცხლის სადლეგრძელო“.

ამ კრებულში ავტორის თვალით დანახულია თუშეთი და თუში კაცის ცხოვრება.

ძალიან დასანანია, რომ ნიჭიერი შემოქმედი გარდაიცვალა შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, 1993 წელს.

გთავაზობთ პლატონ ბექურიძის მოთხრობას „ვაკისძირელი მონადირე“.

ვაკისძირელი მონადირე

სოფელ ვაკისძირში, რომელიც თუშეთის წარმტაც ბუნების წიაღში, გომენის ხეობაში მდებარეობს, ერთი ოჯახი ცხოვრობდა. ოჯახის უფროსს როსტომი ერქვა, დიასახლისს – მარიამი. მეტაურიძების ოჯახი შეძლებული და სტუმართმოვარე იყო – ჰყავდათ ცხვარი, ცხენი, ძროხები. თავისითვისაც და სტუმრისთვისაც ყველაფერი ჰქონდათ და ეშვოვებოდათ.

მარიამის გულკეთოლობა მთელმა სოფელმა იცოდა, წასულ-მოსულის გასტუმრება და დახვედრა უყვარდა. როსტომი თავადაც დაუზარელი და მშრომელი კაცი იყო და სხვასაც პატიოსნებითა და გარჯით აფასებდა. უყვარდა ცხენი და იმ ხეობაში საუკეთესო მხედრად ითვლებოდა. კარგ მედოღეს კარგი მონადირის სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი. აიღებდა თავის ძველებურ ექვსკუთხა ლულიან ბერდენკას და

ჭიუხებს მიებმებოდა ჯიხვებზე სანადიროდ. იშვიათად ბრუნდებოდა ხელმოცარული. ერთზე მეტს არასდროს მოკლავდა, – მეტს ვერც ავიკიდებ, – იტყოდა ხოლმე, ეგენიც ღვთის გაჩენილები არიან, მაგათაც შეწყალება და მოვლა სჭირდებათ.

ერთ სალამოს როსტომი გვიან დაბრუნდა ნადირობიდან, ცოლი გააღვიძა და უთხრა:

– ადექი, ქალო, რა ადრე დაწოლილხარ, ნახე, რა მოვიყანე, მიხედე, ცოდვაა. საბრალო კანკალმა აიტანა, ალბათ შესცივდა, ეშიება კიდეც, ფერდი ფერდსა აქვს მიკრული... არ მოკვდეს, მეც წინდები მომეცი, მუხლებამდე სველი ვარ. მესამე დღეა კლდე-ღრეში დავეთრევი. დღეს დილას ფინალოს მთებში წვიმამ მომისწრო: სანამ არ გადაიღო, ეში ვიჯექი, თვალი არაფრისთვის დამიკრავს. ზაფხულია,

ოქტომბერი, №1, 2021





ნადირიც დანაყებულ-დამძიმებულია, წვიმაში მათაც ეზარებათ საბალახოდ გამოსვლა, ისეთ მიუდგომელ ადგილებში ქუჩნარობენ, ეშმაკი თუ წაადგება სათოფე მანძილზე. – ნაწყვეტნაწყვეტ, თითქოსდა თავისითვის ამბობდა როსტომი.

თოფ-იარალი, გუდა-ნაბადი დააბინავა, ღრმად ამოისუნთქა და ფიცრის ტახტზე ჩამოჯდა. ნელ-ნელა, აუჩქარებლად იხდიდა სველ ქალბან-წინდას.

მარიამი წამოდგა, ბუკვანს მოუკიდა და ოთახის შუაგულში დამდგარი ხან ერთ კუთხეში იყურებოდა და ხან მეორეში, უნდოდა დაენახა, რა მოიყვანა როსტომმა.

– რა არის, კაცო, ეს?! – გაკეირვებით წამოიძახა მარიამმა, როდესაც სახლის კუთხეში მიყუული ციკანი დაინახა.

– რა არის და პატარა ჯიხვია...

– ჯიხვი შენა და არგახარება! – აღარ აცალა მარიამმა, – თავმომწონე მონადირემ ამას ხელი როგორ მოჰკიდე! კაცს ამის ცოდო რამ დაგადებინა, შენი ბალლები მაინც არ გაგას-სენდა? კაცებს ხომ გული და სიბრალული არ გაგაჩნიათ. – კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა მარიამს, მაგრამ ახლა როსტომმა მოსტაცა სიტყვა.

– ქალო, რა ცოდვა ჩავიდინე! სიკვდილს გადავარჩინე და შენ აქეთ მაღანაშაულებ?

– დიდი საქმე კი გიქნია, დღეს სიკვდილს გადაარჩინე და ხვალ შიმშილით მოჰკლავ... რა მოასვენებს მაგის შვილდაკარგულ დედა! ცოდვა არ არის? – ცხარობდა მარიამი.

– არ მოკვდება, დილას დაბადებულია, ჯერ მაგან არაფერი არ იცის, აი, ორი-სამი დღის რომ იყოს და დედის ძუძუ ჰქონდეს ნაწვი, პირს აღარაფერს დააკარებდა, შეიძლება მართლა მომკვდარიყო.

– რა უნდა ვუყო ახლა მე ამას? რა სადარდებელი გამიჩინე? – შენუხებით ჩაილაპარაკა მარიამმა.

– მოძებნე, სადლაც ჩვენი ციკინის საწივარა უნდა იყოს. ამწინებზე ჩალიან ტახტზე ბალლები თამაშობდნენ, მანდ სადმე იქნება. რძე გაქვს, შეუთბე, ცოტა თვითონაც ჩაათბე. ტუჩებზე რომ საწოვარა მოხვდება, მოწოვს, აბა რას იზამს.

ბევრს ეცადა იმ ლამეს მარიამი, ერთი-ორი ყლუპი რძე როგორმე გადაეყლაპებინა, მაგრამ ამაოდ, ბოლოს პირი გაულო და რამდენიმე ქიტი¹ რძე ძალით ჩაასხა პირში, საწოლში ჩაიწვინა და გათენებას დაელოდა.

მეორე დღეს მთელმა სოფელმა გაიგო: როსტომს ჯიხვის ციკანი მოუყვანიაო. ყველაზე ძალიან ბავშვები გაახარა ამ ამბავ-

მა. ჩვენ გავზრდით, ბალახსაც მოვუტანთ და წყალსაც დავალევინებთო, – ეხვეწებოდნენ მარიამს.

მეორე დღეს დილაადრიანად როსტომს ფერმის გამგე, გოთაანთ ლადო მოადგა კარზე ცხენით.

– გავიგე, როსტომი ჯიხვებზე სანადიროდ თოფით აღარ მიდისო, ჭიუხებში ხელით იჭერს ჯიხვებს და ცოცხლად მოჰყავსო. მაჩვენე ერთი, რა ჯიხვი დაიჭირე! – შეეხუმრა მასპინძელს.

– ჰომ!.. შემოდი, შემოდი, ლადო! თითო სადილაო დავლიოთ, მოგვიხდება, მეც ცოტა გუშინდელი შეციებული ვარ... – შეიპატიუა როსტომმა ლადო. – კაცო, ორი-სამი დღე ვიწანნალე, თითქმის სპეროზიამდე გადავედი, არაფერი შემხვედრია. გუშინ წვიმდა, მთელი დღე ეხში ვიჯექი. ის იყო წვიმამ გადაილო და გამოიდარა, ეხიდან რომ გამოვედი, უცებძლიერი, სტვენის მაგვარი შხუილი შემომესმა. ცაში ახედვაც ვერ მოვასწარი, რომ ჩემს გვერდით ოთხ-ხუთ მეტრზე არწივმა ჩამიქროლა. არც თავი ეტყობოდა, არც მხრები. ისეთი სიჩქარით გამცდა, მუშტის ტოლალა ჩანდა, მერე სწრაფადვე ავარდა ჰერში, გასწორდა და რამდენიმე ირაო შეკრა. მივხვდი, ჩემ ახლომახლო რაღაცას ეტევებოდა. ვიფიქრე, ერთი აქაურობა დავათვალიერო-მეთქი. რამდენიმე ნაბიჯი არ მქონდა გადადგმული, რომ ქვებს შუა ჩაჩრილი ვნახე! ბევრი ვიყურე აქეთიქით. დურბინდით ვათვალიერე მოპირდაპირე ფერდობები და ქარაფების ბოლოები, თოფიც დავცალე, იქნებ დაფრთხეს და ქვიშის ჩხრიალზე დედა შევნიშნო-მეთქი, მაგრამ ამაოდ, ახლაც არ ვიცი, ის არწივი რას ეტევებოდა, სხვა რამეს თუ ამ უბედურს. შეიძლება ტყუბის ცალი დარჩა სადმე... ბოლოს ვიფიქრე: რაღა არწივს ჩავუგდო საჯიჯვნად-მეთქი, დავავლე ხელი და წამოვიყვანე. თან დროც აღარ მქონდა, ღრუბლიანი დღე იყო და დროის ანგარიში მქონდა დაკარგული. აქ დედაკაცმა ამიტება ხათაბალა, უგულო ხარო, ცოდო დაიდეო.

– არ მოკვდება, პირველი შემთხვევა ხომ არ არის. გაიზრდება, აბა რას იზამს! – თქვა ლადომ და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– კაცი გვჭირდება, როსტომ, არსენა ხააძის ბრიგადა ორი მეცხვარის ანაბარა არის დარჩენილი, ამიტომ მოვედი შენთან. ამ კვირის ბოლოს პარსვაც უნდა დავიწყოთ, იქნებ მოგვეშველო ერთი თვე მაინც...

– რატომაც არ მოგვეშველებით. აბა, დაჯექი ცოტა ხანს, დაჯექი, კარისკენ ნუ იყურები. პირწყალაულებელს სულ ერთია არ გაგიშვებ. ბარიდან, რა თქმა უნდა, აქამდე უნდა ამოსულიყვნენ. ვინ იცის, იქნებ მათაც რამე

¹ ქიტი – ხისგან გამოთლილი ღრმა კოვზი.





უჭირთ, ამოვლენ, აბა რას იზამენ. მე ცოტა თივა მქონდა გასათიბი, მაგრამ ასეთ ამინდში სათიბებში ვერ შევა კაცი, ეგეც არ იყოს, ფერმის გამგეს უარს როგორ გეტყვი! – ათა-მამებდა სტუმარს როსტომი.

ცხვარ-მეცხვარენი ადლეგრძელეს, მა-მა-პაპანი მოიხსენიეს და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

როსტომმა მეცხვარებს იმავე საღამოს ააკითხა ჯვარბოსლის თავში.

...მთელი ზაფხული ისე გაატარა მარიამ-მა, ჯიხუნასთვის ხელი არავის დაკარებინა, პირველ ხანებში უბით დაჰყავდა, საქმესაც ასე აკეთებდა წელზე შალმოხვეული.

– ახალგაზრდობაში ზურგზე ბაგშვა-კიდებულს ყანა მიმკია, ამ ერთ ციცქანას ვერც კი ვგრძნობ. – იტყოდა ხოლმე მეზობლებში.

სასაცილოდ გამოიყურებოდა უბიდან თავ-გამოყოფილი ციკანი. მოკლე და წვრილი სი-ფათი ჰქონდა, დიდი თაფლისფერი თვალები, დროდადრო თავს აქნევდა, ყურებს აპატყუნებდა, ხანდახან პატარა ენით ტუჩებს გაილოკავდა. მარიამის კალთაში შეუძვრებოდა და იქ მოიკალათებდა ხოლმე.

ერთ კვირაში მარიამმა უბე დაატოვებინა, უფრო სწორად, თვითონ ციკანი აღარ გაუჩერდა, მაგრამ მარიამს მაინც არ შორდებოდა, მალე ბალახის ძმვაც ისნავლა, რძეს ნელ-ნელა თავი მიანება და წამოიზარდა კიდეც. ხტუნგა-კუნტრუშით გულს რომ იჯერებდა, მარიამს კალთაში შეუძვრებოდა და იქ მოიკალათებდა ხოლმე.

როსტომმა მთელი ზაფხული ცხვარში გაატარა, მხოლოდ შემოდგომაზე მობრუნდა სახლში. ციკანი რომ დაინახა, აღტაცებით უთხრა მარიამს:

– მარიამ!.. ეს რამხელა გაგიზრდია, ჰა!.. შენ კი მეუბნებოდი, ცოდო დაიდეო, მოკვდებაო... .

– ჰო, აბა, გადარჩა! მთელი ზაფხული თავს ამით ვიყოლიებდი, ბავშვივით სულ უკან დამდევდა. ერთ-ორჯერ დავემალე, ნეტავ რას იზამს-მეთქი, იმწუთას მომძებნა, როგორ გაიგო, არ ვიცი.

– ნადირს მაგარი ყნოსვა აქვს. ჯიხვებმა რომ სუნი არ იკრან, მონადირე ყოველთვის ნიავის საპირისპირ მხრიდან ეპარება, – თქვა როსტომმა და ციკანს წაეპოტინა. ის სწრაფად გახტა განზე და ერთ წამში სახლის სახურავზე ავარდა.

– ჰეე, აღარ ხუმრობს, მართლა ჯიხვივით არა ხტის, ეს მამაძალლი, ესა, ჰააა! ბუნებას რაც გაუჩენია, ყველაფერი ლამაზია და მოხდენილი, ამას მშობლები თვალით არ უნახავს, თვისება კი სულ მათი აქვს, მიუცხვა კიდეც,

ხედავ შენა? – ღიმილით გაიკვირვა როსტომმა და სახლის სახურავზე წამოსაუპებულ ციკანს თითო დაუქნია და დაექადნა: – ჩამოხვალ და თუ ვერ დაგიჭერ, მაგასაც დაინახავ!

მგელაურიძებმა ისე შეიყვარეს ეს ვერცხლისწყალივით დაუდეგარი „შვილობილი“, რომ მთელი ოჯახის საზრუნავი გახდა.

– სად არის?!

– რა ჭამა?!?

– შორს არ წავიდეს!

ერთმანეთს წარამარა ეკითხებოდნენ და აფრთხილებდნენ.

მარიამის უმცროსი ვაჟი – ლონგო ხშირად ეტყოდა დედას:

– დედო, მე თუ მეფერებოდი ასე, როგორც ამ შენ ჯიხუნას ეფერები?

– ბიჭო, რით ვერ გაიგე, თუშეთში შვილის მოფერება და ისიც სხვასთან სირცხვილია. ნაფერები შვილი ქალაჩუნა გამოვაო, იციან თქმა და მართალიც არის. ამასავით პატარა რომ იყავი ჩუმ-ჩუმად შენც გეფერებოდი, როგორ არა! შენ არ გახსოვს და, აბა, მე რა ვენა!

– მოიცა! მოიცა! შენ რომ არ მეფერებოდი, ასეთი მაგარი ვაჟკაცი იმიტომ გამოვედი?

– გაიცინა ლონგომ.

– შენი ვაჟკაცობა ჯერ სოფელში არ თქმულა, ხალხ-ქვეყანას ჯერ არ უხსენებიხარ! აი, როცა სოფელი გახსენებს, მერე მეც დავიჯერებ, თუში კაცის კაცობა კი ცხვარში გამოჩენდება. სახლში დამჯდარ კაცს სახლში დაბერებული ქალი სჯობიაო, ხომ გაგიგონია?

– გამიგონია, გამიგონია, დედო, როგორ არ გამიგონია... – ამით მთავრდებოდა დედა-შვილის ხუმრობანარევი დიალოგი.

გადიოდა დრო. პატარა ჯიხვი წამოიზარდა და გალამაზდა. ჯვარბოსლიდან, ალისგორიდან, კოკლათიდან, ბიქიურთიდან და სხვა მეზობელ სოფლებიდან, ვისაც ცოცხალი ჯიხვი არ ენახა, მის სანახავად მოდიოდნენ. სტუმართავის ხანდახან სუფრაც გაიშლებოდა ხოლმე მგელაურიძების ოჯახში, პატარა ჯიხვის სადღეგრძელოც ბევრჯერ დალეულა დედაბუნებისა და სიცოცხლის გამჩენთან ერთად.

ერთ ზაფხულს მე და ლონგომ ერთად ვიმგზავრეთ ალვანიდან თუშეთისაკენ, მე ჯვარბოსელში მივდიოდი, ლონგო კი მშობლიურ სოფელ ვაკისძირში. რადგანაც ჯერ ვაკისძირში უნდა გაგვევლო, შემესვენა, მასთან შევსულიყავი, მისი მშობლები მენახა და მერე გამეგრძელებინა გზა ჯვარბოსლისაკენ.

სოფელს რომ მივუახლოვდით, მზე უკვე ჩადიოდა, მისი სხივები მხოლოდ მთის წვერებზე დარჩენილიყვნენ. ოქროსფრად ლაპლა-პებდნენ თოვლითა და ყინულით დაფარული





მთათა თავები.

ეზოში მარიამი დაგვიხვდა. შემოდითო, გვითხრა და მაშინვე შებრუნდა თვალებზე მანდილაფარებული. ჩვენ ჩავომქვეითდით.

— ლონგო, შვილო, წაგვივიდა, ბიჭო! — ველარ შეიკავა ტირილი მარიამმა. — სამი ღამეა სახლში არ არის, ღამებს თეთრად ვათენებ, მთვარეულივით სოფელში დავწანწალებ, იქნებ სადმე ვიპოვნო-მეთქი, მაგრამ არ ჩანს. საქმე-საც გულს ვეღარ ვუდებ...

ჩვენ ელდანაკრავებივით ადგილზე გავხ-ევდით.

— ვინ წავიდა, ვინ ალარ მოდის, ალარ იტყვი, დედო? გამაგებინე, მამაჩემი წავიდა?!?

— მამაშენი სათიბშია, სადაც არის მოვა. ჯიხვი წაგვივიდა სახლიდან, ჯიხვი. ალარ ჩანს, დაგვეკარგა. გვერდიდან არ მშორდებოდა და ასე უბრალოდ როგორ მიმატოვა. ამ ორნელინადნახევარში არც ერთი დღე არ დამიღამებია, რომ მას არ მოვფერებოდი... — კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა მარიამი, მაგრამ ლონგომ ალარ აცალა.

— კარგი, დედო, ნუ გადააყოლეთ თუშე-თი ემაგ ჯიხვს, წამგზავრი ხალხი ვართ, მოგვხედეთ...

— თქვენ როგორლა ხართ? — ახლალა მოგვიკითხა დარცხვენით მარიამმა, მაგრამ მაშინვე მაინც თავისი გააგრძელა: — ძალიან მიყვარდა ბედშავი, განა ცხოველსა ჰგავ-და, ბავშვსავით უმანკო და კრიალა თვალები ჰქონდა, რომ ჩავხედავდი, მის თვალებში ყველაფერი ჩანდა — ჩვენი სახლი, საცეცხლურა, კიბე და ეზო, თუ თავს მთებისკენ მიიბრუნებ-და, თოვლიანი მთები ჩანდა, მეც ვჩანდი მის თვალებში, მთელი ქვეყანა ჩანდა. ხაპრო, — შემომხედა მე და საიდუმლოსავით გამანდო, — ძალიან გამიმარხდა¹ მისი დაკარგვა, რაც მას ვეფერე, იმდენი არავის მოვფერებივარ, — ეს თქვა და თვალებიდან ჩამოგორებულ ცრემ-ლის მოსაწმენდად მანდილის ყური მოიმარჯვა მარიამმა.

ამ დროს კარებში როსტომმაც შემოაბი-ჯა. ფეხზე წამოვდექით და მივესალმეთ. როს-ტომი თავისებური სიდინჯით მოგვიახლოვდა, გაგვილიმა, ხელი ჩამოგვართვა, ძარის ამბები გამოგვითხა. გზის მშენებლობის საქმე აინ-ტერესებდა, როცა გაიგო, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით უახლოეს დროში თუშე-თის გზაზე მექანიზმებსა და მუშახელს გა-მოიყვანდნენ, ძალიან გაუხარდა. მაშ, გვემ-ველებაო, — თქვა როსტომმა, სამფეხა სკამი მოიმარჯვა და ჩვენს პირდაპირ დაბალ მაგი-დასთან ჩამოჯდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

დრო ვიხელეთ და ვკითხე:

— ძია როსტომ, თქვენის აზრით, ის ჯიხვი მართლა წავიდოდა? იქნებ მოკლა ვინმემ ან ძალებმა დაიჭირეს?!

— არა, ხაპრო, ეს ერთი კვირაა, სოფელში თოფი არ გავარდნილა... რა ვიცი, სად უნდა გადაკარგულიყო. ამ ბოლო დროს შევამჩნიე, ახლოს აღარავის ეკარებოდა, ზოგჯერ მარი-ამსაც კი გაურბოდა. რაც შეეხება ძალებს, ძალი ჯიხვს ვერ დაიჭერს და ვერც მიეპარება. ჯიხვს მგელიც კი ვერ იჭერს, თუ ის ავად-მყოფი ან ბებერი არ არის. ღამით სიპეპზე ეძინა, დღის უმეტეს დროსაც იქ ატარებდა. შემოვიარე სოფლის ახლომახლო ადგილები, ნანგრევები, ნაბოსლარები, ვერაფერი გერში ვნახე. ერთი გუმანი მაქვს, მგონი სისხლის დუღილის დრო ჰქონდა, შეიძლება მამრი მოი-სურვა, პატარა კი აღარ იყო, ორნელნახევრისა ხდებოდა. ცხოველებზე სიყვარულის უამი სა-ოცრად მოქმედებს. მდედრში მამრის სურვი-ლი იმდენად ძლიერია, ყველაფერს ავიწყებს, შეიძლება გაგიუდეს კიდეც, თუ სურვილი არ მოიკლა. მამრში ეს მოვლენა ასე ძლიერად არ ვლინდება. ასე დაუწესებია გამჩენ ბუნებას. დიდოს წათქვამი ხომ იცი: „მაღალ მთაზედა წადირი არ დადგება თუ ბალახი არ არის, სახ-ლის კერასთან ქალი არ დადგება, თუ კაცი არ არის“. რა მოხდა, რა უნდა გაიგოს კაც-მა? ამაზე ფიქრი აღარ ლირს, ამას ვეუბნები მარიამსაც, მაგრამ არც ერთ სიტყვას გულთან არ იკარებს, რატომ მიმატოვაო, თავს იკლავს. ქალები, ხომ იცი, ღალატს ძალიან მტკიცნეუ-ლად განიცდიან. — თქვა და ულვაშებში ჩაიცი-ნა როსტომმა.

მარიამმა წუხანდელი წარჩენი შემწვარი ხინკალი შემოიტანა. სანამ ცხელია, გადაიღეთ, ნუ გააცივებთ, — ხვეწნანარევად გვთავაზობ-და: სხვა დროს ძალიან მხიარულსა და თამამ მარიამს, დღეს არ გამოსდიოდა მასპინძლობა, სახეზე წალვლიანობა ეტყობოდა.

არაყმა თავისი გაიტანა — სტუმარიც და მასპინძლებიც ლაპარაკის ხასიათზე მოგვი-ყვანა. როსტომმა ბევრი ძველებური ამბავი გაიხსენა, საამურად ყვებოდა, ზოგს თავის თავგადასავლიდან, ზოგს სხვაზე გაგონილსა და წათქვამს.

დრო ისე შეუმჩნევლად გაპარულიყო, გა-რეთ რომ გამოვედით მთების სილუეტების გარდა თითქმის აღარაფერი ჩანდა. არ ვიცი რისგან, მაგრამ ორი დღის მგზავრობით გა-მოწვეული დაღლილობა საღლაც გამქრალი-ყო, გულში რატომდაც დიდი, გამოუცნობი სიხარული მქონდა ჩაღვრილი. აღვირი უნაგ-ირის ტახტზე ჩამოვკიდე. თვალები დავხუ-ჭე და თავი ცხენს მივანდე. ღამის წყვდიადი

¹ გამარხება — ძლიერი განცდა.

და სიმარტოვე რატომლაც დიდ სიამოვნებას მგვრიდა. ჩემს გარშემო სრული სიჩუმე იდგა და ამავე დროს თითქოს ყველაფერი საამურად ხმაურობდა. თუშეთში ვიყავი და მიხაროდა.

ზაფხული შემოპარულიყო. მთა-გორები, იალალები, ფერდობები და ჭალები მწვანით შემოსილიყვნენ, გაცოცხლებულიყვნენ. სამოთხის იერი დასდებოდა თუშეთს. სიშავე მხოლოდ ზვავებისაგან მკერდდაგლეჯილსა და დაკან-რულ კლდოვან ხევზუვთ ვერ მოეშორებინათ, რომლებიც სიმწვანის ფონზე შავი ხალებივით მოჩანდნენ.

სოფელში ჯერ საქმე არ იყო მოძალებული, როსტომი ცხვარს მწყემსავდა ჯვარბოსლის თავში. შინ ცხრა-ათ დღეში ერთხელ თუ ჩამოვიდოდა ოჯახის დასახედავად.

ერთ დილას მარიამს გარედან ფეხის ხმა შემოესმა, თითქოს მის კართან ვიღაცა დადიონდა.

კაცი ამ უთენია ცხვრიდან აქ არ მოვიდოდა. ნეტავ, ვინ უნდა იყოს, ფიქრობდა მარიამი. გამოსძახა კიდეც, რომელი ხარო, მაგრამ რაკი პასუხი არ მიიღო, ალბათ მომეჩვენაო, იფიქრა და გული დაიმშვიდა. მარიამს მაინც არ დაეძინა, წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და დურკით¹ ხელში ძროხების მოსაზველად გარეთ გავიდა. ჯერ კარიც არ ჰქონდა მიხურული, რომ სახლის სახურავიდან ახალგაზრდა ჯიხვი გადმოხტა, თან ორი ციკანი გადმოჰყვა მოშორებით რომ გაჩერდნენ და ცნობისმოყვარე თვალებით დაუწყეს თვალიერება იქაურობას.

მარიამს თავი სიზმარში ეგონა, სიხარულით თვალები გაბრწყინებოდა. ხელიდან დურკი გაუვარდა, დურკი დაღმართზე დაგორდა, საძროხის კარებს მიეჯახა და გაჩერდა.

– ღმერთო! შენი გამჩენის ჭირიმე, შენი! – ჩაიმუხლა მარიამმა და ჯიხვს კისერზე შემოეხვია, ეფერებოდა, კოცნიდა, ტიროდა. თვალებში ჩახედა და თავისი თავი დაინახა.

– არ დაგავინყდი, დედო? ჩემთან მოხვედი? მე კი მეგონა, ცოცხალი ალარ იყავი, და თუ ცოცხალი იყავი, ალარ გაგონდებოდი და არ მოდიოდი. ჩემო ჭკვიანთვალებიანო, ჩემო ლამაზო, ჩემო კარგო, შვილებიც მომიყვანე, ბერდედა ენაცვალოს მაგათ, – ნაწყვეტნაწყვეტ ამბობდა ქალი.

სოფელმა მალე შეიტყო ახალი ამბავი. ყველაზე ადრე მაინც ბავშვები მოცვიდნენ, ხალის დანახვაზე ჯიხვმა რაღაც სტვენის მსგავსად დაიფრუტუნა და თვალის დახამხამებაზე სახლის სახურავზე ავარდა, თან პჰევნენ ციკნებიც. საამური სანახავი იყო სახლის სახურავზე ამაყად გადმომდგარი ჯიხვი თავისი შვილებით.

¹ დურკი – გლუვი ხისგან გამოთლილი პატარა კასრი.



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ჯიხვის ჯალაბის გამოცხადება მარიამ-მა ღვთის მოვლენად, სასწაულად ჩათვალა. გალალა თუ არა ძროხები ბალახზე მაშინვე ხმიადებისა და კოტრების გამოცხობას შეუდგა.

– სოფელს უნდა დავუძახო, სალოცავაშიც სანთელი უნდა დავანთო. ერთს შუბლი თეთრი აქვს, უთუოდ „ნაწილიანი“ იქნება! ნეტავი როსტომი მალე მოვიდოდეს. არ იმჩნევდა, მაგრამ ისიც ნალვლობდა ამის დაკარგვას, მე ხომ ვატყობდი, – თავისთვის ჩურჩულებდა მარიამი.

როსტომი მხოლოდ მეოთხე დღეს მოვიდა ცხვრიდან. ეზოში შემოსულმა მაშინვე იკითხა, სად არიანო. ცხვარში მასაც გაეგო ჯიხვის დაბრუნების ამბავი.

– სიპებზე არიან, სახლის სახურავზე, ნახე, რა ლამაზებია! – სიამაყით უთხრა მარიამმა, თითქოს თვითონ მას მოეყვანოს ისინი საჯიხვეებიდან...

– უყურე შენა! არ დავიტყიბივართ, ხედავ შენა? – უკვე მერამდენედ იმეორებდა როსტომი.

საღამოს, როდესაც ბუხარს შემოუსხდნენ, როსტომმა თქვა:

– დედაკაცო, იმ აზრისა ვარ, რომ ეს ჯიხვები ისევ ჭიუხებს დავუბრუნოთ, მათი სამშობლო იქ არის, სულ ერთია, არ გაჩერდებიან, შეიძლება ხიფათსაც რამეს გადაეყარონ. ესენი





რომ კიდევ დაგვეცარგონ, გული გაგათავებს, მეც დარღის ჭია შემჭამს. ეგაც არ იყოს, ვინც სადაა გაჩენილი, იქაა მისი ადგილსამყოფელი. აბა, მითხარი, რატომ ვერ ძლებ კახეთში და სულ თუშეთს გაიძახი...

მარიამს ხმა არ გაუცია. როსტომსაც არაფერი უთქვამს. ქანდაკებებივით გარიბულიყვნენ ბუხრის შორიახლოს, ბუხარში მხოლოდ ცეცხლის ენა იყლაკნებოდა და ცოლ-ქმრის ჩრდილებს თეთრი მიწით შეთეთრებულ კედლებზე თავის ჭუაზე ათამაშებდა.

* * *

მძიმედ მიაპიჯებდა როსტომი ბილიკზე, მის წინ მარიამი მიდიოდა, უფრო წინ კი ყინჩად მოყელყელავე ჯიხვი მიფშვიოდა თავისი ნაშერით. გაიარეს წისქვილხევი, დიდებრათანა, ვერხოვანი, წარო. დაბლა დარჩა წოვათის გვერდჩამოშლილი ციხეკოშვები. მთელი გზა ისე გალიეს, არც როსტომს და არც მარიამს ხმა არ ამოულიათ. ბოლოს ერთ სერზე შეჩერდა როსტომი, ხელი მთებისკენ გაიშვირა და თქვა:

— მარიამ! აი, გალმა, დიდი გორი რომ ჩამოსდგამს, იმის ბოლოში ვიპოვე... — და, ვითომ მოიჩრდილა, თვალთან მიტანილი მარჯვენა ხელი წყალმოძალებულ თვალებზე მოისვა.

მარიამი ერთხელ კიდევ მოეხვია ყელზე თავის აღზრდილს, ერთხელ კიდევ დაინახა თავისი თავი მის თვალებში. მერე გულში ჩაიხუტა, დიდხანს ეფერა, თვალები და შუბლი დაუკოცნა.

— წადი! ვინ იცის, იქნებ დედასაც შეხვდე, ვაი, თუ ვეღარც გიცნოს! — ჩუმად უთხრა შუნს, მანდილის ყურით ცრემლები მოიწმინდა და ქუჩით დაფარულ შემაღლებულ ბორცვზე ჩამოჯდა.

თითქოს დამშვიდობებას ელოდებოდა, შუნი თავისი წვრილჯალაბით მთებისკენ დაიძრა, მიმავალმა რამდენჯერმე მოიბრუნა თავი. თითქოს შეჩერდა კიდეც, შემდეგ ნავარდ-ნავარდით გეზი მყინვარებისკენ აიღო. დედა-შვილები ნელ-ნელა დაპატარავდნენ და ბოლოს ქუჩითა და ჯანგაროთი დაფარულ კლდეთა შორის გაუჩინარდნენ.

მოწყენილი თვალებით გაჰყურებდა ცოლქმარი თოვლითა და ყინულით შემკულ მთათა მწვერვალებს, რომლებიც ზვიადად ისხდნენ მარადიული სისპეტაკის საუფლოში. ისინიც მგელაურიძეებივით დადუმებულიყვნენ. მხოლოდ ეგ იყო, რომ არყისა და ვერხვის ტყეებით შემოსილ ფერდობებს, მწვანით დაფარულ მთათა მდელოებს, ცხვირწამოჭვინულ შავ კლდეებს, ქვიშათა და თეთრი თოვლ-მყინვარებით შეზავებულ შეუცნობელ სილამაზეს ახალი სიცოცხლე ემატებოდა.

...მზე ჩადიოდა. ხევებში გაწოლილ მთათა უძრავ ჩრდილებს ორი პატარა მოძრავი ჩრდილიც შეერია და მათში შეიკარგა. სიბ-ნელემ შთანთქა ვაკისძირიც. ხალხი შებუდდა და სოფელიც მიწყნარდა. როცა ცოლქმარი კერას შემოუსხდა, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ როსტომმა ცოლს უთხრა:

— მარიამ! ეგ ჩემი თოფი უმარილო დუმით გაპოხე, რაიმე ნაჭრით კარგად შეკარი და ქორნილის დროინდელ ჩოხა-ახალუხთან ერთად კიდობანში შეინახე. და როცა მოვკვდები თან ჩამაყოლეთ, შვილებსაც დაუბარე ჩემი ნათქვამი: მე ამის შემდეგ თოფის ხელში ამღები აღარა ვარ, ნადირს თოფის ნიშანში ვეღარ ამოვილებ...

დილით ზურგზე გუდანაბადაკიდებული როსტომი ხელში კაპიანი ჯოხი რომ ეჭირა, ჯვარბოსლის თავში ჩვეული სიდინჯით ცხვრის ბინისაკენ მიაბიჯებდა.



მხატვარი ელზა თუშაბრამიშვილი



ანა მანშვილი

სამუშაო

ფავორინალობ წყოსისფერში
 და, უშენონით, გული მკვდარია,
 ვერ დაგივინებუ, — ამდენი წელი,
 თუმწა, ამ ქვეყნად, ბევრი ქალია;
 წვიმის წვეთები ეწერა მიწას,
 არა, ეს, ჩემი წრემლის ლვარია;
 ვერ მოვაწილე შენს სარკმელს თვალი,
 რაფეხნ მიყვარხარ, ისევ, ძალიან...

ანა მანშვილი

41

სამუშაო

მინდა ვუმღერო ჩემს
 საქართველოს
 ხატართველოს!..

მინდა ვუმღერო ჩემს საქართველოს,
 ჩინგურს გავება მინდა სიმებად.
 გულში მინთია ზღვა სიყვარული
 და თუ შევძელი, ღმერთმა ინება.

და თუ შევძელი, ღმერთმა ინება,
 მეც გავხდე ლირსი შენი ქებისა,
 მინდა, რომ ვიყო ლექსების წყარო,
 მეხოტბე შენი უკვდავებისა.

მინდა, რომ დავდნე შენს სიყვარულში,
 როგორც დნებიან თოვლის ფიფქები,
 შენა ხარ ჩემი დარდი და სევდა,
 ჩემი წუხილი, ჩემი ფიქრები.

ჩემო სამშობლოვ, შენა ხარ ჩემი
 თვალის სინათლე, და გულის ფეთქვა;
 მსურს შემოგნირო სიცოცხლე ჩემი
 კიდევ მრავალი ლექსები მეთქვას.

კიდევ მრავალი ლექსები მეთქვას,
 ლექსი ლამაზი, ლექსი ფრთიანი,
 რადგან სამშობლო უკვდავი არის,
 რჩმენაც, იმედიც, — ადამიანის...

რაფეხნ მიყვარხარ, ისევ,
 ძალიან...

წვიმის წვეთები ეცემა მიწას,
 არა, ეს, ჩემი ცრემლის ლვარია;
 ვერ მოვაცილე შენს სარკმელს თვალი,
 რადგან მიყვარხარ, ისევ, ძალიან.
 მაშინ, ვერ გითხარ — ჩემი სათქმელი,
 ვერ გაგიმხილე, — როგორ მიყვარდი,
 ხშირად ვათევდი ღამეებს თეთრად,
 შენც, თუ, გიყვარდი, ვერც კი გკითხავდი.
 ახლა კი, ახლა, რა ვარ უშენოდ? —
 სულ მარტოდმარტო დავრჩი, — ეული,
 ჩემი ოცნება, კვლავ, ჩემთან დარჩა,
 ვარ უშენობით გადარეული.
 დავბორიალობ წუთისოფერში
 და, უშენობით, გული მკვდარია,
 ვერ დაგივინებუ, — ამდენი წელი,
 თუმცა, ამ ქვეყნად, ბევრი ქალია;
 წვიმის წვეთები ეცემა მიწას,
 არა, ეს, ჩემი ცრემლის ლვარია;
 ვერ მოვაცილე შენს სარკმელს თვალი,
 რადგან მიყვარხარ, ისევ, ძალია...





რამ მომკლა?

რამ მომკლა? ცილისწამებამ,
დარღმა და სევდამ, თმენამა,
სიმართლისათვის – ბრძოლამ,
ბოროტი ხალხის ენამა.
რამ მომკლა? უმადურობამ,
გულის ტკივილმა, წყენამა,
დღედაღამ ჭირმა, ვარამმა,
დღედაღამ ცრემლის დენამა.
რამ მომკლა? მწარე სიკვდილმა,
დარღმის ხანჯალის დაკვრამა,
იმედის გაცრუებამა,
ხშირად სიკვდილის ნატვრამა.
რამ მომკლა? უიღბლობამა,
წუთისოფელმა, – ტიალმა,
მარტონობამა სულისამ,
ჩარხის უკულმა ტრიალმა.
ახლა სიბერემ დამჯაბნა,
გადამითეთრდა თმებია,
გაფრინდა – ახალგაზრდობა,
სადღაც წასულან წლებია.
მხოლოდ სიკვდილსდა მოველი,
მოსვლა რად დაიგვიანა?
რადგან, ხან, ყოფნა ბნელია,
და აღარ ბრწყინავს მზიანად.

მე, მართლაც, მიყვარს

ჩემი იყალოო!

მე, მართლაც, მიყვარს ჩემი იყალოო!
სადაც ცხოვრობდნენ მამა-პაპანი,
აღმზრდელი მრავალ მწერლის, პოეტის
და დარწეული მუზის აკვანი!
იყალთოს თავში დგას მონასტერი,
მასაც დიდების სხივები მოსავს;
აქ რომ სწავლობდა ჭაბუკი შოთა,
გულში იკრავდა დიდებულ მგოსანს.
მას შემდეგ ბევრი გავიდა ხანი;
წლები კი, წლები, სწრაფად მიჰქრიან,
ვემბორუბი მონასტრის კედლებს,
ჩემი იყალთოს მინას, – მადლიანს.
იყალთო, ჩემი დედულ-მამული,
ჩემს გულში, მუდამ, მზედ რომ ანთია;
მისთვის ვარსებობ, ვცხოვრობ და ვხვდები,
ყოველ დილას და ყოველ განთიადს.
მე, მართლაც, მიყვარს ჩემი იყალთო,
სადაც ცხოვრობდნენ მამა-პაპანი;
აღმზრდელი მრავალ მწერლის, პოეტის
და დარწეული მუზის აკვანი.



გორენა ძამუკაშვილი

ს
ლ
ი
წ
ლ
ი
წ
ლ
ი
წ
ლ
ი
წ
ლ
ი

მიყვარს სოფელი, კანტახეთქილი შავი ხართუა და
გოგონაზლები,
ხეზე ძვრომიაში და სიცულქეში, გაპარული, შავშეობის
ნლები.

მიყვარს სოფელი, ფარმაგი დეფის ხელების ხითონ,
მიზი ლიმილი, სულის რომ მივსებს და, გულის რომ
მიღებომს...

შორენა ძამუკაშვილი

43



ოლორი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი

შორენა ძამუკაშვილი დაიბადა 1977 წლის 26 მაისს. დაამთავრა თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. რუსპირის საჯარო სკოლა. 1999 წელს დაამთავრა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტი. 2002 -2006 წლებში იყო სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2008 წელს მიენიჭა განათლების მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ამჟამად მუშაობს თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ფელა

ვერ შევანელე შენი სიბერე და... წლები გათოვს თმებზე,
ცხოვრება ჯაფით შემოილიე, ახალგაზრდობის გზებზე.

სევდამ აწვიმა მაგ, ლამაზ თვალებს, შვილებს არ უჩენ დარდებს,
ეულად მყოფი, მამას გარეშე, ზედ იხვევ ფიქრთა ბარდებს.

შენი ხელების ღვთიური სითბო, ჩვენზე ამაგით ბერდა,
არ დაინალვლო, ვერას დაგაკლებს – თეთრი სიბერის სევდა.

ოჯახის ფუძედ, გუშაგად – კარის, მეგულებოდე – ბჭედა,
მარად ეფინოს შენი ლიმილი, ამ, ჩვენს სახლის ბანს, დედა.

მოუფოფინბ მკრთალ ნათითურებს და ნაფეხურებს ბალში,
მუდამ მესმოდეს ტკბილი სიტყვები: მოხვედი შვილო სახლში?

სადაც ვიქენები, – ყოველთვის, ყველგან, ბურჯად გიგულვო, დედა,
დიდხანს იცოცხლე, რომ მახარებდეს შენთან შეხვედრის ელდა...

მინდა დაგიდგე მხარში საყრდენად და... გაგიფანტო წლები,
ბევრი გეფერო და მსურს წავშალო, შენი სიბერის კვლები...

მიყვარს სოფელი...

მიყვარს სოფელი, ჩემი ფესვები და ჩემი კარი, –
ჩემი ბავშვობის საუფლო და ლამაზი დარი.

მიყვარს სოფელი, ჭადრის ჩერიში, შეთაკლული უძილო მთვარე,
კრიალა ზეცა, ხმა მეურმის, ფიქრი მისი ტკბილი და მწარე.

მიყვარს სოფელი, შრომის მადლით ავსებული, მხცოვანი, მზე და...
გოდრის კიდეზე მოფართხალე, დასაწური, ოქროსფერი მტევნების სევდა...

მიყვარს სოფელი, ბერი ვაზი, თავანკარა ღვინის – მარანი,
და... ჭერის ძელზე – ჩამობმული, მამაჩემის ნათითური, ძველი ფარანი.

მიყვარს სოფელი და... ქვევრებში მოჩუხჩუხე – თეთრი მაჭარი,
და კახურ ბანზე, ბიძაჩემის, ხავერდის ხმებით, დანამდერი – ოდა „ზამთარი“.

ოლორი №1, 2021





მიყვარს სოფელი, ბებიას ხელით, მოქსოვილი ჭრელი ფარდაგი,
და, შუა ცეცხლზე, მოჩუხჩუხე – ყურძნის ბადაგი.

მიყვარს სოფელი, კანდახეთქილი შავი ხართუთა და გოგრაბლები,
ხეზე ძვრომაში და სიცელქეში, გაპარული, ბავშვობის წლები.

მიყვარს სოფელი, ჭარმაგი დედის ხელების სითბო,
მისი ღიმილი, სულს რომ მივსებს და, გულს რომ მიტკბობს...

მიყვარს სოფელი, ტრადიცია, ადათ-წესი და მისი ეგო,
დაბადებიდან, საჩუქრად რომ უფლისგან მერგო...

თეორი იასამანი

გახსოვს? როგორ მიყვარდა – თეთრი იასამანი...
მკრთალად რომ ანათებდა ქუჩის ძველი ფარანი,
იასამნებს რომ მიკრეფი და მიბნევდი კართან,
ლამე როცა ჩურჩულებდა – მოთამაშე ქართან.

გახსოვს ნაზ და თეთრ ყვავილებს, რომ მანნავდი თმაში?..
მერე ლოცვად ამედევნე – ფიქრშიც, გულისთქმაშიც...
გახსოვს სახლის დარაბა რომ მომიჩითე თეთრად
და რამდენი – ვიცინეთ და... ვიხალისეთ ერთად.

რომ დავრბოდით: მინდორ-მინდორ, ყვავილების ზღვაში;
ჩემს კაბაზე მეფრქვეოდა სურნელება – ქარში.

გახსოვს? აპრილს, რომ ვეთხოვეთ – საპატარძლო კაბა,
გვირგვინი კი – იასამნის, მამშვენებდა, აბა?..
ყვავილების სილამაზე იღვრებოდა თმიდან,
ზედ, მზის სხივი თამაშობდა, – ანარეკლი – ციდან...

ახლა როცა ყვავილები დაამშვენებს ლარნაკს,
უნებურად, გამახსენებს – იმ დღეების – არაკს...

ჟურნალი

სალამოს ბინდი აკაკუნებს მიმწუხრის კარზე,
ალაზნის ბოლოს განოლილა მთვლემარე ნისლი,
ზეცა დაუკრავს, ალბათ, ისევ, ძველისძველ თარზე
და ბალში ვარდებს დამისველებს ზაფხულის ჟინულლი...

ღრუბლის ჩეროში ჩაეძინა უძილო მთვარეს,
შემაღლებულზე მისი შუქიც აღარ ფენს არეს.

დახეთქილ მინას ავარდება – ორთქლი, – მტვრიანი,
ღია ჭრილობებს ამოუვსებს წვიმა, – ცვრიანი...

წვეთები ქუჩად დაეცემა ძველ ფანჯრის რაფას,
და... დამისველებს – ჩემი სულის, უნაჭრო კაბას.

ამინდს აჰყვება, აირევა ფიქრთა ლაშქარი,
მელანქოლიას მომიგზავნის – წვიმა აშარი.

მერე ღამესთან, სევდიანად დამეძინება,
და... ეს ავდარიც, ალბათ, ლმერთმა ასე ინება...

სიზმარში მაინც, მომშორდება წვიმის ღრუბელი
ვერ დამეწევა, მივქრი, ვითარ ცხენი, – უბელო.

.....
დილის მზის სხივი, რომ გააღებს, სამყაროს კარებს
ამაფერადებს და თაყვანს ვცემ – სიცოცხლის მარებს.



ზაირა მინდელი

საკუთრივი სახელი

სოლომინა, თითქმის, ყველა მგზავრთან ასწრებს საკუთრივი წილის გაუნიბას. ფიჭი სიამოვნებითა და სიამისი ჰყვება თავისი ძალის შესახებ, რომ წარსულში ფიჭი სპორტული მიღწეული პერსონა, რომ უცც ორმოწამორი წლისა და როგორ შეაგვიანდა დაოჭახება, მაგრამ მგზავრებს იმწამესვე ამშვიდების, რომ ის უცც შესავარებულია. აქმდება დაოჭახდებოდა, მაგრამ გარიგებით წოლს არ მოიყვანს.

ზაირა მინდელი

45



სოლომანა

ასეთი დიდთოვლობა, კარგა ხანია, აღარ ახსოვთ ამ პატარა ქალაქის მცხოვრებლებს.

ისე ლამაზად, გადაუდებლად, უდარდელად, დინჯად თოვს, რომ ეტყობა დიდხანს არ გმოიდარებს. სასიამოვნოა ქუჩაში სიარული. დიდმა თოვლმა ბევრი პრობლემები შეუქმნა ადამიანებს, დაზიანდა ელექტროხაზები. უტრანსპორტობის გამო ხალხს უჭირს სამსახურში მისვლა და უკან დაბრუნება, მაგრამ ქუჩაში გამოსულ ადამიანებს თავისებურად ბედნიერი სახეები აქვთ – წუთიერად დავინებდიათ გასაჭირი, უხარიათ და-თოვლილი, თეთრი სუფრასავით გადაფარებული ქალაქის ყურება.

გაბრწყინებული სახითა და საკუთარი ავტომანქანით ქუჩებში გამოსულა თელავის კოლორიტადცეული, ქალაქზე უზომოდ შესყიმებული „შტანგისტი“ სოლომანა, რომელსაც თავისი ბადალი მძლოლი არავინ ჰგონია. მგზავრების ნაკლებობასაც არ უჩივის, რადგან, ქალაქში, ძალიან ცოტა ტრანსპორტი მოძრაობს. ჩვენც, მე და ჩემს თანამშრომლებს, გვერგო მისი ავტომანქანით მგზავრობის ბნედნიერება.

სოლომანა, თითქმის, ყველა მგზავრთან ასწრებს საკუთარი ბიოგრაფიის გაცნობას. დიდი სიამოვნებითა და სიამაყით ჰყვება თავისი ძალის შესახებ, რომ წარსულში დიდი სპორტული მიღწევები პერსონა, რომ უცც ორმოცდაორი წლისაა და ცოტა შეაგვიანდა დაოჯახება, მაგრამ მგზავრებს იმწამსვე ამშვიდებს, რომ ის უცც შესავარებულია. აქამდეც დაოჯახდებოდა, მაგრამ გარიგებით ცოლს არ მოიყვანს.

უამრავი რამის მოყოლას ასწრებს და არც ის ავინება, რომ საათების შესანიშნავი ხელოსანია. ავტომანქანა, რომლითაც „ტაქსაობს“ ეკუთვნოდა ყველასთვის საყვარელ კომიკს მსახიობს



მხატვარი სოფიო ჭელიძე

იპოლიტე ხვიჩიას. ნათქვამი რომ დამაჯერებელი გახადოს მგზავრებს უჩივენებს, ძველი ფორმის, ავტომანქანის ტექნიკურ პასპორტს.

გაუჩერებლად ჰყვება ახალ-ახალ ამბებს და ისეთ დიდ ორმობი აგდებს მანქანას, რომ რამდენიმე ხანს, მგზავრებს ამქვეყნად ყოფნას გვავინებს. გონზე მოსულებმა სიცილი ვერ შევიყავთ; ყველას მზრუნველად შეგვეკითხა ხომ არაფერი იტკინეთო?..

დაქრის სოლომანა თავისი საკმაოდ მოძველებული მანქანით და ყველას ხალისით ემსახურება. ზოგი მათგანი გაკვირვებული მისჩერებია და ფიქრობს: ნეტავი, ამ ბიჭს, ყველაფერი რიგზე თუ აქვსო.

მე კი, რომელმაც დღეს გავიცანი, ასე მვონია, რომ... ჩვენი სოლომანა ის ადამიანია ბავშვური გულუბრყვილობა დღემდე ალალად რომ აქვს შემორჩენილი.

ოქტომბერი, №1, 2021





მოლოდინი

ღრმად მოხუცი ვანო პაპა და მართა ბებო
შვილს დილიდან ელიან.

დიდ მზადებაში არიან. მათ ერთადერთ ვაჟს
თბილისში დაუდვია ბინა და იშვიათად ჩამოდის
სოფელში.

ვანო პაპა ჯოხის ბჯენით ძლივს ჩამოდის
კიბეზე და ბოლო საფეხურზე ისვენებს.

მართა ბებო უფრო ყოჩალობს. მარნიდან
წინსაფარში ჩაყრილი სიმინდის მარცვლები გა-
მოაქვს ქათმების დასაპურებლად.

— დედაკაცო, წესიერად მითხარ, ბიჭი ჩამო-
ვა თუ არა დღესა?

— ჩამოვა კაცო, აბა, არ ჩამოვა? — წყრო-
მით შეხედავს მართა ბებო ქმარს, — აგერ, უკვე,
მერამდენედ მეკითხები ერთსა და იმავეს. მიტუ-
ას ბიჭს უნახავს და უთქვამს შენზე — ავად რომ
იყავი. მანვე ჩამომიტანა ამბავი, რომ დღეს ჩამ-
ოვა, — ამშვიდებს მართა ბებო ქმარს.

— მე, იმ, ნახევრად დაწნულ, გოდორს მივხე-
დავ, — ხალისობს შვილის მოლოდინში გახარებუ-
ლი ვანო პაპა.

— არ გაცივდე, კაცო, მოისხი რამე მხრებზე.
— ვერა ხედავ? დედაკაცო, როგორი მზეა, რა
შემაციებს?..

მართა ბებოც, შვილის მოლოდინში, ახალ-
გაზრდასავით ტრიალებს. რამდენი ხანია აღარ
უნახავს შვილი, რაც შემოდგომაზე მოსავალი
მოინიეს, მას შემდეგ აღარ ყოფილა. ადრე სიზმ-
რად რომ ნახავდა, იმ წუთას გარბოდა სანახა-
ვად, ხომ არაფერი უჭირსო. ახლა კი, ეზოში,
წესიერად სიარულიც აღარ შეუძლია.

ვანო პაპასაც მუხლი აღარ ემორჩილება, მა-
გრამ მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა, — მშ-
რომელი კაცი იყო და უსაქმოდ ვერ ჩერდებოდა.

მართა ბებომ, ხონჩით, სადილი გამოიტანა
და ეზოში სადილობას შეუდგნენ.

ვანო პაპა ხელით იჩრდილავს და მზეს გა-
ჟყურებს. შუადლე ნამოვიდა და ბიჭი არა ჩანს.

— რა იყო, კაცო, შენ რაღა მოგივიდა? ჯერ
ხომ ახლა გათენდა?..

უცებ გზაზე მიმავალი სანდრო დაინახეს, —
მხარზე თოხეგადებული.

— სანდრო, შვილო, მოდი, დაისვენე, სადილ-
ზე დაგვენვი!

— მადლობთ, მადლობთ, მინდორში მიმეჩარება!

— მართა, კოკურით წყალი მომიტანე, ვენახ-
ში მინდა შევიდე. ბიჭი თუ ჩამოვიდეს, მაშინვე
დამიძახე.

— რას ამბობ, ვანო, ვენახში როგორ შეგიშ-
ვებ, ძლივს დგახარ ფეხზე... თანაც, ახალი ნაა-
ვადმყოფარი, გაცივდები.

— შენსას მაინც არ იშლი დედაკაცო. გაზაფ-
ხულია, ჩემმა ძველბაც იგრძნო სითბო, რა
შემაციებს? გამოიტანე მეთქი! გამოიტანე! —
ჯიუტობს ვანო პაპა.

მართა ბებო მარანში ბუტბუტით შეტრიალ-
და.

ვანო პაპამ თოხის მხარზე გადება სცადა,
თან ცოლისკენ გაიხედა... აბა, ახლა შემომხედე,
შემიძლია თუ არაო. გაუძნელდა, ძველებურად,
მოხერხებულად ველარ მოიგდო თოხი მხარზე,
თავისი ახალგაზრდობა წარმოუდგა და ნელი
ნაპიჯით, თოხზე დაყრდნობით, სახლზე მიბმულ
ვენახში შევიდა.

მართა ბებო ოთახიდან გამოდის, წყლით
სავსე დოქს იღებს და თვითონაც ვენახში შედის.

ვანო პაპას ვენახი ღვიძლი შვილივით უყ-
ვარს, — სათითაო ვაზს ეალერსება. კვლავ, მზეს
გაჟყურებს, ბიჭზე ფიქრობს. შვილთაშვილებიც როგორ
შემიძლია მოენატრა... ორლო-
ბიდან, მანქანის ხმა შემოესმა და გზისკენ დაი-
წყო ყურება.

— ჩქარა, დედაკაცო, გაიქეცი, ბიჭი იქნება.
უთხარი, რომ მეც ახლავე გამოვალ.

— ჩევენი კი არა, სანდროს ბიჭია.

...მზე კარგა ხნის ჩასული იყო... დღეს უკვე
ბინდი ეპარებოდა. ვანო პაპა ეზოს ღია კართან
მიდის დასაკეტად. თან, გზისკენ იყურება, სად
არის ბიჭი აქამდის, გზად მომავალს ცუდი ხომ
არაფერი შეემთხვაო.


მართა ბებო კიბის საფეხურზე ჩამომჯდარა
და ისიც იგივეს ფიქრობს.

კარგა ხანს ისხდნენ ასე ჩუმად.

— წამოდი! ვანო, წამოდი!..

ლურჯად მოკრიალებულ ცაზე ვარსკვლავე-
ბიც გამოჩნდა.

ვანო პაპა და მართა ბებო მუხლმოკვე-
თილებივით ადიან კიბეზე...



ზაალ პოტკოველი

თავისი სამშობლოს, თავისი ხალხის შემანევარი უნდა იყოს, რითაც, როგორც და რა ზომითაც შეუძლია, რაღა თქმა უნდა, თავისი ნიჭის, ცოდნისა და უნარის კვალობაზე: თანაც კარგია, ეყოს შემომქმედ კაცს გონიერება, პატიოსნება და პირუთვნელობა საკუთარ შესაძლებლობათა სწორად შეფასებაში, რომ ის თავისი ნიჭი, ცოდნა და უნარი სწორედ იმ სარბიელზე გამოიყენოს, სადაც უფრო უპრიანი იქნება მისთვის და მისი ქვეყნისათვის“.

შეიძლება თამამად, დაბეჯითებით, სრული პასუხისმგებლობით ითქვას, რომ ამ სტრიქონების ავტორმა ზუსტად განსაზღვრა თავისი ლიტერატურული პოტენციალი, შესაძლებლობანი და თავის საესავ სამშობლოს, მშობლიურ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას იმ სფეროში, იმ უანრში ემსახურა, სადაც ყველაზე უფრო საჭირო იყო, სადაც ყველაზე უფრო ხელენიფებოდა თავისი მწერლური ნიჭიერების, დიახაც რომ ფეიერვერკული ნიჭიერების გამოვლენა.

ზეზვა მედულაშვილი.

ოქროს ასოებით რომ ჩანერა თავისი გვარ-სახელი ქართული მთარგმნელობითი სკოლის მატიანეში, როგორც მისმა ერთ-ერთმა მშვენებამ და სიამაყემ.

მერწმუნეთ, მსგავსი დამკვიდრება ქართულ მთარგმნელობით პანთეონში, რომელიც ფსალმუნების სულისშემძვრელი თარგმანების სურნელებითა გაუდენოლი, რომელიც დიდი ათონელი შერქნის ნათელი ადგას, რთულზე რთული ამოცანაა, თითქმის შეუძლებელი, მაგრამ ზეზვა მედულაშვილმა ეს შეძლო, შეძლო იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ლვთიური ნიჭით იყო მადლმოსილი, იმიტომაც, რომ ქართული ენის ნიაღში იდგა და იქიდან ამოათავთავებდა ხოლმე ისეთ მარგალიტებს, ისე მოხდენილად მიმოხრიდა მის უდიდებულესობა ქართულ სიტყვას, გეგონებოდათ, მათთან ერთად ამოიზარდაო საუკუნეების ულრანებიდან. კიდევ იმიტომაც შეძლო, რომ თითქმის ძირისძირობამდე იცნობდა იმ ენებ-საც, საიდანაც თარგმნიდა — რუდაქისა და ომარ ხაიამს, საადისა და ჰაფეზს, ნასიმისა თუ ფუზულის, ვაგიფისა თუ სამედ ვურლუნს, საიათოვასა თუ ავეტიკ ისაკიანს, ოვანეს თუმანიანსა თუ ვაპან ტერიანს, ალიშერ ნავოისა თუ ელიშე ჩარენცის, რასულ გამზათოვესა თუ კოსტა ხეთაგუროვს, თარგმნიდა გატაცებით, გზნებით, დაგემოვნებით. მთელი არსებით გადაეშვებოდა ხოლმე ამ პოეტთა ენობრივ სტიქიაში და ბეჭნიერი იყო, როცა მისი შერკინება წარმატებით

ზაალ მედულაშვილი



ზეზვა მედულაშვილი





დასრულდებოდა ხოლმე, აკი თავადაც წერდა მხატვრული თარგმანისა და მთარგმნელის მისიაზე:

„...ლიტერატურა ხომ დიდი სილამაზე და სიკეთეა. ყოველი ერიც ხომ თავისი ლიტერატურის, თავისი ენის სახით საკუთარ სიკეთეს ეფოფინება, მაგრამ განა ცუდია სხვის სიკეთეს შენი შეაგებო, შენსას — სხვისი, როგორც ირემბა ირემს ბალახი გაუწოდა? ცუდი კი არა, კარგია, ძალიანაც კარგი. აი, ამისთვის ვცდილობ, შეძლებისდაგვარად. ჩემი სარგებელიც ეს არის, ხოლო თუ ჩემთა სიტყვამ, ჩემი თარგმნის ერთმა პწკარმაც კი ვინმეს სიხარული ან ტკივილი მოჰვარა, საერთოდ, სიკეთეს აზიარა, მაშინ ჩემი სარგებელიც იქნება და მისიც. ამ ორმხრივ სიხარულს კი ქვეყნად არაფერი შეედრება, რადგან კაცი ბედნიერი მაშინ არის, როცა სიხარული გაზიარებულია“.

ასე ალალად, გულწრფელად გამოხატა ზეზვა მედულაშვილმა თავისი დამოკიდებულება მხატვრული თარგმანის დანიშნულებაზე და დარწმუნებული ვარ, სწორად ასეთი პოზიციის გამო არაერთი სიხარული და სიყვარული წვევია, გული გაუნათებია და დაუკინებია მისთვის ის ცხვრებისეული შეჭირვებანი, მის არსებობას რომ დაედარა ათწლეულების განმავლობაში.

უფრო მეტიც. თითოეული ზეზვასეული თარგმანი თავად ზეზვას ამაღლებდა, ზრდიდა მის თვალსაწინერს, ჩამოქნიდა და ახალი ფერადებით ააელვარებდა ხოლმე მის შემოქმედებით პოტენციალს, არსენალს და ახალი, დაუცხრომელი ძიებებისა და გამარჯვებებისაკენ ამზადებდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, თვალი შეავლეთ ომარ ხაიამის ამ სტრიქონებს:

ნამოდექ, ტურფავ, ტანი ჩვენთვის მოილერნამე, თუნდ ერთი წამით, ყოფა კელავაც გაგვიერთნამე,
მოგვართვი ღვინო, ჩვენც გვასვი და თვითაც იგემე,
ჩვენივ თიხისგან სანამ დოქად ჩამოგვერნავენ.

მართლაც რა ბრნყინვალედ, რა დიდოსტატურად ჩამოძერნა და ჩამოქნა ზეზვა მედულაშვილმა მსოფლიო პოეზიის კაშკაშა ვარსკვლავის სტრიქონები. ამ შემთხვევაში, მარტო ის კი არ გვახსენდება, რომ ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს, არამედ ამ ამაოებასთან შერკინების სურვილიც გვიჩნდება და, სულო ცოდვილო, შეიძლება უნებლიერ მკრეხელურმა აზრმაც კი დაგვაფიქროს იმაზე, რომ ნუთუ დედანშიც ასე გენიალურად უღერს ეს რობაია.

ერთადერთ მაგალითს კიდევ მოგიყვანთ და ამით დავასრულებ, თორემ...

ნახეთ როგორ უღერს სპარსული პოეზიის კიდევ ერთი გიგანტიც, XIII საუკუნეში ვეება ვულკანურ მთასავით რომ ამოიზარდა. საადიზე მოგახსენებთ, ბატონებთ.

გულო უწყოდე მეგობარი სამი ჯურისა: ერთი სულისა, ერთი — ენის, ერთი — პურისა;

პურის მეგობარს პურმარილით ეცი პატივი, ენისას — ენით გაუქარვე დარდი გულისა, ხოლო მიაგე სული შენი — სულის სანაცვლოდ,

თუკი ოდესმე მეგობარი ჰპოვო სულისა.

ის, რაც ამ ლექსშია ნათქვამი, კაცების, ოღონდ უპირობოდ ნაღლი კაცების რაინდულ კოდექსს წარმოადგენს. აკი ზეზვაც ამ კოდექსს იცავდა მთელი თავისი უმშვენიერესი სიცოცხლის განმავლობაში (რა თქმა უნდა, რუსთველის ავთანდილისეულ შეგონებებთან ერთად...). რაც საადის ანუხებდა ამ შვიდი უგრძესი საუკუნის წინ, ანუხებდა ზეზვასაც თუნდაც იმიტომ, როგორც საადი ექებდა ამაოდ სულის მეგობარს, ისე ზეზვასაც ამ ბავშვივით სუფთა და უწრფელესი სულის პატრონს უჭირდა მილეთის ხალხში ისეთი პიროვნების გამორჩევა, რომლისთვისაც არა „მე“ იქნებოდა მთავარი, არამედ — „ჩვენ“.

ასეთი თარგმანებითაა სავსე ზეზვასეული ჯადოქრული კიდობანი, რომელიც ჯერ კიდევ მოელის მისი ცხრაკლიტულების ამხსნელსა და ჯეროვნად დამგემოვნებელს. ერთი კია, ამ თარგმანების გაცნობის შემდეგ, არ შეიძლება არ იფიქრო, რომ ზეზვა მედულაშვილი — მთარგმნელი, ამავე დროს, მეტოქეც კი იყო იმ დიდოსტატების, ვისაც თარგმნიდა. თავადაც აღიარებდა „...თარგმანი შვილივით არის. ზოგს თავისი თავი მოსწონს თარგმანში... რაკი პატიოსანი მთარგმნელი ვარ, ამას ვალიარებ და არა მრცხვენია... უნდა შეეჯიბრო, მთარგმნელი არის პოეტის — დედნის ავტორის მეტოქე, იგივე „ქოროლლი“ ისეთი სიყვარულითა მაქვს გაკეთებული, — პირდაპირ ვმონანილეობდი...“

ათასი რამ ჩამოვთვალეთ, თუ რამ განაპირობა ზეზვა მედულაშვილის ბრნყინვალე, პირველხარისხოვან მთარგმნელად ჩამოყალიბება, ათასი რამ და მთავარი კი ჯერ არ გვითქვამს.

მთავარი კი ის გახლავთ, ბატონებო რომ თავად იყო პოეტი, ჭეშმარიტი პოეტი, ქართული პოეზის ქვიტკირით ჩადულაბებული პოეტი, რომლის სულ რამდენიმე შემორჩენილი ლექსი მისი ნიჭიერების ტვიფარითაა დალდასმული. ამ ლექსების ლირიკულ გმირს კი რაღაც ჯადოსნური ანდამატით ეწეოდა თავისკენ ბალლობის მადლით ნათელმოსილი პატარა ქოხი, მისი



ოცნების თავშესაფარი, მის დაღლილ სულში ზღაპარივით რომ ამოიმართებოდა ხოლმე.

ამოიტუსნენ ძველი ვწებანი,
სული მხოლოდდა სევდით მევსება
და შორეული მოლანდებანი
დარიალებენ ჩემში ლექსებად.

მშობელ ქვეყანას შესციცინებდა, ნაბურ-ბურალ გულში ჩაფესვილს, ისე ღრმად და ღონივრად ჩაფესვილს, რომ მუდამ სტკიოდა და აღონებდა მისი სამიათასწლოვანი იარები. ამირანს ეძახდა, საქართველოს დასახსნელად ეძახდა, თან ამუნათებდა კიდეც, სახელის შოვნაა ძნელი, დაკარგვა კი ადვილიო. არც საკუთარ გულს ასვენებდა, სამშობლოს ყური მიუგდე, ფეხქვეშ არ დაგიჭაობდესო...

სიყმანვილის მეტრფე იყო, როგორ ელაც-იცებოდა შორიდან, ყველაფრისათვის მზად იყო, ოღონდ მასთან მიახლების საშუალება მისცემოდა:

ოღონდაც, ერთხელ ის სიყმანვილე კვლავ ალსდგეს ჩემში ზათქით ძველითა და გადმოიფრქვეს სული ნაწვიმი, ვითარცა ლვინო საწნახელიდან.

თანაგრძნობისა და თანადგომის დიდზე დიდი ნიჭი ჰქონდა. ისიც კი შეეძლო, შეყვარებულისგან ნაღალატევ მეგობარ ქალბატონისთვის ჭრილობაზე სალბუნივით დაეფინა ვარსკვლავები და დაეიმედებინა, რომ გაზაფხულს, ისევ აყვავდებოდა, ისევ გაჩახახდებოდა მისი გული — უმშვენიერეს ოცნებათა საუნჯე...

იცოდა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ დღეები აჯილდებივით ქრიან და ვერარა ქამანდი ვერ აქამანდებს მათ გიურ სრბოლას. იცოდა, რომ ერთხელაც ბოლომდე დაიღვენთებოდა მისი გული, რომ ახლოვდებოდა დაისის მწუხრი, მაგრამ არ იმჩნევდა და მისი შემოდგომის მიმწუხრი მაინც აპრილების სისავსითა და ვნებებით იყო გაპოხილი. და თუ თვალს მაინც შეავლებდა ზეციურ თავანს, ნუგეშად ის ჰქონდა, რომ

იქ სამოთხის ჩიორებს
დაგვაპურებს უფალი.

როგორ შეიძლება ზეზვაზე საუბარი ისე, რომ მისი იგავმიუწვდენი ზეზვაურები არ ვახსენოთ, ლამის პოეზიის ცალკე უანრად რომ ჩამყალიბდა.



ნომადი ბართაია, ზაალ ბოტკოველი, ზეზვა მედულაშვილი





ზეზვა მედულაშვილის ფეიერვერკული სხა-არტი აზროვნება ასევე საოცარი, ელვისებური სისხარტით ჩამოიქნებოდა ხოლმე კაფიებად თუ ფუნაგორიებად და მხოლოდ სინათლედ, სითბოდ, სიყვარულად ეღვრებოდა მის მეგობრებსა და ახლობლებს. ნახეთ, დააგემოვნეთ და მერე ალიარეთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი რომ გამართულიყო ბლიც-კაფიების შეთხვაში, ზეზვა უპირობო ლიდერი იქნებოდა. აი რა დაუწერა პელა შალვაშვილს:

შენი ჭირიმე, ბელაო,
რო მოგვითარგმნე „შაპ-ნამე“,
ქართველ მეითხველთა თვალები
ცრემლის ცვარით რომ შაპნამე.

რენე კალანდიას, აცხონოს ღმერთმა, ასეთი სტრიქონები უძლვნა:

მაშინ როდესაც რენე სვამის,
ერხევა რენეს რენესანსა.

ერთმანეთი ვერ უცვნიათ
რენესანსა და რენესა.

არც საკუთარ თავს დააკლო. 20 დეკემბერს დაბადებულს, 19-ში ბრეჟნევი ჰყავდა ოუბილარად, 21-ში კი — სტალინი:

ცალ მხარესა მყავს დურაკი,
მეორე მხარეს — გენია,
ოღონდ, მე რომელს ვეკუთვნი,
ეგ ველარ დამიდგენია.

ამის დადგენა თქვენთვის მომინდვია, ბატონებო, რაც, არა მგონია, ძალზე გაგიჭირდეთ.

კითხულობ ზეზვა მედულაშვილის ლექსებს და გრძნობ, როგორ ძალდაუტანებლად ივსება შენი სული ფერადოვანი სევდით. ამ სევდას კი იმის შეგრძნება იწვევს, თუ რა მშვენიერი პოეტი ეყოლებოდა ქართულ მწერლობას, ზეზვას მთარგმნელობისათვის რომ არ მოეკიდა ხელი.

ის კი არა, ჩინებული მკვლევარი იქნებოდა, რამდენი შრომა შეალია საიათნოვას შემოქმედების კვლევას, მოიარა იმდროინდელი ლენინგრადის, ბაქოს, ერევნის ხელნაწერთა ინსტიტუტები, მიაგნო ზღვა მასალას, უალრესად საინტერესოსა და მნიშვნელოვანს, მაგრამ...

მისგან დიდებული რუსთველოლოგიც დადგებოდა. აკი ზედმიწევნით სილრმისეულად იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ სამყარს, მის შრეებსა და იდუმალ ხვეულებს. არაა შემთხვევითი, რომ ზეზვამ ფასდაუდებელი სამსახური გაუნია პოემის სომებ და აზერბაიჯანელ მთარგმნელებს.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა ზეზვა მედულაშვილზე — პოეტზე, მთარგმნელზე, ერისკაცზე, მეგობარზე.

დიახაც, რომ მის ბაგეთაგან თაფლი წვეთავდა, უტკბილესი და ურუანტელისმომგვრელი თაფლი, სულსაც რომ გვინათებდა და გულსაც, სიცოცხლის წყურვილსა და ხალისს რომ გვიორმაგებდა.

ახლა ზეზვა მედულაშვილი ზეციურ საქართველოშია, მისივე თქმისებრ, სამოთხის ჩიორად ფერნაცვალი და იქიდან გვიგზავნის მხურვალე მოკითხვას:

გიგზავნით, ვატან მტრედების ფოსტას,
რაც მაქვს და ღმერთმა რაც მიწყალობა,
გულს და სიყვარულს, მზესა და კოცნას,
ზღვის ფრთონასა და შაშვის გალობას.

სწორედ მისი დიდი გული, მზესავით ვეება გული, მისი სიყვარული და სიკეთე დაგვედარება წუთისოფლის უღრანებში ხეტიალისას.



აზაგ მასუდი

თახიმანი ქარიშხალი

კოდვ ერთხელ ფაჩერდა ფუფამერს სახეზე და გული აუჩუდა, თვალებზე წრემლი მოაფგა. ამ კოძნია ქალის ახალგაზრდობა გაახსენდა. თვალის ფაუფგა მისი ლიძებით პირი-სახე, თეთრი, მოვლილი კანი, ქათქათა მყერდი და მიშტიფელი თვალები... ახლა იმ ჰილაშა-ზის ნიშანწყვლის კი არ შერჩენოდა ქალს... ყველაფერი მთავრდებოდა... ინავლებოდა და ქრებოდა...

თალიშმა ეს რომ გაიფიქრა, გული უფრო მეცაფ გადაეწყო. ქარიშხალი კი არა და არ წხრებოდა, განუ-ნივიფლივ წომიქრობოდა...

აფაგ მასუდი

51



ღამე

გეგონებოდათ ეს ქარიშხალი არასოდეს ჩაცხრებაო. აგერ უკვე ერთი კვირა იყო, ალბათ მეტიც, რაც ერთთავად ბობოქრობდა. იმის გამო, რომ ბოლო სამი დღეა ქალაქის ზოგიერთ უბანში სინათლის ხაზები დაწყვეტილიყო, ქალაქის ერთი მხარე სულის-გამყინავ ბნელში ჩაფლულიყო. როგორც კი ქარიშხალი ამოვარდა, გაზიც გაითიშა. ისეთი პირი უჩანდა, რომ მაღლე წყლის მილებიც გაიყინებოდა... ყინვაში სქლად დათრთვილულ მილებს უკვე ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა.

რაც უფრო მეტად წვებოდა საღამოს ბინდი, თალიბის გულს მით უფრო მეტად იპყრობდა შიში.

ამასწინებზე ქარიშხალმა თალიბს თეთრ-წვერება, თეთრ წამოსასხამიანი მოხუცი დაასიზმრა. სწორედ ამ მოხუცმა თალიბს ხელი ჩაჰკიდა და სადღაც შორს თეთრ უდაბნოსმაგვარ ადგილას წაიყვანა. მერე კი თეთრწვერამ უეცრად ხელი უშვა და გაუჩინარდა. თალიბი ამ უკიდეგანო უდაბნოში მარტოდმარტო დარჩა... უეცრად რაღაც მოხდა და მის ფეხ-ქვეშ მიწა იძრა. მაშინ თალიბმა ძირს დაიხედა და მიხვდა, რომ თეთრი უდაბნო რომ ეგონა, თოვლივით ქათქათა სცენა ყოფილა... ცოტა ქვემოთ კი დიდი ორკესტრი იდგა, რომელსაც სხვადასხვა სახის მუსიკალური ინსტრუმენტი მოემარჯვებინა და მის ნიშანს ელოდა... თალიბს რატომღაც გული აუჩუყდა და სცენაზევე ატირდა... სხეულში დიდი ხნის გადავიწყებული სითბო იგრძნო. ამის შემდეგ თავზე ხელი გადაისვა და ორივე ხელი ზეცისკენ აღაპყრო... თვალები დახუჭა, ორკესტრს ანიშნა, დაინყეთო, მაგრამ არავინ განძრეულა. მაშინ თალიბი შიშის ძრწოლამ აიტანა, მუხლე-

ბაკანკალებულმა ხელები უძლურად დაუშვა... ეს რომ იხილეს, ორკესტრანტები მაყურებელთა დარბაზში ამოცვივდნენ, შუა დარბაზში დიდი ორმო გათხარეს, ხოლო ამის შემდეგ სცენაზე აცვივდნენ, თალიბს ხელი ჩაავლეს, ძირს ჩამოათრიეს, ორმოსთან მიათრიეს და შიგ ჩააგდეს... ორმოში ჩაგდებულს ინსტრუმენტებიც თან ჩააყოლეს და მიწა დააყარეს... პირის ლრუ და ცხვირის ნესტოები მიწით ამოევსო და სუნთქვა გაუჭირდა. უკანასკნელად რაც იხილა, თოვლის დიდრონი ფიფქები იყო.

ეს სწორედ ის თოვლი გახლდათ... მისი სიზმრიდან რომ დაიწყო. უკვე ათი დღეა გაუთავებლად თოვდა... ქარიშხალს აყოლილი ნამქერი ფანჯრებს ეხეთქებოდა, გეგონება, მინების შემტევრევასა და შიგნით შეღწევას ლამბდა, რათა თალიბი ცხადშიც ისე დაემარხა, როგორც ეს იმ საზარელ სიზმარში მოხდა...

საწილიდან წამოდგა, მაგიდასთან მივიდა და უჯრა გამოალო. იქიდან აბები ამოილო და მიყოლებით ჩაიდო ენის ქვეშ. მერე ფანჯარასთან მილასლასდა, ფარდა გადასწია და ერთხანს ნამქერში ჩაკარგულ ქალაქისკენ გაიხედა. ქალაქი არ ჩანდა.

დღემ ისე ჩაიარა, ტელეფონს ერთხელ არ დაურეკავს. გეგონება, ქარიშხალმა ყველა ნაცნობ-ახლობელი და ნათესავი წალეკა, ანდა დედაბუდიანად სადღაც გადაასახლაო.

- თალიბ, თალიბ!

- ჰო!

...ეს თალიბის დედაბერი გახლდათ. ახალგაზრდობაშიც ტანძორჩილი ქალი იყო. სიბერეში კი თხილის გულივით დაპატარავებულიყო. საწოლზე, საბის ქვეშ, კურდღე-





ლივით მობუზული და პატარა, მოუსვენარი თვალებით მეუღლეს მისჩერებოდა.

- მეშინია რაღაც...
- რისი გეშინია?
- ეს რა ქარიშხალია, თალიბ? ბაქოში ასე-
თი ქარიშხალი გინახავს როდისმე?

თალიბი დედაბერს ფერხთით ჩამოუჯდა. ათრთოლებული ხელი ცივ შუბლზე გადაუსვა:

- გული ხომ აღარ გაწუხებს?
- ცოტა გამიარა. - მიუგო დედაბერმა და ამოიხრა.

- ეცადე, დაიძინო.
- მთელი დღე ძილის მეტს რას ვაკეთებ-
დი?! ამდენი ძილი გაგონილა?
- რაც მეტს დაიძინებ, მით უფრო უკეთე-
სია.

- წელს გაზაფხულმა გვარიანად დაიგვი-
ანა, მალე მარტი ჩათავდება და ამინდებს კი
პირი არ უჩანს. ზამთარი ფეხს ითრევს...

- დადგება გაზაფხული, რატომ ჩქარობ?!
ახალგაზრდობაშიც ასეთი სულწასული იყა-
ვი... - თალიბმა ეს თქვა და მაშინვე ინანა
ნათქვამი.

როგორც კი სიჭაბუქეზე ჩამოვარდებოდა
სიტყვა, დედაბერი, რატომდაც, მაშინვე მოი-
ლუშებოდა ხოლმე, ცხვირ-პირი ისე ეჭმუხნე-
ბოდა, რომ პატარა სახე კიდევ უფრო უპა-
ტარავდებოდა.

- თალიბ!
- ჰო!
- იცი, გაზაფხულის პირველი მაუწყებე-
ლი რაა?
- ...
- თქვი რამე, რატომ სდუმხარ?!
- ვფიქრობ...
- აქ საფიქრალიც არაფერია...
- ალბათ წვიმაა. ხომ ეგრეა?
- ხო, წვიმაა. გაზაფხულის წვიმას თავ-
ისებური სურნელი დაჰკრავს...
- რა სურნელი?! განა შეიძლება წყალს
სურნელი ჰქონდეს?!
- მაშ, აბა, არ იცი, გაზაფხულის წვიმას
ბალახის სურნელი რომ მოჰყვება...

- შენ სულ ეგრე თავდაყირა ლაპარაკი
გიყვარს, მაგის ცოდნას რა უნდა, გაზაფხულ-
ზე ახალი ბალახი ამოდის, წვიმასაც ამიტომ
დაჰკრავს ბალახის სურნელი.

- ჰო, შენ ჩემზე ჭკვიანი ხარ...
- რაღა დარჩა, ზამთარიც მიინურება.
სულ მალე დათბება, ჩიტები აჭიკიკდები-
ან, სინათლეც გვექნება და ტელევიზორიც
ჩაირთვება...

- მგონი, ტელეფონიც გაითიშა. დღეს არ-

ავის დაურეკავს. გეგონება მიტოვებულ კუნ-
ძულზე ვიმყოფებით.

დედაბერის ამ სიტყვებმა თალიბი შეაძრ-
ნუნა. კვლავ წუხანდელი სიზმარი გაახსენდა.

წამოდგა და ფლოსტების ფლატუნით
სამზარეულოსკენ წავიდა. იქ უფრო მეტად
ბნელოდა. ქარიშხალი სამზარეულოს მინებს
საშინლად აზანზარებდა.

ხელი კარადის უჯრაში მოაფათურა და
გუშინ გადანახული, ნახევრად დამწვარი სან-
თელი მოძებნა. აანთო და ლამბაქზე დაამაგრა,
მერე კი ხელების კანკალით ოთახში წაიღო.

თითქოს ქარიშხლის სიცივეს სახლშიც
შემოეღწია, ქარი ბნელ დერეფანში ყმულდა
და ფარდებს შემზარავად არხევდა.

თალიბმა სანთელი სასადილო მაგიდაზე
დადო, თავად კი მაგიდასთან ახლოს სკამზე
ჩამოჯდა.

დედაბერი სდუმდა. საბნის ქვეშიდან მხ-
ოლოდ პატარა თავი და ჩიტის კლანჭების მს-
გავისი გამხდარი ხელები მოუჩანდა. უჩუმრად
იწვა და ჩაბნელებულ ჭერს მისჩერებოდა.

თალიბმა სანთელი აიღო და საწოლის
გვერდით პატარა ტუმბოზე დადო. როცა
წამოიმართა, ადგილზე შექანავდა. კვლავ გუ-
ლის ამბავი იყო, მისუსტებულს მთელი ორგა-
ნიზმის დასუსტება უნდოდა...

- წამალიც აღარ მშველის... - გაიფიქრა
თალიბმა.

- თალიბ, გესმის, თალიბ!
- ჰო, გისმენ!
- მგონი, წამალიც აღარ მოქმედებს ჩე-
მზე...


თალიბი საწოლის ბოლოს ლეიბზე ჩამოჯ-
და, სული მოითქვა და მიუგო:

- ყველაფერი სიცივის ბრალია, ძვირფა-
სო. სიცივე ძარღვებს კუმშავს და სისხლის
თავისუფლად მიმოსვლას აფერხებს. - უნ-
დოდა, ისიც ეთქვა, რომ თუ გინდა წყალს
გაგიცხელებ და ფეხებზე სათბურს დაგადებო,
მაგრამ გაახსენდა, რომ არც გაზი ჰქონდათ
და არც შუქი.

- არ გეძინება?
- არა. - დედაბერმა თავი ბელურასავით
გააქინია და დადუმდა. მერე კი თვალები უაზ-
როდ აახაშხამა.

- თალიბ!
- ჰო!
- მეშინა!
- რისი გეშინია, დაძინების?
- დედაბერმა თავით დაუდასტურა.
- მე ხომ აქ ვარ, რისი გეშინია? - თქვა და
სანთლის მბჟუტავ შუქზე შეხედა დედაბრის





მხატვარი სოფიო ჭლიძე

ფერდაკარგულ სახეს, რომელიც არაფერს გამოხატავდა.

— როცა შენ ჩემთან ხარ, არაფრის მეშინია. — ჭერს მიშტერებულმა დედაბერმა როდის-როდის უპასუხა. — შენ ძლიერი ხარ. ექიმმაც ხომ თქვა... გახსოვს, ექიმმა როგორ თქვა?

— რა ვიცი, თქმით კი რაღაცა თქვა...
იგრძნო, რომ ლაპარაკის თავი არ ჰქონდა, ძალა ელეოდა, გული ფითილგალეული ხელის ლამპასავით უქრებოდა...
— მითხარი რა თქვა!..
— რა გითხრა?
— მითხარი, ექიმმა რა გითხრა!
— მითხრა, რომ ჯანმრთელი სხეული გაქვს.

— ხო, ეგრე გითხრა...
დედაბერმა ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, ეტყობოდა, ექიმის მიერ ნათქვამი ფრაზა მის სულს სიმშვიდეს ჰგვრიდა. მერე კი იმედ-მოცემულმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ დაამთქნარა.

თალიბმა თვალები მოჭუტა, დედაბერს დააკვირდა და ელდა ეცა, მოულოდნელობისა-გან ლამის გული შეეკუმშა. დედაბერს პირი მოღრეცოდა. ეს როდის მოხდა, არ იცოდა. ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ მგონი, თავ-ად დედაბერმა ამის შესახებ არაფერი უწყოდა.

კიდევ ერთხელ დააცქერდა დედაბერს სახეზე და გული აუზუყდა, თვალებზე ცრემლი მოადგა. ამ კოპნია ქალის ახალგაზრდობა გაახსენდა. თვალნინ დაუდგა მისი ლამაზი პირი-სახე, თეთრი, მოვლილი კანი, ქათქათა მკერდი და მიმზიდველი თვალები... ახლა იმ სილამაზის ნიშანწყალიც კი არ შერჩენოდა ქალს... ყველაფერი მთავრდებოდა... ინავლებოდა და ქრებოდა...

თალიბმა ეს რომ გაიფიქრა, გული უფრო მეტად გადაეწყურა. ქარიშხალი კი არა და არ ცხრებოდა, განუწყვეტლივ ბობოქრობდა...

დედაბერმა შეამჩნია, რომ ქმარი სახეზე მისჩერებოდა, პატარა, უმწეო ხელებით საბანი ცხვირამდე ამოინია.

— ეგრე რატომ შვრები, სული შეგეგუბება.
— თქვა თალიბმა და საბნის ჩამოწევას შეეცა-და, მაგრამ ქალმა არ დაანება:

— ნუ მიყურებ! — უთხრა და საბნის ქვეშ ჩიტივით შეფრთხიალდა.

— რატომ, ძვირფასო?

— პირი დაბუჟებულივითა მაქვს...

— ეგ შენ გონია ეგრე...

გარეთ კი ქარიშხალი ბობოქრობდა და კარ-ფანჯრებს აზანზარებდა, თითქოს მარტო დარჩენილი მოხუცების ძრნოლა სიამოვნებდა სალერლელაშლილ სტიქიას.

— თალიბ!

დედაბერის მინავლული ხმა საბნის ქვეში-დან ძლიერ ისმოდა.

— ჰო!

— სიკვდილს დაანებებ ჩემს თავს?

მიუხედავად იმისა, რომ დედაბერის ამ სიტყვებზე გული შეეკუმშა, თავს მაინც ძალა დაატანა და გაიღიმა.

— ცაცხალი თავით შენ თავს სიკვდილს კი არა, არავის დავანებებ!

თალიბის ამ სიტყვების შემდეგ დედაბერის თვალებში სიხარულის ნაპერწკლის მაგვარი რაღაც აენთო და თვალს და ხელს შუა მიინავლა.

კაცმა კი ცხადად იგრძნო დაძაბუნება გულის კუნთებისა, რომლებიც დროდადრო მთლად კარგავდნენ სიცოცხლის უნარს. გულის კუნთების თმასავით წვრილი ძარღვები ერთიანად ასწენოდა, ამას იგი რაღაცხაირად გრძნობდა. გული აღარ ემორჩილებოდა. წამლების მიღებასაც აღარ ჰქონდა აზრი.

ქარიშხლის გამო თუ სხვა რამ მიზეზით, მოულოდნელად სუნთქვა გაუჭირდა... ხელი რამდენჯერმე მკერდზე დაიკრა, მხოლოდ ამის შემდეგ იგრძნო, რომ ოდნავ მოეშვა და რის ვაივაგლახით ჩაისუნთქა კიდეც.





ერთი პირობა გაიფიქრა, ეგებ თბილად ჩაიცვას, თავისი დედაბერიც თბილად გამოაწყოს და სუფთა ჰაერზე გამოიყვანოს. მერე გაახსენდა, რომ სინათლე გათიშულია, უს იგი, ლიფტიც არ მუშაობს. ულიფტოდ კი ამ უსამველო კიბეებზე ვერაფრის დიდებით ვერ ჩავლენ. ულიფტობამ მთლად შეაშინა. ასე გამოდის, რომ სანამ ეს ქარიშხალი არ ჩაცხრება, ზეცაში გამოკიდებულებივით იქნებიან...

უცნაურია, — ფიქრობდა საწოლის კიდეს დაყრდნობილი თალიბი, — მეზობლებიდანაც რომ ჩამიჩუმი არ ისმოდა... გეგონება, ყველა გაქცევია ქარიშხალს და სადღაც თბილ და მყუდრო ადგილებში დაბანაკებულა. გეგონება, ამ ქარბუქში ჩაკარგულ ქალაქში მარტო ის და მისი დედაბერი დარჩენილან ბედის ანაბარა...

— თალიბ!

— ჰო!

— ამინდს ისეთი პირი უჩანს, მგონი, წელს გაზაფხული მოსვლას არც აპირებს.

— ეგ როგორ შეიძლება?

— როგორც ჩანს, შეიძლება. — დედაბერს ლაპარაკისას სუნთქვა უჭირდა.

— შენი აზრით, ამ ქარბუქს პირდაპირ პაპანაქება ზაფხული მოჰყვება?

— ჰო! ზაფხული მეჯავრება, სიცხეში წნევა მიწევს...

თალიბმა იგრძნო, რომ თვალთ უბნელდებოდა, ტანზე კი ცივ ოფლს ასხამდა.

ძალა მოიკრიბა და ფეხი ფეხზე გადაიდო. იცოდა, რომ ასე უფრო ახოვანი მოჩანდა. საბანი გადაინია, რათა დედაბრის სახე გამოჩენილიყო. მერე კი ყრუდ ჩაახველა და უთხრა:

— გაჩუმდი. გენაცვალე, გაჩუმდი, შენთვის ლაპარაკი არ შეიძლება.

— სიჩუმის მეშინია.

— რატომ?

— მაშინ ქარის ხმა ისმის, თანაც ფანჯრებს აზანზარებს...

— ამაში საშიში არაფერია, ბუნებრივია, ძლიერ ქარში ფანჯრები ზანზარებს...

— თალიბ...

— ჰო!

— გეგონება, ამ ქარს რაღაცა უნდა...

— რა უნდა?..

— არ ვიცი...

— ...

— ხედავ, როგორ ყმუის? კაცს ეგონება, ტირისო... გული მენურება...

— ხომ გითხარი, ნუ ლაპარაკობ-თქო.

თალიბმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა,

დედაბრისკენ დაიხარა და გამშრალი ტუჩებით შუბლზე ეამბორა.

— მშვიდად ინექი, მე ვილაპარაკებ, შენ კი მომისმინე.

— ილაპარაკე, თალიბ, ილაპარაკე, ოლონდ ბევრი ილაპარაკე. თანაც ხმამაღლა ილაპარაკე...

თალიბმა ენით გამომშრალი ტუჩები მოილოკა, მერე ღრმად ამოისუნთქა და დიდხანს სალაპარაკოდ ისე მოემზადა, თითქოს შორ გზაზე წასასვლელად ემზადებაო. ჩაახველა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით დაიწყო ლაპარაკი:

— ზამთარი თითქმის მიინურა, როგორც არ უნდა შეითრიოს ფეხი, ახლა ბალახები და ენძელები მინის ქვეშ იზმორება... ხეთა კვირტები ტოტებში იმალება და ქარბუქის ჩადგომას ელოდება. ფრინველები ჩვენსავით სადღაც მიყუულან და ძილბურანში სიჩუმის ჩამოვარდნას ელოდებიან. ამას იმიტომ გეუბნები, რომ მშვიდად დაიძინო. შენც რომელი-დაც ფრინველს ჰგავხარ, მგონი ეს შენთვის უწინაც მითქვამს...

გული კვლავ გაუჩერდა... დედაბერს რომ არ შეემჩნია, გვერდულად დაჯდა და მკერდი დაიზილა. გული სუსტად უცემდა და შიგა-დაშიგ ჩერდებოდა. საწვავგათავებულ მანქანასავით იყო...

— რატომ გაჩუმდი? რაო, რას ამბობდი, რომელ ჩიტს ვგავარ?

— გაზაფხული მთლად ახლოსაა, გული მიგრძნობს. დიღლით გაიღვიძებ და ნახავ, რომ ამ სიბრელეს სინათლე ჩაენაცვლა. ეს ხომ ჩვენი ბინის ყველაზე ნათელი ოთახია?! ზაფხულობით ამ ოთახში ყოველთვის სქელ ფარდებს კიდებ, რომ მზემ კედლები და პიანინო არ გაახუნოს. სადაა ის სქელი ფარდები?

— ფარდები?.. რომელი ფარდები?..

— ზაფხულის ფარდებზე მოგახსენებ...

ზედ წითელი ფარშევანგები რომ ახატია, ის ფარდები... ყველა ის ფარშევანგი შენა გგავს, ეს მითქვამს შენთვის...

— მგონი გითქვამს... ჰო, გითქვამს...

— შენ ხომ ახლაც ფარშევანგს ჰგავხარ...

— შენ რომ ლაპარაკობ, გულზე მეშვება. თანაც ყოველთვის ისეთ ლამაზ სიტყვებს მეუბნები, რომ... ენაწყლიანი ხარ, მწერალი უნდა ყოფილიყავი...

ქარიშხალი ერთხელაც აბობოქრდა და სახურავზე რაღაც მოწყვიტა. ეს ან ანტენა უნდა ყოფილიყო, ან სახურავის თუნუქი. მოგლიჯა და ბრახაბრუხით წაილო.

დედაბერმა ბრახუნზე თავი საბანში ჩარ-



გო. ცოტა ხანში კი თავი ისევ წამოწია და ქარბუქს მიაყურადა. უეცრად თვალები გაუბრნებინდა:

— დაიქუხა, თალიბ, გესმის, ცამ დაიქუხა! რა დროს ქუხილია?! გაგიგონია, ზამთარში ცამ დაიქუხოს?! წვიმა ხომ არ წამოვიდა? ადე ერთი, ფანჯრიდან გაიხედე. შენ მართალს ამბობდი, თურმე გაზაფხული მთლად ახლოს ყოფილა. ახლალა გამახსენდა, მართლაც, ის ფარშევანგიანი ფარდები სადაა? გარეთ რომ კარადა გვიდგას, იქაა, ზემოთა თაროზე... თანაც სუფთაა, გასულ ზაფხულს დავრეცხე, დავაუთოვე და შევინახე. ცივ წყალში რომ ვავლებდი, ფრჩხილი მოვიტეხე, გახსოვს? ფრჩხილებიც დამიბერდა... თალიბ, რატომ

არაფერს იტყვი? ნუ სდუმხარ. შენ რომ სდუმხარ, მეშინია... წვიმს, გეფიცები, წვიმს... გესმის წვიმის ხმა? ახლა ბალახი აპიბინდება, ენძელები თავს ამოყოფენ... მზე ამოვა, ყველაფერი გაბრნებინდება და გათბება... კვირტებიც დასკდებიან... იმ ფარშევანგიან ფარდებს დავკიდებ... თალიბ, შემოგევლე, ნუ სდუმხარ, თქვი რამე... ერთი სიტყვა მაინც მითხარი... თალიბ... თალიბ... კაცო, თალიბ, ხმა ამოიღე... თქვი რამე, დაგენაცვლე... მეშინია... თალიბ... თალიბ... თალიბ...

**აზერბაიჯანულიდან თარგმნა
იმირ მამედლიგ**

55



მხატვარი ელზა თუშაბრამიშვილი

ოლქ, №1, 2021



დედა

ის – დაიბადა: მშვენიერი, როგორც ყვავილი,
მზეც კი ატირდა, რომ იპოვა თავის სადარი,
ის – დაიბადა: იმ ქალაქში, სადაც ამაყად –
რვა საუკუნე აღმართულა დიდი ჭადარი.

56



მაშინ, ისმოდა ტირიფების ჩუმი შრიალი,
მაგრამ ისინი – ასე მხოლოდ ნანას მღეროდნენ...
ნანას უმღერდნენ ახლად შექმნილ მშვენიერებას
და, ასე, თითქოს, მზის სადარის მოსვლას
ელოდნენ.

ის – დაიბადა მშვენიერი, როგორც ქალღმერთი,
და ამ ქალაქში სულ არ იყო მისი სადარი...
ის – დაიბადა იმ ქალაქში და... იმ მხარეში, –
სადაც ამაყად აღმართულა ძველი ჭადარი.



თამარ ბურნაძე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

ჩემი ქალაქი

დამის სიჩუმეს სტუმრებია ჩემი ქალაქი,
ცად ვარსკვლავები გაბნევია, – ნაპერნკლებივით,
ფოთლებს ჩურჩულით აშრიალებს ძველი ჭადარი,
ისიც დიდია და ბებერი, – თავის წლებივით.

ქალაქს ამშვენებს ოქროსფერი, ნათელი მთვარე,
ქალაქის ბედზე, სევდიანად, ჩაფიქრებულა,
რა ლამაზია – ეს ქალაქი, – ტკბილად მძინარე,
ჩემი თელავი, ოდითგანვე, გულით ქებულა.

ქარი ბუტბუტებს, რაღაცაზე, ძლიერ ნაწყენი,
მისი სიშმაგე, სადღაც, შორეთს გადაქარგულა,
კავკასიონი აღმართულა გოლიათივით, –
მწვანე მინდორი ყვავილებით გადაქარგულა.

მუზის აკვანი ყოფილაო, – ჩემი ქალაქი,
და... ამ ქალაქში უამრავი ლექსი იქმნება,
სევდა გაშოროს და დიდების იყავ მწვერვალი,
ეგ, სიდიადის შარავანდი – ღმერთმა ინება.



მხატვარი ელზა თუშაბრამიშვილი





ელენე ლომასაძე

თბილისის პრიტანულ-ქართული
აკადემიის მე-11 კლასის მოსწავლე

მე გთხოვ შეხ...

ქვირფასო მეგობარო, ტატო!

პირველ რიგში, მოგესალმები! იმედი მაქვს, ამ წერილს მიიღებ.

მინდა გითხრა, რომ შენი შემოქმედებით ვარ მოხიბლული. თითქმის ყველა ლექსი მაქვს წაკითხული და თითქმის ყველამ დატოვა ჩემში რაღაც, ალბათ მნიშვნელოვანი და ამაღლელვებელი. თითოეულ მათგან-ში გასაოცარი აზრი დევს. საუბრობ იმაზე, რაზეც სხვას არასოდეს უფიქრია. საუბრობ იდეალური სამყაროსკენ, სრულყოფილებისკენ, ცდილობ, გააგებინო სხვას შენი გრძნობები და აზრები, მაგრამ, სამზუსაროდ, საზოგადოება ამისთვის მზად არ არის. მე ვიზიარებ ამას. ვიზიარებ, რადგან მეც იგივე მაქვს გამოვლილი, მეც იმავეს განვიცდიდი, რასაც შენ, ამ წუთას, განიცდი. მარტოობა? ალბათ მარტოობა. მეც შენსავით წუთისოფელსა და ბედისწერაზე ვფიქრობდი. ვსცამდი კითხვებს: რა იყო ადამიანის დანიშნულება? რისთვის იყო ადამიანი მოვლენილი ამქეცყნად? სად იყო მისი ადგილი? და არავის ჰერონდა პასუხი. მეც მჭირდებოდა ისეთი ადამიანი, ვისთანაც საათობით ვისაუბრებდი და გავუზიარებდი ჩემს შეხედულებებს და, ალბათ, მარტოც აღარ ვიქნებოდი. და, დადგა ეს დროც. მე ვიღაცა გვერდში ამომიდგა და დახმარების ხელი გამომინოდა. ის დამებმარა და თავისუფლება მაგრძნობინა, სამყარო სხვანაირი თვალით დამანახა. მისი დახმარებითა და მხარდაჭერით შევძელი ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ნატვრის ასრულება. ამ წატვრამ ჩემი თავი მაპოვნინა. მივიღე განათლება და ბევრი რთული კითხვის ამოხსნა შევძელი. ვფიქრობ, რომ, სწორედ, განათლებაა ის იარაღი, რომელიც ადამიანს აძლიერებს და ათავისუფლებს ყველა ბორკილისგან. ეს ის სიმდიდრეა, რომელსაც ვერავინ წაგართმევს და დაგაკარგვინებს. და მე მადლობელი ვარ, მის გარეშე, ალბათ, ვერ ამოვისუნთქავდი ამ მძიმე ჰაერს. მე, ახლა, ბედნიერი ვარ. ხოლო, როცა ვხედავ, ისეთ ადამიანს, ვისაც უჭირს და, რაღაც აწუხებს, მინდა რომ დავეხმარო, გვერდზე დავუდგე და ვუთხრა, რომ ყველაფერი კარგად არის, ის არ არის მარტო, ყველაფერი გაივლის. „ესეც გაივლის“ – როგორც სოლომონი იტყოდა, არა?! წება მომეცი დაგეხმარო და იგივე შემოგთავაზო. შენ ხომ ის ადამიანი ხარ, ვინც დაცემის შემთხვევაში აუცილებლად წამოდგება და ბედისწერის კლანჭებში არ ჩავარდება, შენ ხომ ის ხარ, ვინც არასდროს წებდება. ბოლოს და ბოლოს, მთავარი ხომ სიყვარულია? დედამინას, ხომ სიყვარული ატრიალებს? გიყვარდეს ადამიანი – ეს ხომ უდიდესი გრძნობაა? მე, შენი დახმარებით, პატივს მივაგებ იმ ადამიანს, რომელმაც მე დახმარების ხელი გამომინოდა. წება მომეცი ვიყო შენი გულისთქმის გამზიარებელი ჭირსა და ლხინში. ბედნიერი ვიქნები თუ მექნება საშუალება, მეგობრობის ხელი გამოგინოდო.

ქედს ვიხრი შენი მებრძოლი სულის წინაშე!





ქათევან ჭანკოტაძე

თელავის №1 საჯარო სკოლის

IX კლასის მოსწავლე

განა არსებობს?!

განა არსებობს საქციელი, რომელსაც ვერ გაპატიებთ?! მიტევება უნდა შეგეძლოს, დავიწყებაც უნდა შეგეძლოს... აი, სწორედ მაშინ გქვია ადამიანი... რა რთულია ადამიანად ყოფნა... არაფერს ვნანობ, საერთოდ არაფერს, რადგან ყველა შეცდომაშ ჩემში რაღაც შეცვალა. თითქოს ცხოვრება მასწავლებელია, ჩვენი პრობლემები კი გა-

კვეთილები. შეიძლება ერთი წამის განმავლობაში ყველაფერი ძალიან რთულად მოგეწვენოთ, მაგრამ ადამიანები სწორედ ამ სირთულეების დაძლევის შემდეგ იზრდებიან კარგ ადამიანებად... მათ იციან სიყვარული, პატივისცემა, მიტევება და ყოველთვის ახსოვთ, რომ უფლება არ აქვთ არ აპატიონ, რადგან იესომ ჯვარცმა გვაპატია.

პედიარი ოცნებებით შეკრული სიზმარი

გეფიცებით, ერთი ჩახუტება და... მეგონა, რომ სამყარო გაჩერდა. მისი სუნთქვა ჩემს სუნთქვას ერწყმოდა, თითქოს ჩვენი გულები ერთად ცემდნენ... თითქოს ერთნი ვიყავით! უსასრულოდ გაიწელა ის რამდენიმე წუთი. საოცარი ცა იყო იმ დღეს, თითქოს სიყვარულისფერი, მზის ჩასვლაც ლამაზად ჩანდა... ნიავი სასიამოვნოდ არსევდა ჩემს თმებს... სიხარულის ცრემლები ნიკაპს ეკიდებოდა და უმალ უკვალოდ ქრე-

ბოდა... და უცებ დაუბრუნდა ყველაფერი რეალობას, ცა ისევ ცისფერი იყო, ნიავიც ჩამდგარიყო, ცრემლები კი... ისინი ხომ არც კი არსებობდნენ. გადავდგი ერთი ნაბიჯი, ორი, სამი... უკვე მენატრებოდა, მერე ჩამელიმა და გავუყევი გზას, რომელსაც დასასრული არ უჩანდა... არ ვიცოდი სად წამიყვანდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ სიზმარი იყო, ბედნიერი ოცნებებით შეკრული სიზმარი.



ჩემს თელავს

გულს მოუნდა, – მომეძლვნა
ლექსი, ჩემო თელავო,
ყველასთვის სანუკვარო,
მარგალიტო, მბრწყინავო!

სისხლი მიდუღს ძარღვებში, –
შენს ვარსკვლავთ რომ შევცქერი,
ნლები მიჰქრის წამებში,
სათქმელი მაქვს მე ბევრი...

შენს ქუჩებში დავდივარ,
შენს ბალებში ვისვენებ,
ვეფერები შენს აწმუნა,
და შენს წარსულს ვიხსენებ...

ჩემს ქალაქში, საოცარი,
სიყვარული ტრიალებს,
აქ, ფოთლებიც, უძველესი,
ისტორიით შრიალებს!

აქ, ალაზნის ველი მოსჩანს, –
ხელისგულზე გადაშლით,
„თელაველი კაცის“ ხმლით
ჩვენ, რამდენჯერ, გადავრჩით.

მშვენიერ, მოხუც, თელავს –
თოვლი თეთრ თმას უფარავს,
ნლებს, – დატყობილ წაოჭებს,
გალიმება უმალავს.

ჩემს ქალაქში, ყოველ ნაბიჯს
უნდა ვდგამდეთ ამაყად,
ყველა მხარეს, შეიძლება –
სილამაზის დანახვა...

თელავს გულში იხუტებს –
ჭაღრის, დიდი, ტოტები,
მის სულიდან გამოისმის –
მშვენიერი ნოტები.



მარიამ ჩომახიძე

აქ, მზის სხივი სულს გითბობს,
ბულბულები გალობენ,
გაზაფხულის თბილი წვიმა
მოგწყინდება – აროდეს.

სულს რომ გვიფორიაქებ,
ჩვენო, თელავ ქალაქო,
ალარ ვიცი, სიყვარულით,
რალა გელაპარაკო...

მსურს რომ მარად შენთან ვიყო,
შენს ქუჩებში ვიარო,
მინდა ჩუმად გესაუბრო
შენც, თელავის ნიავო!

შენი ზეცა მასულდგმულებს,
მიყვარს – შენი მცხოვრებნი,
არ მინდა, რომ დადგეს წუთი –
ოდესმე განშორების!



სოფიკო ტაბარუპიშვილი

ზოთოლი

ძალიან ლამაზი იყო პატარა ფოთოლი — დედახის მძლავრ ტოტებში შეფარებული. ყველა მას ესათ-უთებოდა, მაინც უკმაყოფილო იყო თავისი ცხოვრებით — ადამიანივით ცხოვრება უნდოდა. დედახის ქვეშ გავლილებს ხედავდა ადამიანებს და მუდამ ამას ჩიოდა: ერთფეროვანი ცხოვრება მომწყინდა.

ერთხელ ქარმა შეამჩნია პატარა ფოთოლი და ჯერ კიდევ გამოუცდელს თავბრუ დაახვია — ჩემთან ნამოდიო, ეწურჩულებოდა ჩუმად.

აქ დარჩიო — ემუდარებოდა დედახე.

საბოლოოდ მაინც ქარს გაჰყვა პატარა ფოთოლი. ოპ, რა ლამაზი იყო თავიდან ყველაფერი, ქარის ტალღებში დაჰქროდა უზომოდ ბედნიერი. ბოლოს მოსწყინდა ქარს მისი გართობა, დედამიწაზე დაუშვა და მიატოვა.

მიწაზე დაცემისას ტალახში ჩავარდა საბრალო და მარტო დარჩა.

პატარას იმედი ჰქონდა — კვლავ მოვა ქარი ჩემთან.

დრო გადოდა. სულ უფრო უარეს ცხოვრებისეულ სიბრძნეებს ეცნობოდა ტალახში ჩაგდებული, სილ-ამაზედაკარგული პატარა ფოთოლი, არავინ ჰყავდა მხსნელი, ნანობდა: — ნეტავ, დედახისთვის დამეჯერე-ბინაო. განა, ვინმე იყო მასზე ბედნიერი? მართლაც გაუმაძლარი ყოფილა ოხერი გული!

დათვლილი იყო უკვე ფოთლის დღეები, ქარმა რომ მოაკითხა მოულოდნელად. დედასთან წასვლაც აღარ შეეძლო, იმდენად დაუძლურებულიყო.

მალე სული განუტევა ოდესლაც ძალიან ლამაზმა და ბედნიერმა პატარა ფოთოლმა. თავის თავი თავ-ადვე დალუპა. ქარისთვის რომ არ დაეჯერებინა, ხომ თითქმის დაუნანებლად მოკვდებოდა სხვა ფოთოლთ-აგან გულწრფელად დატირებული, ან, იქნებ, უფრო მეტხანს ეცოცხლა?

დიდხანს ეგდო მკვდარი ფოთოლი უპატრონოდ სანამ თოვლმა არ დაფარა მისი სხეული.

ვინ იცის, რამდენი ადამიანი დადის ამ წუთისოფელში პატარა ფოთოლივით გზაბნეული და გაუბედ-ურებული, ლამაზი ცხოვრებით რომ უნდა ეცხოვა, უბედობამ თუ მიმნდობმა გულმა კი მათ მარტოობა და სიკვდილი არგუნა



მხატვარი ელზა თუშაბრამიშვილი



პატონი მიქა, არასოდეს დამავიწყდებით!



61



მიხეილ თუმანიშვილი და ლალი ქევხიშვილი

ეს წერილი 24 წლის წინ დავწერე ბატონ მიხეილ თუმანიშვილზე და ისევ მინდა გავიხსენო და მივიტანო მკითხველთან.

„სულ ახლახანს ქართველმა ხალხმა, თეატრალურმა საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე გააცილა დიდი ქართველი რეჟისორი, ჭეშმარიტად სახალხო არტისტი მიხეილ თუმანიშვილი.

განუზომელია მიხეილ თუმანიშვილის ღვაწლი ქართული თეატრის წინაშე – მის შემოქმედებაზე პროფესიონალები, ალბათ, დიდხანს იმსჯელებენ.

ამ ორი დღის წინ თელავის ერთ ლამაზ ქუჩაში შემხვდა ჩემი მასწავლებელი პროფესორი, ბატონი გოგი ჯავახიშვილი და დანალვლიანებულმა მომისა-ამძიმრა: – ლალი, რა დიდი დანაკლისია, ბატონი მიხეილ თუმანიშვილი გარდაიცვალა. მე მოულოდნელობისგან გავშრი. ასე ვიპორიალე ეს დღეები და მხოლოდ ახლა შევძელი ორიოდე სიტყვით გამო-გემმვიდობოთ ჩემი მშობლიური თელავიდან.

მახსოვს, სტუდენტობის დროს ბატონი გოგი მეტყოდა ხოლმე – რაკი ბედმა ბედნიერება გარგუ-

ნა ბატონ მიხეილთან მუშაობისა, არ გაუშვა არც ერთი შემთხვევა, რომ არ ჩაიწერო მისი ნათქვამები, ნაოხუნვარი აზრები ქართულ თეატრზე.

მახსოვს ბატონმა გოგიმ წერილიც გამომატანა თქვენთან, გთხოვდათ აზრს, ქართული ლექსის აკიდოზე. არ დამავიწყდება, როგორ ალფროთოვანებულმა უპასუხეთ ბატონ გოგის და თქვენი სურათიც გამომატანეთ მასთან საჩუქრად.

ჩემი ბავშვობის ოცნება იყო მსახიობი გავმხდარიყავი, მაგრამ რატომდაც სხვა პროფესიას გავყევი. გული მონუსხულივით, მაინც თეატრისკენ მიმიწევდა, ისევ თეატრში ვპოულობდი ჩემ ადგილს. ის წლები, რომლებიც განვლე მარჯანიშვილის თეატრსა და კინომსახიობთა თეატრში, საუკეთესო და ულამაზესი წლებია ჩემი ცხოვრებისა.

„ამ ქვეყნად ყველაფერს მირჩევნია თეატრი – მშვენიერი, საყვარელი, საოცრებათა განუმეორებული სამყარო!“ – ეს ხომ თქვენი სიტყვებია, ბატონი მიშა! – მე მხოლოდ ცრემლიანი თვალებით ვიმეორებ თქვენს სიტყვებს.

ოლქა, №1, 2021





მართლაც საოცრებათა სამყარო დამხვდა, როდესაც ფეხი შემოვდგი თქვენს საყვარელ კინომსახიობთა თეატრში, მსახიობიც და არამსახიობიც – ყველანი ერთსულოვნად ვიყავით ჩაბმულნი იმ საოცარ სპექტაკლებში, რომლებსაც თქვენ ქმნიდით, რომელი ერთი გავიხსენოთ, ეროსი მანჯგალაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი „ჩემი პატარა ქალაქი“, „დონ-ჟუანი“, „ბაკულას ლორები“, „ბენელ ოთაბში“.

„მე ძალიან მიჭირს ერთგული მსახიობის გარეშე, რადგანაც ის ანიჭებს სიცოცხლეს ჩემს სპექტაკლებს, მე ვთრთი მასთან შეხვედრისას, ვივსები სიყვარულით. მე ვერ ვეგუები მოტყუებას, ასეთ სიყვარულში მე შეშლილი, ვნებიანი, მწველი სიყვარულის მომხრე ვარ“ (ესეც თქვენი სიტყვებია).

ჩვენ ყველანი ვგრძნობდით, რომ მართლაც გიჭირდათ ერთგულების და სიყვარულის გარეშე.

ეს პატარა საოცარი თეატრი, ხომ ჩვენი მეორე სახლი იყო. სიყვარულის, ერთგულების, საოცრების სახლი და იხმობდა თეატრი ადამიანებს. „გთხოვთ, მობრძანდეთ 5 თებერვალს 4 საათზე კინომსახიობის თეატრში და კვლავ ეზიაროთ ამ საოცრებათა, განუმეორებელ მშვენიერებას.“

რამდენჯერ მიფიქრია, ნეტავი შეიძლებოდეს მაყურებელმა სპექტაკლის გარდა შემოიხედოს თეატრში, რით და როგორ ცხოვრობენ თეატრალები, სპექტაკლზე არანაკლებ საინტერესო იქნებოდა ალბათ მათოვის.

ნლების შემდეგ, კინოსახლში ვნახე დოკუმენტური ფილმი თქვეზზე და თქვენს საოცარ პატარა თეატრზე, თვალნინ დამიდგა ის ლამაზი დღეები. სიხარულის ცრემლებმა დამიფარა სახე.

მხოლოდ საქმით ვფიქრობდი მეგრძნობინებინა თქვენთვის, როგორ მიყვარდით, ბატონო მიხეილ! ამის თქმას ხმამალა როგორ გაგიძედავდით, მაინც

რა დიდბუნებოვანი ადამიანი ბრძანდებოდით!

სულ რამდენიმე წლის წინ, თბილისში რუსთაველზე შეგხვდით, ველარ მოვთოკე ჩემი გრძნობები და სიმპათია თქვენდამი, რატომ არ უნდა იცოდეს, რომ ასე ძალიან მიყვარს. ვიფიქრე, შეიძლება ვერც გამიხსენოს, მე ხომ მსახიობი არ ვიყავი, მაგრამ არა უშავს, მაინც ვეტყვი. სასწრაფოდ გადმოვჭერი ქუჩა და მისალმების შემდეგ გადაგეხვით, როგორც ახლობელს.

– ბატონო მიშა (ხშირად ასე მოგმართავდით იმ საყვარელ თეატრში), თუ გამიხსენებთ, მე ვარ და რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ და მასსოებართ, თქვენი საოცარი ბუნებით, იუმორით, საოცრებებით.

– ამდენ ხანს, რატომ არ მეუბნებოდით, დავბერდი და ახლა შეგიყვარდით ყველას!

ისევ ლამაზად იხუმრეთ.

არა, ბატონო მიხეილ! თქვენ ისეთი ბუმბერაზი ადამიანი ბრძანდებოდით სიბერე და გარდაცვალება უსუსურია თქვენთან!

ეჭვიც არ მეპარება თქვენი ერთგული მსახიობების, თქვენი ნიჭის თაყვანისმცემლების ცრემლის ზღვა გაგაცილებთ თბილისიდან ბოლო გზაზე, მე კი ამჯერად თელავიდან თვალცრემლიანი განვდენოთ ხმას:

- მშვიდობით, ბატონო მიშა!
- არასოდეს დამავიწყდებით!

P.S.

2021 წელია ახლა. ბატონო მიშა, თქვენ 100 წლის ბძანდებით. მე კი 64 წლისა და ისევ მასსოებართ, მიყვარხართ და არასოდეს დამავიწყდებით!

ლალი ქავეიშვილი



მხატვარი ელზა თუშაბრამიშვილი



მისი გაზაფხულის შემოდგომა

თელავი მდიდარია გამორჩეული ბიოგრაფიისა და ლვანლის ადამიანებით, რომელთაც შექმნეს მისი განუმეორებელი ისტორია და დღესაც ხიბლს ადევნებენ სატახტოს კოლორიტულ ფერთა პალიტრას. ეს ადამიანები მუდამ დაუღალვად ფუსტუსებენ, შრომობენ, იღვნიან, არ ისვენებენ არც თავად და არც სხვებს ასვენებენ, რათა ის საზოგადოება, რომელსაც თელავი და თელავები ჰქვია, მეტად საინტერესო და ფასეული, კიდევ უფრო მეტად, ჰუმანური და მიმზიდველი გახდეს ისტორიის, თანამედროვეობისა და მომავალი თაობებისათვის.

ამბობენ ქალბატონებს ასაქს არ ეყითხებიანო... არც მე ავწონი იმ წლების ყულაბას, რომელიც ჩერნის ობილარს მოუნავრებია, თუმცა ის სიკეთე, ამაგი, თავდადება საკუთარი საყვარელი საქმისადმი და თელავისადმი, რითაც დღემდე მოვიდა, ნამდვილად სასახელოა და ფასეული. თაობებმა გაიარეს მის თვალსაწირის საცერძი, დღეს ისინი უკვე წარმატებული და შემდგარი პიროვნებები არიან და ლია მასწავლებელიც ამაყია, როცა მათ იხსენებს და ხარობს თითოეულის წინსვლით. ცხოვრება რთულია, მით უფრო იმ თაობისათვის, რომლის ათეულობით წელმა არაერთი ძნელბედობა გამოიარა, მერე რა, რომ არაერთხელ აღიმართა მის წინ ცხოვრებისეული სიძნელენი, ვიღაცამ გული დასწყვიტა, სხვამ იქნება ძლიერ ატკინა კიდეც, მაგრამ საბედნიეროდ მუდამ სინათლის სხივს მიუყვებოდა და, როგორც ნამდვილი პედაგოგი, ცდილობდა მხოლოდ სულის კათარზისის პრინციპებით ეხელმდგარენლა და ცხოვრების ყველაზე ბნელ კუნძულებშიც კი სიკეთის ნამცეცები ექებნა როგორც ზამთრის პირზე სულდამზრალ ბეღურას.

საკუთარი ქვეყნის პატრიოტი, მშობლიური ქალაქის ამაგდარი, პოეტური სულის ნატურას, თავადაც უჭრის კალამი და მიუხედავად ჭარმაგი წლებისა, დღესაც ხიბლავს თავისი მჭერმეტყველებით მსმენელს.

ქალისათვის პროფესია უმნიშვნელოვანესია და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა კიდევ უფრო აღმატებული ხდება, როცა აჯახის მტკიცე ზღუდე-გალავანი უმაგრებს ზურგს. ეს ბედნიერება უხვად აჩუქა უფალმა ქალბატონ ლია ფეიქრიშვილს – წარმატებულს როგორც საზოგადოებრივ, ასევე პირად სარბიელზე. შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები მისი დიდი სიმდიდრეა და კიდევ ის მონაფები, რომელთაც უხვად, უშურველად გაუზიარა თავისი ცოდნა და გამოცდილება საბავშვო ბალის, პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტისა თუ უნივერსიტეტის კედლებში.

სულითა და გულით ვულოცავ ამ დარბასელ და ლვანლმოსილ ქალბატონს მისი გაზაფხულის შემოდგომას და ჯანმრთელობასა და დღეგრძელობასთან ერთად ვუსურვებ მუდამ ერთიასად დაფასებოდეს მის მიერ დათესილი სიკეთის ყოველი ნაყოფი.



ლია ფეიქრიშვილი

63



ლვანლმოსილი ქალბატონი

ჩერნი, ამაგდარი პედაგოგი, – ლია ფეიქრიშვილი დაიბადა ყვარელში 1941 წელს.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ჩაირიცხა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების მეთოდიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1965 წელს დაამთავრა.

საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ, ჩატარებული კასტინგის საფუძველზე, შერჩეულ იქნა მასწავლებელთა დახელოვნების თელავის ინსტიტუტში – სკოლამდელი აღზრდის სასწავლო მეთოდური კაბინეტის გამგედ, სადაც წარჩინებული მუშაობისათვის დაჯილდოებულია: ქების სიგელებით და განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით.

ოქტომბერი, №1, 2021





1986 წელს ლია გადავიდა სამუშაოდ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტში – პედა-გოგიკა-მეთოდიკის კათედრაზე – უფროს მასწავლებლად, სადაც კითხულობდა ლექციებს: სკოლამდელ პედ-აგოგიკაში, დეფექტოლოგიაში და ბუნების სწავლების მეთოდიკაში.

მან აიმაღლა ასევე კვალიფიკაცია თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში, გაიარა ლოგოპედის სრული კურსი და მიიღო ლოგოპედის სპეციალისტის დიპლომი.

უნივერსიტეტის მუშაობის პერიოდში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები სკოლამდელი აღზ-რდის საკითხებზე.

2009 წლიდან, საუნივერსიტეტო მუშაობის შემდეგ, ჩაირთო თელავის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბ-ლიოთეკასთან (დირექტორი მ. წიკლაური) არსებული საზოგადოება „ავანგარდის“ საქმიანობაში (დამუშავებელი ნ. ჭიკაძე) და, დღემდე, იგი ღვანლმოსილ პედაგოგებთან, პენსიონერებთან ერთად კვლავ ატარებს სხვადასხვა საინტერესო ლონისძიებებს, ეხმარება მათ, რომ ცხოვრება, უფრო ხალისიანი და შინაარსიანი ჰქონდეთ.

ლიამ, თავისი მოლვანეობით, დაიმსახურა პატივისცემა და სიყვარული, როგორც, თანამშრომლებში, ისე სტუდენტთა შორის, რასაც ვგებულობთ სტუდენტებისა და თანამშრომლებისაგან, გამოხატულ – საიუბილ-ეო მილოცვებში, სადაც ისინი აღნიშნავენ ამაგდარის დამსახურებას, რომ მან, თავისი ცოდნა-გამოცდილება უშურველად გადასცა სტუდენტებს, ახალბედა დამზებდ პედაგოგებს.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“ უერთდება მათ გულწრფელ მილოცვებს და ლია ფეიქრიშვილს ულოცავს დაბადების 80 წელს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს, სიკეთეს, სიხარულსა და ბედნიერებას...

აქვე გთავაზობთ მის ორ ლექსს.

ნუც ქამუკაშვილი

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“
ახალგაზრდა მწერალთა ხელმძღვანელი

მადლონტა ჩემს გულს, ოთხმოვი წლისოფის...

ჰიპერმეტრია და
ვერლიპრი, ანუ, –
დარად – უოლტ უიტმენი...
მოგონებები, მოგონებები,
კვლავ, გამიმძაფრდა –
ჩემ თავზე ფიქრში,
ჩემი ცხოვრება,
როგორც რაში, – მიჰქრის და მიჰქრის...
თურმე, რამდენი წლები გასულა, –
ჩემი ცხოვრების ბედთან ჭიდოლში.

მე, ახლა, მიგხდი, –
სულ სხვა რამაა: წუთისოფელი...
მე მაგონდება, რომ განვლილ წლებში
ბევრს უტკენია, ჩემთვისაც, გული,
მაგრამ, მე, მაინც, მყარად ვიდევი,
არ დავცემულვარ – სულით და გულით...

მხოლოდ, სიკეთემ და სიყვარულმა
გადამავინუა ძნელი ცხოვრება, –
მაგრამ... დანისლულს, იმედად დამრჩა:
ჩემი ქმარ-შვილს და ოჯახის –
ღრმა სიყვარული.
ნარსულში, ზოგი, სიკეთეც მახსოვს,
და... იმის შედეგს
დღესაც კი ვიმკი...
მე მიხარია – ნარსულმა წლებმა
არ დამიტოვეს, მუდმივი წყლული,
რაშიც, უფალსაც მიუძღვის წვლილი...
მადლობა უფალს, დღიდ მადლობა,
რომ... დღეს ვარსებობ და...

ფეხზე ვდგავარ,
მადლობა დიდი... ყოველდღიურად
მუხლოდრევილი, ვლოცულობ მისთვის...

მადლობა ოჯახს,
შვილებსა და ჩემს შვილიშვილებს,
რომ დამივასეს –
დიდი ამაგი...

თელავს

დღეს თელავქალაქობაა,
ჩვენი ლამაზი თელავის;
ბურჯებს ამშვენებს, სილადე
საუკუნეთა მთელავი.

მეფის სატახტო ქალაქო, –
ყველას გულსა გვფენ მალმოდ...
მზის სხივიც გელამუნება, –
ჩვენი დიდების ალამო...

გმირთა გმირ მეფე ერეკლეს
უერთგულესი ჰყავს, – რაშიც, –
ასპინძიდან რომ დაბრუნდა,
დაღლას არ იმჩნევს – გავლაში.

ერეკლეობას ზემობს
ჩვენი ლამაზი თელავი,
მუდამ – სახელის, სიკეთის
ფუძეც, აკვანც, მრთველავიც...

მრავალუამიერ, ქალაქო
დღეგრძელობა და დიდება,
იყავი, ხარ და იქნები, –
მზე, სანამ, ცაზე ბრწყინდება!..





მხატვარი ელია თურაპოვამილი

